

**ძუბაბა (®KUBABA) – გვიანეთშრი ხანის აღმოსავლეთი მცირე აზიის  
სამეფო-სამთავროთა ქალღმერთი**

უზენაეს დვთაება თარხუნთოან ერთად იეროგლიფურ-ლუვიურ წარწერებში არაერთგზის დვთაება ქუბაბაც იხსენიება, რომელსაც ხშირად ანტიკურ სამყაროში კარგად ცნობილ კიბელე-კიბელას წინამორბედ ძველადმოსავლურ ქალღმერთაებად მიიჩნევენ [1, 122; 125, 127, 136; 23].

1981 წელს ჯ. პოვკინსმა სპეციალური სტატია მიუძღვნა ამ დვთაებას, თავი მოუყარა რა თითქმის ყველა იეროგლიფურ-ლუვიურ ტექსტს, სადაც იგი იხსენიება [2, 113-28; 147176]. ირკვევა, რომ ქუბაბას სახელწოდება ყველაზე ხშირად გვიანხეთური ხანის ქარხემიშის (ჩრდილოეთ სირია) მეფეთა წარწერებში მოწმდება, თუმცა მას სხვა გვიანხეთური სამეფო-სამთავროებიც იცნობენ (ალეპოს, კაისერის, ანქოზის, ბაბილონის, ბოიბეიპინარის, ბულღარ-მადენის, ჩიფლიქის, ყარაბურუნის, კულულუს, მალატიის, სულთანხანის, თელ-ახმარის იეროგლიფურ-ლუვიური წარწერები) [3, 48, 53, 55, 100, 115].

ქალღმერთაება ქუბაბას, ისევე როგორც თარხუნთს, იეროგლიფურ-ლუვიური წარწერების ავტორები (მეფეები, მათი ქვეშევრდომები) ორ სხვადასხვა კონტექსტში მოიხსენიებენ: წარწერების შესავალ ნაწილში, ტიტულატურა-გენეალოგიასთან მჭიდრო კავშირში და დასკვნით ნაწილში, ე. წ. კრულვის ფორმულის წარმოთქმისას. ამჯერად, ყურადღებას იმ ტექსტებზე გავამახვიდებთ, სადაც ქუბაბას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ამ თვალსაზრისით, ქარხემიშის მეფეთა, მმართველთა და მათ ქვეშევრდომთა წარწერები განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს.

ქუბაბა, ისევე როგორც თარხუნთი, გავრცელებული რწმენა-წარმოდგენების თანახმად, ყოველმხრივ იცავდა გაბატონებული წრის, წარწერების ავტორების ნამოღვაწარსა და მათ უფლებებს (Karkamiş 31/32, 11a, 2-3, 6; 14B, 4-5; 40-12 3; 25-B2, 1-2 და სხვა).

ქალღმერთ ქუბაბას თაყვანისცემის გავრცელებული არეალს თაბალიც წარმოადგენდა. ბულღარ-მადენის ერთ-ერთ წარწერაში თუვანას მეფე ვარპალავას ვასალი თარხუნაზი წარწერის პოტენციური დამზიანებლის დასასჯელად, სხვა დვთაებებთან ერთად, ქალღმერთ ქუბაბასაც მოუხმობს. სულთანხანის წარწერა გამცნობს, რომ ქალღმერთი ქუბაბა ბოროტმოქმედებს ხარანის მთვარის

დვთაებისა და დვთაება Ataha-ს მსგავსად „წყევლის და სჯის“. კაისერის წარწერაში კი ნათქვამია, რომ თაბალის მეფე ვასურმეს ჩვენობ ვასალს რომელიდაც დვთაებისათვის „tatala აუმაღლებია”, მაგრამ ამავე დროს დვთაება თარხუნთის ქანდაკება მნიშვნელოვნად დაუზიანებია (წარწერის მოწმობით, მას დვთაების თავი კისერთან ნაჯახით დაუმსხვრევია). ამგვარი მოქმედებისათვის დვთაება Maruwa-ს და ქალღმერთ ქუბაბას ბოროტმოქმედი „ძირს დაუნარცხებიათ” [3, №67].

ჩვენთვის საინტერესო ქალღმერთის ძლიერებაზე ანქოზში აღმოჩენილი იეროგლიფურ-ლუგიური წარწერაც მიუთითებს. ტექსტის მოწმობით, დვთაება რუგა, როგორც მსხველი, ქუბაბას მსგავსი ყოფილა. ბოიბეიპინარში ქვის ლოდზე შემორჩენილ იეროგლიფურ-ლუგიურ წარწერაში კატეგორიულადაა აღნიშნული: „თუ ვინმე პანამუგათის სახელს გადაშლის, ეშინოდეს, რადგან..., დედოფალს ქუბაბასავით ძლიერი განრისხება შეუძლია“ [3, №124, 128, 131].

ყარაბურნას კლდეზე შესრულებულ წარწერაში ქუბაბა ხარანის მთვარის დვთაებასთან ერთად, მეფე Sipis-სსა და Sipis Nis ვაჟს შორის დადებული ხელშეკრულების გარანტად წარმოგვიდგება. წარწერის დასკვნით ნაწილში იგივე დვთაებები ამ ხელშეკრულების ამსახველი ეპიგრაფიკული ძეგლის შეურაცხმყველის დამსჯელებად გვევლინებიან [3, №26].

ქალღმერთი ქუბაბა არა მხოლოდ ხელშეკრულების დაცვის გარანტი, მსხველი და დამცველია, არამედ გეკეს წარწერის მიხედვით, ის ნაყოფიერების მომტანიცაა.

ქუბაბა ქარხემიშისა და აღმოსავლეთ ანატოლიის სხვა მეფე-მთავართა წარწერებში ხშირად თარხუნთან, ქარხუსთან, სანთასთან, ეასთან და რუნთასთან ერთად მოიხსენიება. ქათუგასი, ქარხემიშის მბრძანებელი, კარის საკეტის (?) ერთ-ერთ წარწერაში გვამცნობს, რომ იგი „ქარხუსას და ქუბაბას პროცესის თვითმხილველი გამხდარა\*.

საინტერესოა ჩიფლიქისა და კულულუს წარწერები, სადაც დვთაებები მეუღლებითურთ არიან წარმოდგენილი. ჩვენთვის საინტერესო ქალღმერთი ეასთანაა

---

\* იეროგლიფურ-ლუგიურ ტექსტში მოხსენიებული ორი დვთაების პროცესიასთან დაკავშირებით მეტად მნიშვნელოვანია ლუქრეციუსის მიერ აღწერილი, რომში გამართული პროცესია, იდის დედას (ანუ კიბელას) რომ ეძღვნებოდა, რომელიც ქალაქების დამცველად და მიწის ნაყოფთა მიმცემის ქალღმერთად მოიაზრებოდა (Luc II 600-643).

დაკავშირებული, თარხუნაზი-ხეფვათთან, ხარანელი მთვარის დვთაება-მზესთან, ხარანელი შარუმა-ალასუფასთან და ა. შ. [4, 169, 172]

ეველა უკვე ნახევნები გვიანხეთური ხანის მეფე-მთავარი და მათი ქვე-შევრდომი ერთხმად მიუთითებს მათდამი ქუბაბას სიყვარულზე და ამ ქალ-დვთაებისგან მიღებულ მხარდაჭერაზე. ასე, მაგალითად, ქათუვასი არაერთგზის აღნიშნავს, რომ „მის ბატონებს – თარხუნთს, ქარხუხას და ქუბაბას იგი სამართლიანობის გამო უყვართ და მხარს უჭერენ (Karkamiš, A11 ვ3-ც4, შდრ. იქვე, A12, 2). იგივეს აღნიშნავს სოსტურას ვაჟი („მე [ვარ]..., გმირი, ქარხემიშის ქვეყნის მბრძანებელი... იარირისი, მბრძანებელი, უფლისწული, თარხუნთის, ქუბაბას, ქარხუხას და მზის დვთაებათა მიერ შეყვარებული...“ (Karkamiš A 15B6 1-2).

სამწუხაროდ, არც ქარხემიშსა და არც მის ფარგლებს გარეთ ქალღმერთის სახელზე აგებული ტაძრების ნაშთებმა ჩვენამდე ვერ მოაღწია. მაგრამ იერო-გლიფურ-ლუვიური წარწერები არაერთგზის გვამცნობს ქარხემიშში ქუბაბას სახელზე ტაძრების აგების შესახებ. იგივე ქათუვასი აცხადებს, რომ მან ქარხემიშში ქუბაბას სახელი „აღადგინა“, ააგო მისი სახელობის ტაძარი და უზრუნველყო იგი შესაწირავით. დაახლოებით იგივეა ნათქვამი ქათუვასის სხვა წარწერებში. მევე აცხადებს: „მე (ვარ) ქათუვასი, ქარხემიშის ქვეყნის მეუფე, დვთაებათა მიერ შეყვარებული... [მე] ჩემმა ქალბატონმა ქუბაბამ, ქარხემიშის დედოფალმა, ქვეყნის მიერ ამაღლებულმა (?) (განმადიდა). ყოველთვის მეხმარებოდა ხელში ჩამეგდო მტრები, მაგრამ მტრებთან არ გამცემდა. ეს (შენობები) ფუფუნებით (აღვავსე) და მისთვის ავაგე, აღვადგინე ქუბაბა, ქარხემიშის დედოფალი“ [4, 151-152].

ქარხემიშის მეფე იარირისიც ლოცულობს ქუბაბას სახელზე და მას თავის „სიყვარულს უძღვნის“ [4,154-155]. იარირისის ქვეშევრდომს (ვასალს) ქამანას ქუბაბას გამოსახულებითა და მისდამი მიძღვნილი წარწერით დამშვენებული სტელა აღუმართავს. წარწერაში ნათქვამია: „ქუბაბას ტაძარი ავაგე... ქუბაბასათვის, ქარხემიშის დედოფლისათვის, მე ქამანასმა, მბრძანებელმა, [ტაძართან] მიწის ნაკვეთი გამოვყავი“. [4, 155-156]. ისიც ირკვევა, რომ სოსტურას სტელაზე ქუბაბას გამოსახულება გაუკეთებია [4, 157-158] და ა. შ.

მალატიაში აღმოჩენილი ქვის მცირე ზომის სტელაზე ქუბაბას სახელი კვლავ დვთაება რუნთასთან ერთადაა მოხსენიებული, რაც აღნიშნულ ტერიტორიაზე

ქალღმერთ ქუბაბას პოპულარობაზე უნდა მიუთითებდეს. ჩვენამდე მოღწეული ქალღმერთ ქუბაბას გამოსახულება გვიანხეთური ხანის პანთეონის წამყვან დვთაებებთან ერთად სწორედ მალატიაშია ნაპოვნი. სტელაზე, მარცხენა მხარეს, ამინდის დვთაება ლომზე დგას, იქვეა მაღალზურგიან სკამზე მჯდარი ქალღმერთის გამოსახულება. მას ფეხები ტაბურეტზე აქვს შედგმული, ტაბურეტი ხარზე დგას. ქალღმერთს მარჯვენა ხელში სარკე უჭირავს, მარცხენა მკერდთან ახლოს აქვს მიდებული. მისი სამოსი მსგავსებას იაზილიქაიას ქალღმერთთან და ქარხემიშის ქუბაბასთან ამჟღვნებს. ამინდის დვთაებასთან ჭექა-ქუხილის ნიშანია გამოსახული. ფიგურათა ზემოთ ფრთიანი მზის დისკო მოჩანს. სტელის ორივე მხარეს წარწერის კვალია შემორჩენილი: ქალღმერთის მხარეს KUBABA იკითხება. პ. ვიეირმა დვთაების მეორე მხარეს სახელი RUTA ამოიკითხა [5, 65; 58].

ჩვენამდე ბაზალტის ერთმა სტელამაც მოაღწია. იგი ნიღდეს მუზეუმში ინახება. სტელაზე ტახტზე მჯდომი ქუბაბას და მის გვერდით ქალღმერთის წმინდა ცხოველის – წამოწოლილი ლომის გამოსახულებებია აღბეჭდილი. [6,470] სტელა ძვ. წ. VIII საუკუნით თარიღდება. ირკვევა, რომ ქალღმერთის ატრიბუტად ძაღლსაც მიიჩნევდნენ. კულულუს წარწერაში აღნიშნულია: „ქუბაბას ძაღლი HASAMI, თუვათის AMURA-ს გამოეკიდოს და შეჭამოს კიდეც“ [4,172].

ქალღმერთი ქუბაბა ანქოზში აღმოჩენილ რელიეფზეცაა გამოსახული. ის ტახტზე ზის და პროფილშია წარმოდგენილი. წელზე ექვსი ფოჩით დამშვენებული ქამარი უკეთია. სამაჯურზე მედალიონი მოჩანს. მარცხენა ხელში თითისტარი უჭირავს. ფიგურა მსგავსებას ქარხემიშისა და მაღატის რელიეფებთან ამჟღვნებს [7, 64]. შესაძლოა, აღნიშნული თითისტარი როგორც ქალღვთაების ატრიბუტი, საკრალური მნიშვნელობის იყოს, ან ქალღვთაების საოჯახო საქმიანობის – როგორც და ქსოვის მფარველობის ფუნქციაზე მიგვანიშნებდეს.

ქარხემიშის იეროგლიფურ-ლუვიური წარწერების ავტორები ქუბაბას „ქალბატონს“ და „ქარხემიშის დედოფალს“ უწოდებენ. ე. პორადას მიერ ძვ.წ. VIII ს-ით დათარიღებულ ერთ-ერთ საბეჭდავზე ქუბაბა nawarali-ის ეპითეტით მოიხსენიება\*.

---

\* იეროგლიფურ-ლუვიურში warali “საკუთარს” ნიშნავს, ხოლო niwarali მისი უარყოფითი ფორმაა და შესაბამისად “არასაკუთარს” აღნიშნავს. nawarali, ამ შემთხვევაში niwarali-ს ფონეტიკური ან ორთოგრაფიული გარიანტია. ჯ. პოვენისი nawarali-ს თარგმნის როგორც – foreign (უცხო, უცხოელი).

ჯ. პოვენისის ვარაუდით, ქუბაბა ქარხემიშის გარეთ, ხეთური სამყაროს მიერ უცხო დვთაების სახით იყო შეთვისებული [8, №1102;167].

როგორც იეროგლიფურ-ლუვიური წარწერებიდან და მონუმენტურ ქანდაკებებზე დატანილი გამოსახულებებიდან ირკვევა, ქუბაბას ძღვენის სახით “წმინდა საჩუქრებს” მიართმევდნენ, რომელთაც სამსხვერპლო ტაბლაზე ათავსებდნენ. ქუბაბას ყოველწლიურად თითო ხარსა და ცხვარს, მათთან ერთად პურსაც სწირავდნენ. ქარხემიშის მევე ქათუვასის მოწმობით: „ქარხუხას (სწირავენ) ერთ ხარს და ერთ ცხვარს, ქუბაბას ერთ ხარს და ერთ ცხვარს, Sarkus-ს ერთ ხარს და KUTUPI-ის, მამაკაც დვთაებებს ერთ ცხვარს და ქალღვთაებებს [ერთ ცხვარს]” [4, 150, 151, 163, 169].

ქუბაბასათვის შესაწირავზე ქუმუხის ერთ-ერთი დედოფლის იეროგლიფურ-ლუვიური წარწერებიც მოგვითხრობს, სადაც აღნიშნულია პანამუვათისის, მეფე სუფილულიუმას (ძვ.წ. 803-773 წწ.) მეუდლის მიერ ქუბაბასათვის ტახტრევანისა და შეწირულებისათვის განკუთვნილი მაგიდის მიძღვნის შესახებ [9,73-84].

ქუბაბას და კიბელას გამოსახულებები დიდ ურთიერთმსგავსებას ავლენს: ორივე ეს დვთაება ტახტრევანზე ზის ორ ლომს შორის. ვ. ივანოვის თვალსაზრისის თანახმად, ქუბაბა (და მოგვიანებით – კიბელა) ნაყოფიერების კულტის ძელ მცირეაზიურ იმ ტრადიციებს აგრძელებნ, რომლებიც სათავეს ჩათალ-ჰუიუქის (ძვ. წ. VI ათასწლეული) კულტურაში იდებენ [10,77].



მალატია (ძვ. წ. VIII ს.) დვთაება რუნთა და ქალღვთაება ქუბაბა

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

1. Meriggi P., Hieroglyphisch-Hethitisches Glossar, p. 122; Houwink Ten Cate, The Luwian Population Groups of Licia and Cilicia Aspera during the Hellenistic Period, 1963, p. 125, 127, 136; ხაზარაძე ნ., აღმოსავლეთ მცირე აზიის ეთნიკური და პოლიტიკური გაერთიანებები ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში, თბილისი, 1978, გვ. 23.
2. E. Larroche, Qubaba dèsse anatolienne, et le problème des origines de Cybèle, Elements orientaux des la religion grecque ancienne, Paris, 1960, p. 113-128; J. D. Hawkins, Kubaba at Karkamış and Elsewhere, AnSt., 1981, Vol. XXXI, p. 147-176.
3. Meriggi P., Manuale Di Eteo Geroglifico, Parte II: Testi 1a Serie, Roma, 1967, p. 48, 53, 55, 100, 115.
4. J. D. Hawkins, Kubaba at Karkamış and Elsewhere, p. 169, 172.
5. M. Vieyra, Hittite Art, 1955, p. 65; P. Meriggi, Manuale Di Eteo Geroglifico, Parte II: Testi 1a Serie, p. 58.
6. American Journal of Archaeology, Vol. 85, #4, 1981, p. 470.
7. M. J. Mellink, Archaeology of Asia Minor, AJA, Vol. 64, №1, 1960, p. 64.
8. E. Porada, Corpus of Ancient Near Eastern Seals, Washington, 1948, №1102; see J. D. Hawkins, ibidem, p. 167.
9. P. Meriggi, Manuale Di Eteo Geroglifico, Parte II: Tavole 2a E3a Serie, Roma, 1975, p. 73-84.
10. B. V. Иванов, Кубаба, Мифологический словарь, Москва, 1990.

**Nana Khazaradze Nana Bakhsoliani**

## **D'KUBABA THE GODDESS OF THE LATE HITTITE PERIOD IN THE EASTERN ASIA MINOR KINGDOMS**

The goddess Kubaba is mentioned several times in the hieroglyphic Luwian inscriptions together with the god Tarhunzas. She is often identified with the well-known predecessor goddess Cybele-Cybela of the ancient Near East.

The name Kubaba is mostly attested in the inscriptions of kings in Karkamish (north Syria) of the late Hittite period. However She is also known in the Late Hittite kingdoms such as Aleppo, Ancoz, Babylon, Boybaypinari, Bulğarmaden, Çiftlik, Karaburun, Kayseri, Kululu, Malatya, Sultanhan, Tel Ahmar in the Hieroglyphic-Luwian inscriptions.

The authors of Hieroglyphic-Luwian inscriptions mention the goddess Kubaba in two different contexts: together with the entitlement and genealogy in the introduction of the inscriptions and the conclusion i. e. together with the articulation of the cursing formulae. The goddess Kubaba is considered to be the protector, rescuer and fertility giving deity for the authors of inscriptions.

The saved imprinted images of the goddess Kubaba on the stone relieves of Malatya and Ancoz show great likeliness with the goddess of Cybele: the both goddesses are seated on the throne between lions. It is Kubaba (later Cybele) that continued the traditions of the fertility cults of the Asia Minor, which originated in the culture of Çatal-Hüyük.

## ԵԱՆԱ ԽԱՑԱՐԱՃՅ ԵԱՆԱ ՊԱԿՍԹԼՈՎԱՅՈ

### ԺՅԷԼՈ ՍԱԱՌՍՄԸԼՈ ՀՄԱՌՏՄՑԼՈ ՎԱՐՄԵՐԵՑՈՒՅ Կատպատուկա

ԹՅորյ աზօս մեկողո հյօգօտնօս աղմնօթցնցլո սաելովուց կատպատուկա (կաթիաթցյա), ռոմելսաց ժշ. ֆ. V սաշցնուցան ամազյ Ծյըմոնուցան թոմոնարյ ժցելձերմնցլո Կառածուկա (կապածոցյա) ჩայնացուցան, პորցյելաց այլմենուցուրո որանու մշցյ դարուու I-ու (ժշ. ֆ. 522-486 ֆֆ.) ծրճանեծուու, ծցտութցնուու քլայնյ ամոցցյուու ժցելսպարսցլ լուրտմցլ Վարմիրամո (DBI, 15-16) թովմուց կատպատուկա (կաթիաթցյա) ամոցցյուու կատպատուկա-ս յլամցրո qa-at-ba-du-qa դա այլամցրո ka-at-pa-tuk-ka Շայսաթցցուց կատպատուկա-բ (կաթիաթցյա) դարուու I-ու սեցա ժցելսպարսցլ լուրտմցլ Վարմիրյ ժու դա մուսո մյոմցուցուու, յերշյես (ժշ. ֆ. 485-465 ֆֆ.) սաելուու Շայսաթցցու յանցրացուց ժցելձեծուու զադասթցյուրյ ծրճանեծուու (DPe, 12; DNa, 28; DSe, 27; DSm, 8; XPh, 26) [1, 136, 137, 141, 145, 151]. Այրեցուուում աղմոնիուու ժցելսպարսցլ լուրտմցլ յրույրու Վարմիրամո (A? P, 21) կաթիաթցյ կատպատուկա (iyam: Katpatuka) յեցուցուու. ամ Վարմիրու աշտորուու զոնառի դուցու ենու մանմունցյ օդյնոյուցուու ար օյո. մաս արթայշյերյ լու (ժշ. ֆ. 405-359 ֆֆ.) ան արթայշյերյ լու (ժշ. ֆ. 359-338 ֆֆ.) այլուցնենց ամյամառ, օգո արթայշյերյ լու Վարմիրու սաելուուա ցնոծուու [1, 114, 155; 2, 399].

Եյնեծրուցուա, ռոմ Կատպատուկա (կաթիաթցյա) այլմենուց օմէրուու կայշեցրուումունամո մյուցու սեցա կայշեցրուու սաելովուց մեցացսառ, ծցտութցնուու Վարմիրու սամյենցան, տուսանյ Շեսրուց լուց գյուլուց արթայշյերյ լու մուսեյնուց ռոմելուու որանու արթայշյերյ լու ցյնիրուու մրացլաց ացնացնուու [3, 270].

ამიტომ, შემთხვევითი არაა, რომ *Katpatuka-b* (*კატპატუკა-ბ*) არამენირებული ი დაბოლოებით, *gdpdkj* (*Katpatukj*) ფორმით, დარიოს I-ის მეფობის ხანით დათარიღებულ, ერთ-ერთ ეგვიპტურ იეროგლიფურ წარწერაშიც გხვდებით [4, 40, 185].

*Katpatuka* (*კატპატუკა*), როგორც წესი, აქემენიდური ირანის შემადგენლობაში მყოფი ქვეყნებისა და მხარეების საკმაოდ ვრცელ ჩამონათვალში ფიგურირებს, რაც ქვემოთ მოყვანილი ძველსპარსული ლურსმული დაწერილობით შესრულებული ტექსტების ქართული თარგმანებიდან საკმაოდ კარგად ჩანს.

DB I, 11-24:

„ამბობს დარიოსი (Dārayavauš) მეფე: აჟურამაზდას (Auramazdāha) წყალობით მე მეფე ვარ. აჟურამაზდამ (Auramazdāha) სამეფო მიბობა. ამბობს დარიოსი (Dārayavauš) მეფე: აი ის ქვეყნები, რომლებიც აჟურამაზდას (Auramazdāha) წყალობით მერგო, რომელთა ზედაც მეფე ვიყავი: სპარსეთი (Pārsa), ელამი (Ēvja), ბაბილონი (Bābiruš), ასურეთი (Aθurā), არაბეთი (Arabāya), ეგვიპტე (Mudrāya), (ისინი) ზღვასთან რომ არიან (tyaiy: drayahya), სარდე-ლიდია (Sparda), იონია (Yauna), მიდია (Māda), არმენია-ურარტე (Armina)\*, კატპატუკა-კაპადოკია (Katpatuka), პართია (Parθava), დრანგიანა (Zraka), არია (Haraiva), ხორეზმი (Uvārazmiy), ბაქტრია (Bāxtriš), სოდი (Suguda), განდარა (Gādara), სკვითია (Saka), სატაგიდია (θataguš), არახოზია (Harauvatiš), მექრანი (Maka). სულ 23 ქვეყანა (fraharavam: dahyāva XXIII). ამბობს დარიოსი (Dārayavauš) მეფე: ეს ქვეყნები, წილად რომ მხვდა აჟურამაზდას (Auramazdāha) წყალობით, მე მმონებდნენ, ჩემთვის ხარკი მოჰქონდათ, და რასაც ვუბრძანებდი დამითა თუ დღისით, იმას ასრულებდნენ. ამბობს დარიოსი (Dārayavauš): ვინც კი ამ ქვეყნებში დირსეული ვინმე იყო, შესაფერ პატივს ვცემდი, ხოლო ავისმქნელს მისაგებელს მივაგებდი. აჟურამაზდას (Auramazdāha) წყალობით ეს ქვეყნები ჩემს კანონს მისდევდნენ და რასაც ვუბრძანებდი, იმას აღასრულებდნენ" [1, 117, 119; 5 298, 309].

პერსეპოლისის სასახლის სამხრეთ კედელზე ამოკვეთილი დარიოს I-ის 24 სტრიქონიანი ძველსპარსული ლურსმული წარწერა არა მხოლოდ ადასტურებს

\* დარიოს I-სა და ქსერქსეს სამენვან (სპარსულ, ელამურ და აქადურ) უკლებლივ ყველა წარწერაში ძველსპარსულ Armina-ს და ელამურ har-mi-nu-ia-ს აქადურ ვერსიაში U-ra-aš-tu (ურარტე) შეესატყვისება. იხ. Kent R. G., Old Persian, Grammar, Texts, Lexikon, New Haven, Connecticut, 1953, p. 171.

ბეჭისტუნის წარწერის ძირითად ჩვენებებს, არამედ გარკვეულწილად მათ ახალი ინფორმაციითაც ავსებს. სიახლე აქემენიდური ირანის მოხარკე ქვეყნების ნუსხაშიცაა (რაოდენობაში) და მათი ჩამოთვლის თანმიმდევრობაშიც.

DPe, 1-18: „მე ვარ დარიოსი (Dārayavauš) დიდი მეფე, მეფეთა მეფე, მრავალი ქვეყნის მეფე, პისტასპაის (Vištāspahyā) ძე, აქემენიდი (Haxāmanišiya). ამბობს დარიოსი (Dārayavauš) მეფე: აჟურამაზდას (Auramazdāha) წყალობით ეს ის ქვეყნებია, რომლებიც მე ჩემს მფლობელობაში სპარსელებთან ერთად მივიღე, რომელთაც ჩემი ეშინოდათ (და) ხარჯს მიხდიდნენ: ელამი (Ūvija), მიდია (Māda), ბაბილონი (Bābiruš), არაბეთი (Arabāya), ასურეთი (Aθurā), ეგვიპტე (Mudrāyaš), არმენია-ურარტე (Armina), კატპატუკა-კაპადოკია (Katpatuka), სარდე-ლიდია (Sparda), იონელები, რომლებიც კონტინენტზე არიან და (ისინი), რომლებიც ზღვისპირეთში არიან (Yaunā: tyaiy: uškahyā: utā:drayahyā: utā: tyaiy:dahyāva: utā: dahyāva:tyā: para:draya), საგარტია (Asagarta), პართია (Parθava), დრანგიანა (Zraka), არია (Haraiva), ბაქტრია (Bāxtriš), სოდდი (Sug<sup>u</sup>da), ხორეზმი (Uvārazmiy), სატაგიდია (θataguš), არახოზია (Harauvatiš), სინდი (Hiduš), განდარა (Gadāra), სკვითია (Saka), მექრანი (Maka)" [1, 136].

როგორც ვხედავთ, პერსეპოლისის სასახლის დარიოსისეულ ძველსპარსულ ლურსმულ წარწერაში იმავე ავტორის ბეჭისტუნის წარწერიდან განსხვავებით, ჩვენთვის საინტერესო *Katpatuka* (კატპატუკა) არა არმენია-ურარტესა და პართიას შორისაა წარმოდგენილი, რაც გეოგრაფიული თვალსაზრისით ძნელად ასახსნელია, არამედ არმენია-ურარტესა და სარდე-ლიდიას შორის, რაც, როგორც ამას ქვემოთ დავინახავთ, სავსებით ადეკვატურად ასახავს კაპადოკიის ლოკალიზაციის ამსახველ ანტიკური ხანის წერილობითი წყაროების ჩვენებებს.

ნიშანდობლივია, რომ იმავე დარიოს I-ის წარწერაში ნახში-ი რუსტამიდან, რომლის გეოგრაფიულ ნომენკლატურაში ცვლილებები კვლავ შეინიშნება, *Katpatuka-b* (კატპატუკაბ) პერსეპოლისის წარწერის მსგავსად, არმენია-ურარტესა და სარდე-ლიდიას შორის ვხვდებით.

DNa, 15-30: „ამბობს დარიოსი (Dārayavauš), მეფე: აჟურამაზდას (Auramazdāhā) წყალობით ეს ის ქვეყნებია, რომლებიც მე სპარსეთის გარეთ დავიპყარი. მათ ჩემთან ხარკი მოჰქონდათ. რასაც ვუბრძანებდი, იმას აღასრულებდნენ, ჩემს კანონს ემორჩილებოდნენ: მიდია (Māda), ელამი (Ūvijā), პართია (Parθava), არია (Haraiva), ბაქტრია (Bāxtriš), სოდდი (Suguda), ხორეზმი (Uvārazmiš), დრანგიანა (Zraka),

არახოზია (Harauvatiš), სატაგიდია (θataguš), განდარა (Gadāra), ხინდი (Hiduš), უმისმჭამელი სკვითები (Sakā: haumavargā), ქუდწვეტიანი სპვითები (Sakā: tigraxauda), ბაბილონი (Bābiruš), ასურეთი (Aθurā), არაბეთი (Arabāya), ეგვიპტე (Mudrāya), არმენია-ურარტე (Armina), კატპატუკა-კაპადოკია (Katpatuka), სარდე-ლიდია (Sparda), იონია (Yauna), ზღვისიქითელი სკვითები (Sakā: tyaiyradrayia), თრაკია-მაკედონია (Skudra), ფარისმპყრობელი იონელები (Yaunā: takabarā), ლიბიელები (Putāyā), ეთიოპელები (Kūsiya), მექრანელები (Maciyā), კარიელები (Karkā)" [1, 137-138; 5, 315-316].

აქემენიდების ზამთრის რეზიდენციაში, სუსაში, აღმოჩენილ დარიოს I-ის ერთ-ერთ წარწერაში (DSε, 27) ირანის ქვეშვრდომთა სია, ფაქტობრივად, ნახში რუსტამისეულს იმეორებს. ამ წარწერაში ჩვენთვის საინტერესო *Katpatuka-b* (კატპატუკა) კვლავ არმენია-ურარტესა და სარდე-ლიდიას შორის ვადასტურებთ: „...არმენია-ურარტე (Armina), კატპატუკა-კაპადოკია (Katpatuka), სარდე-ლიდია (Sparda)" [1, 141-142]. იმავე სუსაში მიკვლეულ დარიოს I-ის კიდევ ერთ ძველსპარსულ სამენოვან ლურსმულ წარწერაში, რომელიც დამორჩილებული ქვეყნების ჩამოთვლისას გარკვეულწილად ბეჭისტუნის წარწერაში წარმოდგენილ თანმიმდევრობას იცავს, *Katpatuka* (კატპატუკა) არმენია-ურარტესა და პართიას შორისაა მოხსენიებული.

DSm, 6-8: „...სპარსეთი (Pārsa), ელამი (Ūja), ბაბილონი (Bābiruš), ასურეთი (Aθurā), არაბეთი (Arabāya), ეგვიპტე (Mudrāya), სარდე-ლიდია (Sparda), იონია (Yauna), მიდია (Māda), არმენია-ურარტე (Armina), კატპატუკა-კაპადოკია (Katpatuka), პართია (Parθava), დრანგიანა (Zraka), არია (Aria), და ა. შ" [1, 145].

როგორც აღინიშნა, *Katpatuka-b* (კატპატუკა) სახელწოდებას დარიოს I-ის მემკვიდრის, ქსერქსეს სახელით შედგენილ, ე. წ. დევთსაწინააღმდეგო სამენოვან (სპარსულ, ელამურ, აქადურ) წარწერაშიც ვხვდებით. მიუხედავად იმისა, რომ ამ წარწერას აქემენიდური ირანის ისტორიისა და კულტურის შესასწავლად სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, *Katpatuka-b* (კატპატუკა) ისტორიული გეოგრაფიისათვის იგი, ფაქტობრივად, არაფერს გვამცნობს. საქმე ისაა, რომ ამ წარწერაში აქემენიდური ირანის ქვეშვრდომობაში მყოფი ქვეყნების ჩამოთვლის კრიტერიუმები საკმაოდ მნელად დასადგენია. და მაინც, ქსერქსეს დევთსაწინააღმდეგო წარწერა *Katpatuka-b* (კატპატუკა) ისტორიის ერთ-ერთ

წერილობით საყურადღებო პირველწყაროს წარმოადგენს. იგი ერთმნიშვნელოვნად ადასტურებს დარიოს I-ის მრავალრიცხვანი ძველსპარსული ლურსმული წარწერების ჩვენებებს იმის თაობაზე, რომ *Katpatuka* (კატპატუკა) ძვ. წ. VI საუკუნეში აქემენიდური ირანის ქვეშევრდომობაში მყოფი ქვეყანა იყო.

XPh, 19-28: „...მიდია (Māda), ელამი (Ūja), არახოზია (Harauvatiš), არმენია-ურარტუ (Armina), დრანგიანა (Zraka), პართია (Parθava), არია (Haraiva), ბაქტრია (Bāxtriš), სოდდი (Sugda), ხორეზმი (Uvārazmiš), ბაბილონი (Bābiruš), ასურეთი (Aθurā), სატაგიდია (Thataguš), სარდე-ლიდია (Sparda), ეგვიპტე (Mudrāya), იონელები, ისინი რომლებიც ზღვასთან ცხოვრობენ (და) ისინი, რომლებიც ზღვისიქითელნი არიან (Yaunā: tya: drayahiyā: dārayatiy: utā: tyaiy: paradraya: darayatiyā), მექრანელნი (Maciyā), არაბეთი (Arabāya), განდარა (Gadara) სინდი (Hiduš), კატპატუკა-კაპადოკია (Katpatuka), დაჰები (Dahā), უმისმჭამელი სკვითები (Saka:haumavargā), ქუდწვეტიანი სკვითები (Saka:tigraxaudā), თრაკია-მაკედონია (Skūdrā), მთიელნი (Ākaufaciyā), ლიბიელები (Putāya), კარია (Karkā), ეთიოპელები (Kūšiya)" [1, 151; 5, 315, 316]

და ბოლოს, პერსეპოლისში აღმოჩენილ კიდევ ერთ ძველსპარსულ ლურსმულ წარწერაზე გავამხავილებთ უურადღებას. როგორც ზემოთაც აღინიშნა, იგი არტაქსერქსე II-ეს (ძვ. წ. 405-359 წწ.) ეპუთვნის. გარდა იმისა, რომ ეს წარწერა *Katpatuka-b* (კატპატუკა) ისტორიული გეოგრაფიისა და პოლიტიკური ისტორიის თვალსაზრისითაა საინტერესო, იგი ჯერ-ჯერობით ერთადერთია ძველსპარსულ ლურსმულ ეპიგრაფიკულ ძეგლებს შორის, რომელიც ტერმინ „კატპატუკას" [6, 54-55, ტაბულა I] იხსენიებს.

A?P 1-30: „ეს სპარსელია (iyam: Pārsa), ეს მიდიელია (iyam: Māda), ეს ელამელია (iyam: Ūvja), ეს პართელია (iyam: Parθava), ეს ხორეზმელია (iyam: Uvārazmiya), ეს დრანგიანელია (iyam: Zraka), ეს არახოზიელია (iyam: Harauvatiya), ეს სატაგიდელია (iyam: Thataguiya), ეს განდარელია (iyam: Gadāraya), ეს სინდელია (iyam: Hiduya), ეს უმისმჭამელი სკვითია (iyam: Saka:haumavargā), ეს ქუდწვეტიანი სკვითია (iyam: Saka:tigraxaudā), ეს ბაბილონელია (iyam: Bābiruš), ეს ასურელია (iyam: Aθuriya), ეს არაბია (iyam: Arabāya), ეს ეგვიპტელია (iyam: Mudrāya), ეს არმენიელია-ურარტელია (iyam: Arminiya), ეს კატპატუკელია-კაპადოკიელია (iyam: Katpatuka), ეს სარდელია-ლიდიელია (iyam: Spardiya), ეს იონელია (iyam: Yaunā), ეს ზღვისიქითელი სკვითია (iyam: Sakā: paradrayia), ეს თრაკიელი-მაკედონელია (iyam: Skudra), ეს

ფარისმპყრობელი იონელია (iyam: Yaunā: takabarā), ეს ლიბიელია (iyam: Putāya), ეს კოოპელია (iyam: Kūšaya), ეს მაკაელია (iyam: Maciya), ეს კარიელია (iyam:Karka)" [1, 155-156].

*Katpatuka-b* (*კატპატუკაბ*) სახელწოდების შემცველი ძველსპარსული ლურსმული წარწერები, რომლებიც ზემოთ მოელი სისრულით წარმოვადგინეთ, რამდენიმე ასპექტითაა საყურადღებო: უპირველეს ყოვლისა, საგულისხმოა, რომ ისინი ძველაღმოსავლური წერილობითი ძეგლებიდან განსხვავებით, პირველად გვაცნობენ მცირე აზიის საქმაოდ მსხვილი რეგიონის აღმნიშვნელ ზოგად გეოგრაფიულ სახელწოდება *Katpatuka-b* (*კატპატუკაბ*), რომელსაც ძვ. წ. V საუკუნიდან ამავე ტერმინიდან მომდინარე ძველბერძნული კაპაბიკა (კაპადოკია) ჩაენაცვლა. თუ იმ გარემოებასაც გავითვალისწინებთ, რომ დარიოს I-ის ბეჭისტუნის წარწერის ძველსპარსული ლურსმული წარწერის *Katpatuka* (*კატპატუკა*) ელამურ და აქადურ ვერსიებში ფონეტიკურად მასთან იდენტური qa-at-ba-du-qa და ka-at-pa-tuk-ka – თია წარმოდგენილი და იმასაც გავიხსენებთ, რომ ბეჭისტუნის კლდეზე დარიოს I-ის სამენოვანი წარწერები ძვ. წ. 521-518 წლებში იქნა ამოკვეთილი [7, 100], იმ მართებულ დასკვნამდე მივალთ, რომ მცირე აზიის მსხვილი რეგიონის აღმნიშვნელ ტერმინს *Katpatuka-b* (*კატპატუკაბ*) ძვ. წ. VI საუკუნეზე უფრო გვიანდელი ხანით გერ დავათარილებთ.

ის, რომ *Katpatuka* (*კატპატუკა*) მაინცადამაინც სპარსული გეოგრაფიული ნომენკლატურიდან მომდინარე ტერმინია (მიუხედავად იმისა, რომ მას, როგორც ეს თავის დროზე რ. ჯ. კენტმა აჩვენა, ირანულ ენობრივ სამყაროს ვერ მივაკუთვნებთ) [1, 32], ჰეროდოტეს (ძვ. წ. V ს.) თხზულებაში დაცული ცნობებითაც მოწმდება. ჰეროდოტე, რომელიც პირველია ძველბერძენ ავტორთა შორის, ტერმინებს კაპაბიკა (კაპადოკია) და კაპაბიკა (კაპადოკიელებს) რომ მოიხსენიებს, გვამცნობს: „ამ სირიელებს (ამ შემთხვევაში პონტოსპირელი, ე. წ. ლევკოსირიელები, კაპადოკიელი სირიელები იგულისხმება – ნ. ს., ნ. ბ.) [8, 23-26] სპარსელები კაპადოკიელებს „უწოდებენ" (Herodotus, VII, 72) [9, 434]. იგივე ავტორი დედამიწის აღწერილობის შემცველი, სპილენძის დაფით ხელდამშვენებულ მილეტიდან სპარტაში ჩასულ არისტოგორესს შემდეგ სიტყვებს ათქმევინებს: „ხოლო ლიდიელების აღმოსავლეთით ფრიგიელები არიან, რომლებიც ჩვენთვის ცნობილ ყველა ხალხთან შედარებით საქონელმრავალნი და მოსავლით მდიდარნი

არიან. ფრიგიელების მეზობლად კაპადოკიელები არიან, რომელთაც ჩვენ (ე. ი. ონელი ბერძნები – ნ. ხ., ნ. ბ.) სირიელებს გუწოდებთ" (Herodotus, V, 49) [10, 330]. ანგარიშგასაწევი ისიცაა, რომ პეროდოტე კაპადოკიას და კაპადოკიელებს რამდენიმეგზის იმ კონტექსტებში ისესენიებს, სადაც ლიდია-ირანის იმ ურთიერთობებზეა საუბარი, რომელთაც ადგილი კროისოსა (ძვ. წ. 560-546 წწ.) და კიროს II-ის (ძვ. წ. 556-530 წწ.) მეფობის ხანაში (ე. ი. ძვ. წ. VI საუკუნეში) პქონდა (Herodotus, I, 71, 72, 73) [10, 61-62].

აქევ შემდეგიც უნდა დავძინოთ: როგორც ზემოთაც ითქვა, Katpatuka ტერმინს ძელსპარსულ ენობრივ სამყაროს ვერ დავუკავშირებთ. რასაკვირველია, ვარაუდის სახით შეგვეძლო დაგვეშვა, რომ იგი ძელსპარსულში ელამურიდან ან აქადურიდან ყოფილიყო შეღწეული, მითუმეტეს, რომ ჯერ კიდევ გასული საუკუნის 60-იან წლებში დასავლეთგერმანული არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ ბეჭისტუნის წარწერისა და კლდეზე ამოკვეთილი რელიეფების გამოწვლილვითი ანალიზის საფუძველზე ლ. ტრიუმპელმანმა დამაჯერებლად აჩვენა, რომ ბეჭისტუნის კლდეზე წარწერების ამოკვეთა რამდენიმე ეტაპად მიმდინარეობდა. ამ ეპიგრაფიკული ძეგლის ძელსპარსული ვარიანტი ელამურისა და აქადურის შემდეგ შესრულდა [11, 281-298]. მაგრამ ამგვარი ვარაუდის საწინააღმდეგოდ საკმაოდ ანგარიშგასაწევი არგუმენტები არსებობს. ბეჭისტუნის წარწერის ელამური და აქადური ვერსიების ენობრივი (ლექსიკა, სინტაქსი...) ანალიზიდან ნათლად გამოჩნდა, რომ ისინი ძელსპარსულიდანაა ნათარგმნი და არა პირიქით. სამეცნიერო ლიტერატურაში საკმაოდ საგულისხმო თვალსაზრისი გამოითქვა იმის თაობაზეც, რომ ძელსპარსულ ტექსტს შესაძლოა, ელამურ და აქადურ ენებზე სათარგმნელად სპარსულენოვანი პირი ან თავად დარიოს I კარნახობდა [5, 270-271]. ისიცაა გასათვალისწინებელი, რომ *Katpatuka-b* (კატპატუკა-ბ) ვერც ელამურ ონომასტიკონს მივაკუთვნებთ და ვერც – აქადურს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, *Katpatuka-b* (კატპატუკა-ბ) ეტიმოლოგიისა და ენობრივი წარმომავლობის საკითხი კვლავ მომავალი კვლევა-ძიების საგნად რჩება.\*

\* აქევ უნდა შევნიშნოთ, რომ სომეხი ავტორები (მოგსეს ხორენაცი, ფაგსეტოს ბუზანდი, სტეფანოს ტარონელი და სხვები) დიდ კაპადოკიას (ძელსპარსულ *Katpatuka-b*) და მის ერთ-ერთ ცენტრალურ პუნქტს – კესარია-მაზაკას (დღევ. კაისერის) <sup>KUR</sup> Ga-mir-ra („გამირთა ქვეყანა“, „კიმერიელების ქვეყანა“) და <sup>LU</sup> Ga-a-me-ra-a-დან („გამერელები“, „კიმერიელები“) მომდინარე „გამირქს“ და „გამირქების 19

ზემომყვანილ ძველსპარსულ წერილობით ძეგლებში დაცული ინფორმაცია *Katpatuka-b* (კატპატუკა-ბ) ისტორიული გეოგრაფიის თვალსაზრისითაცაა საინტერესო. ამ მხრივ საყურადღებო ისაა, რომ *Katpatuka-b* (კატპატუკა-ბ) სახელწოდების შემცველი 7 ძველსპარსული ლურსმული წარწერიდან, 6-ში (DBI 15-16, DPe 12, DNa 27-28, DSe 27, DSm 8, A?P 20-22) იგი Armina-ს (არმენია-ურარტუს) გვერდითაა მოხსენიებული, ხოლო 4-ში Armina-სა (არმენია-ურარტუს) და Sparda-ს (სარდე-ლიდიას) შორის (DPe8, DNa 27-28; DSe 27; A?P 20-22), რაც სავსებით ესადაგება კაპადოკიის ლოკალიზაციის ამსახველ ძველბერძენ და რომაულ ავტორთა თხზულებებში დაცულ ცნობებს. მათ შექმენი კაპადოკიის მოსაზღვრე ქვეყნები არმენია, კილიკია, ლიდია და ფრიგია იყო. ჩრდილოეთის მიმართულებით იგი ევქსინის პონტომდე (შავ ზღვამდე) ვრცელდებოდა (ჰეროდოტე, ქსენოფონტი, პოსეიდონიოს ანიმელი, დიოდორე სიცილიელი, სტრაბონი, პლუტარქე, არიანე, დიონ კასიოსი, ეპიფანე, ზოსიმე, კვინტუს რუფუსი, მარკუს ციცერონი...) [12, 25-32]. სტრაბონის (ძვ. წ. I- ას. წ. I სს.) ცნობით, მაკედონელებმა სპარსელებისგან კაპადოკია ორ სატრაპიად გაყოფილი მიიღეს. მაკედონელების მმართველობის ეპოქაში სპარსელთა ყოფილი სატრაპიები დამოუკიდებელ სამეფო-სამთავროებად ჩამოყალიბდნენ. ერთ-ერთ ამ სამეფო-სამთავროთაგან საკუთრივ „კაპადოკია“, „ტავროსთან მდებარე კაპადოკია“ ანუ „დიდი კაპადოკია“ ეწოდა, ხოლო მეორეს - „პონტო“ ანუ „პონტოს კაპადოკია“ (Strabo, XII, 1, 4) [13, 502-503].

ზემომყვანილი ძველსპარსული ლურსმული ტექსტები იმ ასპექტითაცაა საგულისხმო, რომ ისინი, ფაქტობრივად, პირველად ადასტურებენ გვიანხეთური ხანის (ძვ. წ. IX-VII სს.) აღმოსავლეთ მცირე აზიის პოლიტიკურ რუპაზე ძვ. წ. VI

დედაქალაქს" უწოდებდნენ. წინამდებარე სტატიის ერთ-ერთი ავტორი აქადური ლურსმული წარწერების, ბიბლიის სხვადასხვა წიგნების, ბიბლიის გენეალოგიური სიების გვიანდელი კომენტარორების – იოსებ ფლავიოსის, ევსტათი ანტიოქელის, ლეონ გრამატიკოსის, იოანე ზონარას, Liber generationis Chronicon a334-ის, გიორგი სინგელოზისა და სხვების მონაცემთა ანალიზისა და ურთიერთშეჯერების გზით იმ დასკვნამდე მივიდა, რომ სომხური წერილობითი ტრადიცია ამ საკითხში Liber generationis-ის იმ ინტერპრეტაციის ეფუძნება, რომლის თანახმადაც, კაპადოკიელების ეთნარქოსი, ბიბლიური იაფეტის შთამომავალი, გამერი (კიმერიელი) იყო (იაფეტის ძენი არიან გამერი, რომლისგანაც არიან კაპადოკიელები, მადაც, რომლისგანაც არიან მიდიულები, იუანი, რომლისგანაც არიან ბერძნები და იონელები, თობელი, საიდანაც არიან ეტთალიელები, თირასი, საიდანაც არიან თრაკიელები, თოვორმა, საიდანაც არიან არმენიელები". უფრო დაწვრილებით ის. ხაზარაძე ნ., თაბაღის ქვეყნის ადგილმდებარეობისათვის, კრებულში: ქველი ისტორიის საკითხები, II, თბილისი, 1970, გვ. 64-84; მისივე, აღმოსავლეთ მცირე აზიის ეთნიკური და პოლიტიკური გაერთიანებები ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში, თბილისი, 1978, გვ. 87-88; მისივე, კიმერიელები წერილობითი წყაროების მონაცემთა კონტექსტში, კრებულში: ჯავახეთი. ისტორია და თანამედროვეობა, I, ახალციხე, 2002, გვ. 15-23.

საუკუნისათვის მომხდარ არსებითი ხასიათის ცვლილებებს. კერძოდ კი, ამ რეგიონში გვიანხეთურ ხანაში განლაგებულ სამეფო-სამთავროთა (თაბალი, თუნა, თუხანი, შინუხთუ, ხილაქუ, კამანუ-მელიდუ, გურგუმი, კუმუხი) პუთვნილ ტერიტორიაზე [14, 38-58; 15, 9-18] ახალი მსხვილი პოლიტიკური ერთეულის *Katpatuka-ს* (*კატპატუკას*) არსებობას, რომელიც აქემენიდური ირანის ქვეშევრდომობაში იმყოფებოდა.

და ბოლოს, ზემოთ მოყვანილი და განხილული ძველსპარსული ლურსმული წარწერები, ბუნებრივია, აქემენიდური ირანისა და მის მიერ დამორჩილებული ქვეყნების ისტორიისა და კულტურის რეკონსტრუქციისათვისაცაა ღირებული. მაგრამ, რაკი ეს ეპიგრაფიკული ძეგლები დღემდე ძველსპარსული ლურსმული დამწერლობის, ენისა და აქემენიდური ირანის ისტორიის თვალსაჩინო სპეციალისტთა კვლევა-ძიების არეალშია მოქცეული [3, 352-379], ჩვენ მხოლოდ *Katpatuka-სთან* (*კატპატუკასთან*) დაკავშირებული ცნობების წარმოჩენითა და შესწავლით შემოვიდარგლეთ, მითუმეტეს, რომ ამგვარი სამუშაო სპეციალურად ჯერჯერობით არავის ჩაუტარებია.

აქვე იმასაც შევნიშნავთ: რომ საქართველოს ძველი და ადრეშუა საუკუნეების ისტორიისათვის *Katpatuka-Kappatadokiა-ს* (*კატპატუკა-კაპადოკიას*) სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნია. საკმარისია გავიხსენოთ, რომ იოსებ ფლავიოსი (ახ. წ. I ს.) და მისი კონცეფციის მიმდევრები (ევსტათი ანტიოქელი, ლეონ გრამატიკოსი, იოანე ზონარა...) კაპადოკიელების ეთნარქოსად მაინცადამაინც მესხოსს (მოსოხ-მოსოქს) წარმოგვიდგენენ [16, 10-14; 17, 271-273; 18, 34-35; 19, 4; 20, 182], რომელსაც მკვლევართა დიდი ნაწილი XIX საუკუნიდან მოყოლებული დღემდე, მესხების წინაპრად მიიჩნევს [16, 10-14].

ჩვენთვის არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, რომ კაპადოკია ქართველთა განმანათლებლის, წმ. ნინოსა და საქართველოში ყველაზე პოპულარული წმინდანის, წმ. გიორგის სახელებს უკავშირდება.

2009.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

1. Kent R. G., Old Persian, Grammar, Texts, Lexikon, New Haven, Connecticut, 1953.
2. Schmitt, Kappadoker, Reallexikon der Assyriologie und Archäologie, Berlin-New York, 1980.

3. Дандамаев М. А., Луконин В. Т., Культура и экономика древнего Ирана, Москва, 1980.
4. Posener G., La première domination Perse en Égypte, Caire, 1936.
5. ანდრონიკაშვილი მ., ძველი ირანი. აქემენიდების ძველი სპარსული ლურსმული წარწერები, წიგნში: ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის ქრესტომათია, თბილისი, 1990.
6. Walser G., Die Völkerschafter auf den Reliefs von Persepolis, Berlin, 1966.
7. Дандамаев М. А., Политическая история Ахеменидской державы, Москва, 1985.
8. Хазарадзе Н. В., К вопросу о локализации матиенов в свете древнегреческих письменных источников VI-V вв. до н. э.; კრებულში: ხაზარაძე ნ., სამხრეთ კავკასია და ახლო აღმოსავლეთი, თბილისი, 2005.
9. ჰეროდოტე, ისტორია, II, თბილისი, 1976. ბერძნულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და სამიებელი დაურთო ო. ყაუხჩიშვილმა.
10. ჰეროდოტე, ისტორია, I, თბილისი, 1975. ბერძნულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და სამიებელი დაურთო ო. ყაუხჩიშვილმა.
11. Trümpelmann L., Zur Entstehungsgeschichte des Monumentes Darios` I von Bisutun und Zur datierung der Einführung der altpersischen Schrift, Archäologischer Anzeiger, III, Berlin, 1967.
12. ბახსოლიანი ნ., ტერმინი „კაპადოკია“ ძველაღმოსავლურ და ანტიკური ხანის წერილობით წყაროებში, ისტორიულ-ეთნოგრაფიული ჟტუდიები, V, თბილისი, 2002.
13. Страбон, География в 17 книгах, перевод, статья и коментарии Г. А. Стратановского, Москва, 1964.
14. ხაზარაძე ნ., აღმოსავლეთ მცირე აზიის ეთნიკური და პოლიტიკური გაერთიანებები ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში, თბილისი, 1978.
15. ხაზარაძე ნ., სამხრეთ-აღმოსავლეთ მცირე აზიის ისტორიული გეოგრაფიიდან, კრებულში: ნ. ხაზარაძე, სამხრეთ კავკასია და ახლო აღმოსავლეთი, თბილისი, 2005.
16. ხაზარაძე ნ., ბიბლია და მესხების ძველი ისტორია, კრებულში: მესხეთი. ისტორია და თანამედროვეობა, ახალციხე, 2000.

17. ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ V, ძველი ბერძნულიდან თარგმნა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო თ. ყაუხეზიშვილმა, თბილისი, 1983.
18. გეორგიკა I, ბიზანტიური მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცეს და განმარტებები დაურთეს ალ. გამყრელიძემ და ს. ყაუხეზიშვილმა, თბილისი, 1961.
19. გეორგიკა V, ბიზანტიური მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხეზიშვილმა, თბილისი, 1963.
20. გეორგიკა V, ბიზანტიური მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხეზიშვილმა, თბილისი, 1966.

**Nana Khazaradze Nana Bakhsoliani**

### **KATPATUKA OF OLD PERSIAN CUNEIFORM INSCRIPTIONS**

According to the authors, old Persian inscriptions (DBI, 15-16; DPe, 12; DNA, 28; DSe, 27; DSm, 8; XPh, 26; A? P, 21) of Darius I (621-586 BC), Xerxes (55-565 BC) and Artaxerxes II (405-359 BC) denoting the designation Katpatuka, which are represented in the article fully, are noteworthy for several aspects. In particular, unlike old oriental written monuments, in these inscriptions the general geographical designation Katpatuka denoting a quite large area of Asia Minor is recorded for the first time. From the 5<sup>th</sup> century the term is replaced by Καππαδόκια, having the same etymology.

In the authors' opinion, the information preserved in the old Persian written monuments is important from the viewpoint of historical geography of Katpatuka as well. Out of the 7 old Persian cuneiform inscriptions containing the designation Katpatuka, in 6 (DBI, 15-16, DPe, 12, DNA, 27-28, DSe, 27, DSm, 8, XPh, 26, A? P, 20-22) it is mentioned next to Armina (Armenia-Urartu), and in 4 – between Armina (Armenia-Urartu) and Sparda (Sparda-Lydia) (DPe 8, DNA 27-28, DSe 27, A?P 20-22). This, in the authors' view, fully correspond to the evidence preserved in the works of ancient Greek and Roman authors reflecting the localization of Cappadocia, according to which, the bordering countries of Cappadocia were Armenia, Cilicia, Lydia and Phrygia and Cappadocia extended to the Pontus Euxin (the Black Sea) to the North.

The article shows that old Persian cuneiform texts are also significant because actually for the first time they confirm the essential changes that had occurred by the 6<sup>th</sup> century BC on the political map of Eastern Asia Minor of the Late Hittite period (the 9<sup>th</sup>-7<sup>th</sup> cc. BC). Namely, this is the existence of a new large political unit Katpatuka, being under the subordination of Achaemenid Iran, on the territory belonging to the kingdoms and principalities (Tabal, Tuna, Tukhan, Šinukhtu, Khilaku, Kammanu-Melidu, Gurgum, Kumukh) located in this area in the Late Hittite period.

რიცხვითი სახელმის აღმნიშვნელი

ლუგიური იეროგლიფები

ქვ. წ. XVI საუკუნეში მცირე აზიაში მცხოვრებმა, ხეთების მონათესავე ლუგიულებმა ორიგინალური დამწერლობა შექმნეს, რომლის ამოკითხვას მეცნიერებმა ათწლეულები მოანდომეს. ლუგიური იეროგლიფების სემანტიკური კოდების ამოხსნასთან დაკავშირებით ჩატარებულმა მრავალწლიანმა კვლევა-ძიებებმა იმ მნიშვნელოვან დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ არა მხოლოდ ამ დამწერლობით შესრულებული ქვ. წ. II-I ათასწლეულებით დათარიღებული ეპიგრა-ფიკული ძეგლები, არამედ თავად ლუგიური იეროგლიფური ნიშნები ძველი ანატოლიის ხალხების ისტორიისა და კულტურის ისტორიის რეკონსტრუ-ქციისათვის ძვირფას საინფორმაციო წყაროს წარმოადგენს. ამ ორიგინალური დამწერლობის შემქმნელები ამომწურავ ინფორმაციას ფლობდნენ მცირე აზიის ხალხების ისტორიისა და კულტურის შესახებ [1, 11 და შმდ.].

სადღეისოდ 500-მდე ლუგიური იეროგლიფია ცნობილი. სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული თვალსაზრისის თანახმად, ეს დამ-წერლობა თავდაპირველად საკულტო დანიშნულების იყო. საკანცელარიო ხეთური ლურსმულისაგან განხსვავებით, ლუგიურ-იეროგლიფური რელიგიურ მონუმენტურ დამწერლობას ასახიერებდა. გვიანხეთურ ხანაში (ქვ. წ. I ათასწლეულის პირველი მეოთხედი) იგი სეკულარიზაციას განიცდის. მკვიდრდება სამშენებლო და მიძღვნითი ხასიათის წარწერების შექმნის ტრადიცია. ყიზილ-დაღის, ყარა-დაღის, ბურუნქაიას მთიანეთში, ყარა-თეფეზე (კილიკია), ქარხემიშში (ჩრდილოეთი სირია, დღევ. ჯერაბლუსი) მეფე-მთავრები (ხართაფუ, აზითავადა, იარიოსი, ქათუვასი...) ანალების ტიპის წერილობით ძეგლებს ქმნიან. დღევანდები კულულუს ბინადარი ტყვიის ფირფიტებზე სამეურნეო-საგადასახადო დანიშნულების დოკუმენტებს ადგენენ [2, 8-9, 31-32...; 3, 33-37].

იეროგლიფურ-ლუგიური ეპიგრაფიკული ძეგლების გავრცელების ჩრდილოეთი საზღვარი ალაჯა-ჰუიუქთან გადის, აღმოსავლეთი პინესთან, ზემო მესოპოტამიაში, ხოლო სამხრეთი – პამათზე, სირიაში. თუმცა, ამ დამწერლობით შესრულებული ქვაზე ამოკვეთილი ცალკეული წარწერები სიპილოსში, ყარაბელში, კვიპროსზე, ბაბილონში, ირანში და სხვა პუნქტებშია აღმოჩენილი. ამ წარწერების რაოდენობა 300-ზე მეტია, 800-ს აღემატება საბეჭდავებზე მოთავსებული იეროგლიფურ-ლუგიური

წარწერების რაოდენობა. ხეთების დროინდელი საბეჭდავები, რომლებმაც უმთავრესად ანაბეჭდების სახით მოაღწიეს ჩვენამდე, ხშირად ორენოვანია. ისინი, ძირთადად, ხეთი მეფეების სახელებს, ტიტულატურებსა და გენეალოგიებს გვაცნობენ (ბოდაზქო, ტარსუსი, უგარითი). ხეთური ხანის იეროგლიფურ-ლუვიური წარწერები ხეთი მეფეების კლდეში ნაკვეთ რელიეფებზედაცაა დადასტურებული, სადაც მეფეების გამოსახულებები და მსხვერპლშეწირვის სცენებია აღმოჩენილი. ზოგჯერ იეროგლიფურ-ლუვიური წარწერები დვთაებათა სახელებს გვაცნობს, ზოგჯერ რიტუალური ხასიათის ტექსტებს [4, 17].

იეროგლიფურ-ლუვიური ენა ლურსმული ლუვიურის მონათესავეა. ძველი ანატოლიის ეს ორი ენა A და B ლიკიურთან, პისიდიურთან, ლიკაონურთან, სიდეტურთან ერთად ძველი ინდოევროპული ენების ანატოლიურ (ხეთურ-ლუვიური) ჯგუფის ლუვიურ ქვეჯგუფადაა მიჩნეული [5, 14]. როგორც წესი, ლუვიური იეროგლიფი დიდ მარცვლის სახითაა წარმოდგენილი - ხმოვანი ან თანხმოვანი-ხმოვანი (თუმცა გვხვდება გამონაკლისებიც, როდესაც იეროგლიფური ნიშანი რომელიმე ასო-ბერას შეესაბამება. იეროგლიფურ-ლუვიურ ლოგოგრამებსა და დეტერმინატივებს ზოგჯერ ფონეტიკური კომპლემენტები ახლავს, რომლებიც სიტყვის ფუძის ბგერით შემადგენლობას და ფლექსიას გვაცნობს [6, 9].

არსებობს ლუვიური იეროგლიფების კლასიფიკაციის რამდენიმე გერსია. ემ. ლაროშის მიერ შემუშავებული საკმაოდ არგუმენტირებული კლასიფიკაციის მიხედვით, ლუვიური იეროგლიფები ფუნქციის გათვალისწინებით, შესაძლოა ათ ჯგუფად დაიყოს. იეროგლიფური ნიშნების პირველი ჯგუფი ადამიანებთან, მის სხეულთან, სოციალურ სტატუსთან, სხვადასხვა ქმედებებთან დაკავშირებულ ცნებებს ასახიერებს (მე, ადამიანი, თავი, ხელი, ფეხი, ტერფი, ქალი (საშოს სახით), დედა, ქალბატონი, დედოფალი, მეფე, დიდი მეფე, ბაჟშვი, ვაჟი, უფლისწული (ქალი, ვაჟი), მმა, გმირი, ძლიერი, მრისხანება, საუბარი, აღება, დადება, მიტანა, თაყვანისცემა, რიტუალის აღსრულება და ა. შ.), მეორე - ცხოველებს (ძაღლი, ცხენი, სახედარი, ირემი, ხარი, ცხვარი, კურდდელი, ლომი...), მესამე - მცენარეებს (პურის თავთავი, ბროწეული, ყურძნის მტევანი, მარადმწვანე ხე ეა...), მეოთხე - მნათობებს, ბუნების მოვლენებს, ლანდშაფტს (ცა, მზე, მთვარე, ექვსქიმიანი და მრავალსხივიანი ვარსკვლავები, ელვა, მიწა, დაბლობი, მთა, მდინარე, წყალი, წყაროს სათავე, აღმოსავლეთი, დასავლეთი...), მეშვიდე - ჭურჭელს, მერვე -

სიმბოლოებს (ღვთაების, ქალღვთაების, მეფის, ქურუმის, მოსამართლის აღმნიშვნელი სიმბოლოები...), მეცხრე – რიცხვებს, გეომეტრიულ ფიგურებს (ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი, შვიდი, რვა, ცხრა, ოთი, ასი...), მეათე ჯგუფში ჯერ-ჯერობით დაუდგენელი სემანტიკის იეროგლიფებს აერთიანებენ.

როგორც ვხედავთ, ამ ორიგინალური დამწერლობის შემქმნელები ამომწურავ ინფორმაციას ფლობდნენ მცირე აზიის ფლორასა და ფაუნაზე, ბუნებრივ სიმდიდრეებზე, მეურნეობაზე და ყოფაზე, სამხედრო საქმეზე, არქიტექტურაზე, საზოგადოების სოციალურ სტრუქტურაზე, ხათების, ლუგიელების, ხეთების კოსმოგონიურ და კოსმოლოგიურ რწმენა-წარმოდგენებზე.

ამჯერად, ჩვენი კვლევის ობიექტი ემ. ლაროშის მიერ მეცხრე ჯგუფად გამოყოფილი (იხ. ზემოთ) იეროგლიფურ-ლუგიური რიცხვითი სახელებია, რადგან ისინიც დამატებით საყურადღებო ინფორმაციას გვაწვდიან იმ ძველაღმოსავლური საზოგადოების ცოდნის დონის შესახებ, რომელიც ამ დამწერლობით სარგებლობდა. აქვე დავძენთ, რომ არცერთ სადღეისოდ ცნობილ იეროგლიფურ-ლუგიურ ეპიგრაფიკულ ძეგლში რიცხვითი სახელი არ მოწმდება, გარდა კულულუში გასული საუკუნის მეორე ნახევარში აღმოჩენილი წარწერიანი ტყვიის ფირფიტებისა, რომლებიც სამეურნეო-საგადასახადო აღრიცხვის მიზნით იყო შედგენილი [3, 33-37].

განსხვავებით შუმერული, აქადური, ხეთური რიცხვითი სახელების სისტემებიდან, სადაც რიცხვითი სახელები რაოდენობითი, რიგობითი, ჯერობითი, გამანაწილებელი და წილობითი ჯგუფების სახითაა წარმოდგენილი, [7, 41-45; 8, 59-64...] კულულუს ტყვიის ფირფიტებზე მხოლოდ რაოდენობით რიცხვით სახელებს ვხვდებით. მაგრამ ეს გარემოება სრულიად არ გამორიცხავს ვარაუდს, რომ სხვა ანალოგიურ წერილობით ძეგლებში, რომლებმაც რიგი გარემოების გამო ჩვენამდე ვერ მოაღწია, რიცხვითი სახელების სისტემა ისეთივე სრულყოფილი იყო, როგორც ეს ზემოსსენებულ ლურსმულ დამწერლობებშია. შესაძლოა, ჩვენთვის საინტერესო ინფორმაციის ნაკლებობა იმითაც იყოს განპირობებული, რომ, როგორც ვარაუდობენ, იეროგლიფურ-ლუგიური დამწერლობით შესრულებული დოკუმენტები ხეზე ფუნჯითა და შავი საღებავით იწერებოდა და ამ მიზეზით საუკუნეებს ვერ გაუძლო.

კულულუში არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილ ტყვიის ფირფიტებზე, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მხოლოდ რაოდენობითი რიცხვითი

სახელები დასტურდება. 1-დან 9-მდე აღმნიშვნელი რიცხვითი სახელები ვერტიკალური ხაზებითაა გადმოცემული, ათეულები – პორიზონტალურით. რაც შეეხება ასეულებს, რომელსაც ფირფიტებზე მრავალგზის ვხვდებით, მათ ცეცხლსაჩხერები ფორმის ფიგურები განასახიერებს. იეროგლიფურ-ლუგიური რიცხვითი სახელების გადმოცემისას, ამ დამწერლობისათვის დამახასიათებელ ერთ თავისებურებასაც ვადასტურებთ. ასზე მეტი მრგვალი რიცხვები ასის აღმნიშვნელი იეროგლიფის განმეორებით ხორციელდება (200, 300, 400), ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც დოკუმენტის ავტორს ესაჭიროება ისეთი რაოდენობრივი რიცხვის წარმოჩენა, როგორიცაა 141, 232 და ა. შ. იგი ასეულის აღმნიშვნელ ფიგურას ქვემოთ ჯერ ათეულების (პორიზონტალურ) და ბოლოს ერთეულების (ვერტიკალურ) ხაზებს უმატებს. იგივე მეორდება ისეთი რიცხვითი სახელების დაწერილობისას, როგორიცაა: 15, 32, 68...

იეროგლიფურ-ლუგიური რიცხვითი სახელების ფონეტიკური ამოკითხვა ჯერ-ჯერობით არ ხერხდება. ამ თვალსაზრისით, გამონაკლისს ოთხისა და ცხრის (mi, nu) აღმნიშვნელი ლუგიური იეროგლიფები წარმოადგენს. ხეთური და ლუგიური ლურსმულის, A და B ლიკიურის მსგავსად 4-ისა და 9-ის აღმნიშვნელი ფონეტიკური წაკითხვა აკროფონულ პრინციპზეა დამყარებული.

ზემოაღნიშნულის საილუსტრაციოდ, გვიანხეთური ხანის აღმოსავლეთ მცირე აზიაში მდებარე თაბალის ტერიტორიაზე\*, დღევანდელ კულულუში აღმოჩენილ ტყვიის ფირფიტებზე შესრულებული დოკუმენტური ჩანაწერებიდან ფრაგმენტს მოვიყვანთ. დოკუმენტში საუბარია თაბალის ქალაქების (თივარალი, ზემო თუნა, ქვემო თუნა და თუნა, ასაპაიალარა, სუნავარა, მურათი, სუნაქათა, აპათიკუპარაი, არუსალისი) მცხოვრებთათვის გაწეული შრომის ანაზღაურების მიზნით გაცემული ცხვრების რაოდენობის შესახებ. (აქვე დავძენთ, რომ კულულუს წარწერის სხვა ფრაგმენტებში ხარებისა და ქერის რაოდენობაცაა მითითებული).

იეროგლიფურ-ლუგიური ტექსტი [10, 148] ასე გამოიყერება:

---

\* თაბალი ასერული ლურსმული და იეროგლიფურ-ლუგიური წერილობითი ძეგლების მონაცემთა კონტექტში დიდი კაპადოკიის სამხრეთ-დასავლეთ სექტორში, დღევანდელი გურუნ-შავრი-პოზანდიდან (მდინარე სეი-პანის ზემო დინებიდან) დასავლეთით, დღევანდელი პოზანდი-ზეივე-ბორი-ნიფლიქის ხაზიდან ჩრდილოეთითა და ჩრდილო-დასავლეთით, დღევანდელი სულთანხანი-კაისერი-სუვასა-ტოპადადან აღმოსავლეთით (მდინარე ჰალისიდან, დღევანდელი ყიზილ-ირმაკიდან აღმოსავლეთით) მდებარეობდა. [9, 25-61]



Հայաստանի Շահագործ Խաղաղութեան կամաց շահագործութեան

### Ցայտական վայրի տարրեր:

32 Ըեցարո մշշաքօմա եռե մոեցօ. 68 Ըեցարո լալօմա ձարասատաս (?) մոեցօ յշյօմետջօն. 140 Ըեցարո 7 յանձազյօնաս մոզյօտ յալօյ ասաքաօալարանո 40 Ըեցարո եշեցե. 30 Ըեցարո 3 եացօալե. 30 Ըեցարո մոզյօտ յշլօն, տշմօնօն, տշտշե, (մամայացյօն?) յալօյ եշեցարանո. 20 Ըեցարո եատանշե. 40 Ըեցարո... (?) 4. 20 Ըեցարո... (?) 2. 100 Ըեցարո 5 յանձազյօնաս յալօյ մշրատնո. 20 Ըեցարո յշօնօն, ձալշեն, յալօյ եշեցատանո. 100 Ըեցարո 5 յանձազյօնաս յալօյ տուգարալնո. 20 Ըեցարո 2 մոնաճորյե. 141 Ըեցարո 3 յանձազյօնաս, յալօյ աշտոյշաշրաօնո. 15 Ըեցարո մատ մոեցյե յալօյ արշեալունօն... (?). 200 Ըեցարո ատուգարարեն. 20 Ըեցարո... (?) 14 Ըեցարո յալօյ ասաօլարաօդան ... (?) ծրմանյօնտ մոութանյե.

Ոյրոցլուգյուր-լուցոյւրո րուբեցոտո ևաելլենօն օսթորոնու րըշոնսթրոյէլուա, մասալու ևոմիրոն մոյեցացած, յուղա յրտեցլ գցիկցենյօն, րոմ լուցոյւրո ոյրոցլուգյօն և սյանքոյոյւրո յուղենօն թյեժացլա պյուրակէթոյւլուցա ու այցուլլենյուց.

**2010.**

### Համովմյօնյունո Վյարոյեն და լությրաթյուրա

1. 6. Եանարածյ, Վյարոտմցունյօնօնոտո და օսթորոնոցրացոյունո ծոյնանո, տօնուանո, 2009.
2. 6. Եանարածյ, լուցոյւրո ոյրոցլուգյօն սամյարոնո տօնուանո, 2006.
3. 6. Եանարածյ, Ծյուանական գյուղական գյուղական, օսթորոնու და յոնուանո օնսթություն մատուցանո, VIII, տօնուանո, 2008.
4. Laroche E., Les Hieroglyphes Hittites, Paris, 1960.
5. Языки Азии и Африки, I, Москва, 1976.

6. Meriggi P., Manuale Di Eteo Geroglifico, Parte I: Grammatica, Roma, 1966.
7. ჯ. შარაშენიძე, შუმერული ენის გრამატიკა, თბილისი, 2005.
8. ი. ტატიშვილი, აქადური ენა, თბილისი, 2009.
9. 6. ხაზარაძე, ძველაღმოსავლური და ქართველოლოგიური ძიებანი, თბილისი, 2001.
10. J. D. Hawkins, The Kululu lead strips economic documents in Hieroglyphic Luwian, AnSt, vol. XXXVII, London-Ankara, 1987.

**Nana Khazaradze Nana Bakhsoliani**

### **LUWIAN HIEROGLYPHS DENOTING NUMERALS**

Results of our labour-intensive research of many years conducted for the purpose of study of the given hieroglyphic Luwian written monuments and reconstruction of semantic codes of separate hieroglyphic signs (hieroglyphs representing animals, plants, interiors and exteriors of ancient Anatolian architectural monuments, heavenly bodies, etc.) unequivocally demonstrate that not only hieroglyphic Luwian inscriptions, but also separate hieroglyphic signs should be considered as a source of information of primary importance. The results of study of the hieroglyphic Luwian system of numerals lead to the same conclusion.

ისტორიის გაპვეთილები

(გვიანეთშრი ხანის მცირე აზიის კოლიტიკური ისტორიისათვის)

ქვ. წ. IX-VII საუკუნეების ძველადმოსავლური (ასურული, ურარტული ლურსმული, იეროგლიფურ-ლუვიური) წერილობითი ძეგლების შესწავლა ცხადჰოფს, რომ ე. წ. „ბნელი ხანის“ (Dark age) დასასრულისათვის (ქვ. წ. X-IX საუკუნეების მიჯნა) აღმოსავლეთ კაპადოკიასა და კილიკიაში არაერთი ეთნოპოლიტიკური ერთეული (ე. წ. „მცირე ქვეყანა“) აღმოცენდა, რომელსაც სათავეში მეფე (šarru, LUGAL) ქვეყნის მეფე, განმგებელი (KUR.NA), მმართველი, სუვერენი (tarwanas) ედგა. ეს ერთეულებია: მუშქების/მუსქების/მუსქას ქვეყანა, თაბალი, ხილაქე, თუნა, კამანუ-მელიდუ, გურგუმი, კუმუხი, ქუ [1, 3-7; 2,72-125; 3, 26-74].

წერილობითი პირველწყაროების მონაცემთა კონტექსტში ირკვევა, რომ ამ ეთნოპოლიტიკური ერთეულების პირველ პირთა ძირითად საზრუნავს იმპერიული ამბიციებით აღსავსე ასურეთის სახელმწიფოს კლანჭებიდან თავის დაღწევა წარმოადგენდა. დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად ისინი სხვადასხვა საშუალებებს მიმართავდნენ: უძინესი ხარჯის გადახდის პირობით, მოჩვენებით მორჩილებას, ასურეთის მეფეთა ჰარამხანაში ძვირფასი მზითვით ხელდამშვენებული საკუთარი ქალიშვილებისა და მძევლებად დიდებულთა ოჯახების წევრების გაგზავნას, დამპყრობელთან სამხედრო დაპირისპირებას ... [1,97-101; 3,32; 4, 49-68].

აღნიშნულის საილუსტრაციოდ, გვიანხეთური ხანის ერთ-ერთი „მცირე ქვეყნის“ თაბალის (ბიბლიური თუბალ-თობელის) შესახებ ქვ. წ. IX-VII სს-ის ასურულ ლურსმულ წერილობით ძეგლებში დამოწმებულ რამდენიმე ცნობას მოვიხმობთ.

თაბალი დიდი კაპადოკიის სამხრეთ-დასავლეთ სექტორში, დღევანდელი გურუნ-შაპრი-პოზანდიდან (მდინარე სეი-პანის ზემო დინებიდან) დასავლეთით, დღევანდელი პოზანდი-ზეივე-ბორი-ჩიფლიქის ხაზიდან ჩრდილოეთითა და ჩრდილო-დასავლეთით, დღევანდელი სულთანხანი-კაისერი-სუვასა-ტოპადადან აღმოსავლეთით (მდინარე ჰალისიდან, დღევანდელი ყიზილ-ირმაკიდან აღმოსავლეთით) მდებარეობდა [1,38-58; 5,2561; 3,26]. ასურელებმა ამ ქვეყანას უურადღება ჯერ კიდევ სალმანასარ III-ის (ქვ. წ. 859-824 წწ) მეფობის ხანაში მიაქციეს. ე. წ. „შავი ობელისკის“ მოწმობით, ქვ. წ. 837 წელს სალმანასარ III-ს ოცდამეორედ

გადაულახავს მდ. ევფრატი და თაბალის ქვეყნისაკენ დაძრულა, სადაც თაბალის 24 მეფისაგან ძღვენი მიუღია. შემდგომ წელს ასურეთის მეფეს მდ. ევფრატის მიმართულებით სამხედრო ოპერაცია კვლავ განუხორციელებია. იგი მელიდის მეფის, ლალას სამეფო ქალაქ უეთაში დაბანაკებულა. ამჯერად, ხარკით ხელდამშვენებული თაბალის მეფეები ასურეთის მბრძანებელთან „ნებაყოფლობით” გამოცხადებულან [6, 62, სტრ. 104, 107; 7, I, №579]. იმავე სალმანასრ III-ის სხვა წარწერაში (სამეფო ტახტზე ამოკვეთილი წარწერა) თაბალი ასურელთა მოხარკე ქვეყნებს შორისაა მოხსენიებული [7, I, №674], რაც სრულად ეთანხმება „შავი ობელისკის” ცნობებს ასურელთა მიერ თაბალის დალაშქვრისა და თაბალელებისაგან ხარკის მიღების შესახებ. განსაკუთრებულ ინტერესს ამ „მცირე ქვეყნისადმი”, ერთი მხრით, მისი სტრატეგიული მდებარეობა აპირობებდა და მეორე მხრით, ოქრო-ვერცხლითა და საუკეთესო ჯიშის ცხენებით სიმდიდრე. თიგლათფილესერ III-ის დროინდელი (ძვ. წ. 745-727 წწ.) წერილობითი ძეგლებიდან ნათლად ჩანს, რომ ძვ. წ. VIII ს-ის მეორე ნახევარში თაბალი უკვე ასურელთა ქვეშევრდომობაში მყოფი ქვეყანაა. თიგლათფილესერ III-ის „ანალებში” იგი იმ „ქვეყნებს” შორის მოიხსენიება, რომლებიც ასურეთს ხარკს უხდიდნენ (გურგუმი, მელიდი, თუნა, ქასქუ...) [8, I, 802]. ისიც ირკვევა, რომ თაბალის მეფეები დამოუკიდებლობის დაკარგვას ძნელად ეგუებოდნენ. ნიმრუდში აღმოჩენილი ერთ-ერთი ასურული ლურსმული წარწერის მიხედვით, დაახლოებით ძვ. წ. 728 წელს თაბალის მეფე უასურმეს (იეროგლიფურ-ლუვიური წარწერების ვასუსარუმას) ასურელთა ქვეშევრდომობისაგან განთავისუფლება განუზრახავს. წერილობითი წყაროს ცნობით, ამ მცდელობას თაბალისათვის სასურველი შედეგი არ მოჰყოლია. ასურელებს ურჩი მეფე უასურმეს ნაცვლად სამეფო ტახტზე ჰული (ვარიანტი: ჰულუ), „არავის შვილი” (ანუ პირი, რომელიც თაბალის ძველ სამეფო დინასტიას არ ეკუთვნოდა) დაუსვამთ. თაბალისათვის საკმაოდ საბედისწერო ამ ფაქტს ისიც დაემატა, რომ თაბალელები იძულებული გახდნენ ასურელი მოხელისათვის 10 ტალანტი ოქრო, 1000 ტალანტი ვერცხლი და 200 (ვარიანტი 2000) თაბალური ცხენი „ძღვნად” მიურთმევიათ.

სარგონ II-ის (ძვ. წ. 722-705 წწ.) მეფობის ხანაში ასურელები ყოველ დონეს ხმარობდნენ, რათა თაბალი მორჩილებაში ჰყოლოდათ. ძვ. წ. VIII ს-ის ბოლო მეოთხედით დათარიღებული სარგონ II-ის „ანალების”, ე. წ. „საგამოფენო წარწერის”, სამეფო სასახლის ჭიშკრის კომპლექსის იატაკზე ამოკვეთილი ასურული

ლურსმული ტექსტების და სხვა წერილობითი ძეგლების მოწმობით, თაბალთან „მეგობრული ურთიერთობების” განმტკიცების მიზნით სარგონ II-ეს თავისი ქალიშვილი, ახატაბიშა პულის (ვარიანტი: პულუს) მემკვიდრე ამბარიდუსათვის (ვარიანტი: ამბარისისათვის) მიუთხოვებია და მისთვის თაბალის მეზობელი ხილაქუ საჩუქრად უბოძებია. ასურეთის მხრიდან ამგვარი „წყალობის” მიუხედავად, თაბალის მეფეს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა არ შეუწყვეტია. ამჯერად, მას მოკავშირის ძებნა დაუწყია და ასეთად მუშქების ქვეყანა (დიდი ფრიგია) მიუჩნევია [7, №11, 25, 55; 8, №46, 165...].

სარგონ II-ის მემკვიდრე სინაქერიბის (ძვ. წ. 705-681 წწ.) დროინდელი ასურული ლურსმული წარწერების გაცნობისას ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს თაბალმა დროებით მაინც დამოუკიდებლობა მოიპოვა, რასაც, ერთი შეხედვით, შამაშის ორაკულისადმი ასარქადონის (ძვ. წ. 681-668 წწ.) მიურ დასმული ცნობილი „შეკითხვებიც” ადასტურებენ. ამ „შეკითხვებიდან” ირკვევა, რომ თაბალის მეფე იშგალუ და მელიდის მეფე მუგალუ ასურელთათვის საშიშ მოწინააღმდეგებებს წარმოადგენდნენ. ერთ-ერთ „შეკითხვაში” ასარქადონი შესთხოვს შამაშს აუწყოს მას იშგალუ თაბალელისა და მუგალუ მელიდელის მომავალი გეგმების შესახებ. იმავე მეფის მეორე შეკითხვის მიზანია გაარკვიოს, ხომ არ დაესხმიან თავს ასურელ სარდალს იშგალუ და მუგალუ [9,54,56a,57,59, 60, 61; 8, №68g].

ასურბანიფალის მეფობის ეპოქაში (ძვ. წ. VII ს.) სიტუაცია კვლავ ასურელთა სასარგებლოდ იცვლება. ამ მეფის სახელით შედგენილი ასურული ლურსმული წარწერების მოწმობით, ასურელთა ძლიერებით შეშინებულ თაბალელებისათვის, რომლებიც არა თუ არ ემორჩილებოდნენ ასურბანიფალის წინაპარ მეფეებს, არამედ „იარაღითაც კი იბრძოდნენ” მათ წინააღმდეგ, ხარკის სახით დიდი ცხენების მოყვანა და ასურეთის მეფის ჰარამხანაში თაბალის მეფის ქალიშვილის გაგზავნა დაუკისრებიათ [7, II, 516, 531; 8, №65].

პირველწყაროების ანალიზი გვიჩვენებს, რომ თაბალი, ისევე როგორც ზემოთ დასახელებული უკლებლივ ყველა კ. წ. „მცირე ქვეყანა” დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის კიდევ ერთ, ერთი შეხედვით თითქოს ეფექტურ გზას მიმართავდა, რაც კ. წ. „მცირე ქვეყნების” ანტიასურული კოალიციების შექმნასა და ამ კოალიციებში მცირე აზიაზე გაბატონობის პრეტენზის მქონე ასურეთის მეტოქე ნაირი-ურარტუსა და ცენტრალურ მცირე აზიაში ძვ. წ. VIII ს-ის ბოლო მეოთხედში (დიდი ხნის მანძილზე ნახევრადლეგენდარული, მაგრამ დღეს უკვე 33

რეალობადქცეული) მიღასის მიერ დაარსებული ფრიგიის სამეფოს (ასურული წერილობითი წყაროების მუშქების ქვეყნის) მონაწილეობას გულისხმობდა [7, II, 5, 11, 18, 80, 82, 92...].

მართალია, წერილობითმა წყაროებმა ამგვარი კოალიციების არსებობის ისტორიის შესახებ საკმაოდ ძუნწი ცნობები შემოგვინახა, მაგრამ მაინც ნათელია, რომ ნაირი-ურარტულ და დიდი ფრიგიაც ანტიასურულ სამხედრო კოალიციებში მონაწილეობაზე დიდი ხალისით თანხმდებიან. თუმცა აქვე დავძენთ, რომ ანტიასურულ კოალიციებს ე.წ. „მცირე ქვეყნებისათვის“ სასურველი შედეგი ყოველთვის არ მოჰქონდა. უფრო მეტიც, ასურული ერთი დოკუმენტური წყაროდან (ნიმრუდში აღმოჩენილი ბრძანებულებიდან, რომელიც სარგონ II-ის სახელითაა შედგენილი) იმასაც ვგებულობთ, რომ მუშქების ქვეყნის (დიდი ფრიგიის) მეფე მითამ (ძველბერძნული წერილობითი ტრადიციის მიღასმა) ანტიასურული წინა კოალიციის ერთ-ერთმა აქტიურმა წევრმა, ურარტუში წარგზავნილი თავის ყოფილი მოკავშირის – თაბაღის უშუალო მეზობელი ქვეყნის – ქუյს (კილიკია) 14 კაციანი ანტიასურული დელეგაცია დააატყვევა და „მეგობრობის“ ნიშნად ასურეთს გადასცა [10, 205]. ასე რომ, ე.წ. „მცირე ქვეყნებს“ ანტიასურული კოალიციების შექმნისას, მოკავშირების შერჩევისას დიდი სიფრთხილე და წინდახედულება მართებდათ!

ავტორების თვალსაზრისით, დიდი იმპერიების წინააღმდეგ პოლიტიკური ერთეულების (ე.წ. „მცირე ქვეყნების“) ბრძოლის გამოცდილებას არა მხოლოდ მეცნიერული, არამედ პრაქტიკული ლირებულება გააჩნია, განსაკუთრებით, ზესახელმწიფოების მეზობლად განლაგებული იმ ქვეყნებისათვის, რომელთაც დიდი ძალისხმევის შედეგად მოპოვებული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის ბრძოლა XXI საუკუნეშიც უხდებათ.

სავსებით კანონზომიერია, რომ მხედველობაში, უპირველეს ყოვლისა, საქართველო გვყავს, რომლის მრავალსაუკუნოვანი ისტორია, ფაქტობრივად, გადარჩენისათვის თავდადებული ბრძოლის ისტორიაა. მართალია, დღევანდელი მსოფლიო არსებითად განსხვავდება ძვ. წ. I ათასწლეულის მსოფლიოსაგან (და, კერძოდ, აღმოსავლეთ მცირე აზიისაგან), რაც სავსებით ბუნებრივია, მაგრამ ე.წ. „მცირე ქვეყნებისათვის“ რისკვაქტორების შემცველი ეპოქა, სამწუხაროდ, ჯერჯერობით არ დამთავრებულა. დღესაც მეცნიერულ ობიექტურ ანალიზე დაფუძნებული თვითგადარჩენის სტრატეგიისა და ტაქტიკის შემუშავებას, იმპერიული ამბიციებით შეპყრობილი პირისპირ მყოფი ქვეყნებისათვის სრულიად

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ამ თვალსაზრისით, ისტორიის გაკვეთილების ღრმა ცოდნა, დიდ პოლიტიკაში გათვალისწინება, XXI ს-ის ძირითად მოთხოვნად რჩება.

წარმოდგენილი მცირე ნარკვევი, რომელიც კვლევისათვის საკმაოდ რთული ასურული ლურსმული პირველწყაროების ჩვენებებს ემყარება, სწორედ ამ მიზნითაა შემოთავაზებული.

2011.

### გამოყენებული წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა

1. ხაზარაძე ნ., აღმოსავლეთ მცირე აზიის ეთნიკური და პოლიტიკური გაერთიანებები ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში, თბილისი, 1978.
2. ხაზარაძე ნ., საქართველოს ძველი ისტორიის ეთნო-პოლიტიკური გაერთიანებები, თბილისი, 1984.
3. ბახსოლიანი ნ., დიდი კაპადოკია ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში, თბილისი, 2008.
4. ხაზარაძე ნ., სამხრეთ კავკასია და ახლო აღმოსავლეთი, თბილისი, 2005.
5. ხაზარაძე ნ., ძველაღმოსავლრი და ქართველოლოგიური ძიებანი, თბილისი, 2001.
6. Amiaud A., Sheil V., Les Inscriptions de Salmanasar III di Assyrie, Paris, 1890.
7. Luckenbill D., Ancient Records of Assyria and Babylonia, I-II, Chicago, 1926-1927.
8. Дьяконов И. М., Ассиро-аввилонские источники по истории Урарту, Вестник древней истории, Москва, 1951, №2, 3, 4.
9. Knudtzon J. A., Assyriche Gebete an den Sonnengot, Leipzig, 1893.
10. Saggs H. W., The Nimrud Letter. The Urartian Frontier, 1952, IV, "Iraq", XX, 2, 1958.

**Nana Khazaradze Nana Bakhsoliani**

**HISTORY LESSONS**

**(ON POLITICAL HISTORY OF ASIA MINOR IN THE LATE HITTITE PERIOD)**

In the context of the evidence of the 9<sup>th</sup>-7<sup>th</sup> cc. BC Assyrian written monuments, on the example of one of the political units – Tabal, the basic directions of the struggle against the Assyrian Empire of the so-called "minor countries", formed at the turn of the 10<sup>th</sup>-9<sup>th</sup> cc. BC in eastern Asia Minor, are reconstructed as fully as possible. In the authors' view, in spite of the fact that the present-day world fundamentally differs from the world of the 1<sup>st</sup> millennium BC (which is quite regular), for "minor countries", which achieved independence and freedom in the 20<sup>th</sup> c. by great efforts, the period containing risk factors has not ended yet. Nowdays, for countries (including Georgia) located in the neighbourhood of states that are obsessed with imperial ambitions, special significance attaches to working out of a strategy and tactics of selfpreservation, based on scientific analysis. In this respect, awareness of lessons of history and their consideration in great politics remain for them a major challenge in the 21<sup>st</sup> c.

სახელმწიფოს უსაფრთხოების დაცვის მშენახლოაღმოსაგლური

მოღელის რეპრენდიტურისათვის

ხელისუფალთა მიერ სახელმწიფოს უსაფრთხოების დაცვაზე ზრუნვა დროსა და სივრცეში უნივერსალურია. ამ თვალსაზრისით, პირველ მაგალითებს ძველ ახლო აღმოსავლეთში ვხვდებით. სახელმწიფოს მესვეურები სხვადასხვა სტრატეგიას მიმართავდნენ.

ქვ. წ. II-I ათასწლეულის ძველახლოაღმოსავლური (ხეთური, ხურიტული, ასურულ-ბაბილონური, იეროგლიფურ-ლუვიური, ურარტული და ძველბერძნული) წერილობითი ძეგლების და ძველი ახლოაღმოსავლეთის ქვეყნების ტერიტორიაზე ჩატარებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად მოპოვებული მასალის ურთიერთშეჯერება და ანალიზი გვიჩვენებს, რომ ამ თვალსაზრისით ჩატარებული დონისძიებანი სტერეოტიპულია. უპირველეს ყოვლისა, ყურადღება ექცეოდა სახელმწიფოების, დედაქალაქების, მსხვილი დასახლებული პუნქტების, საკულტო ცენტრების საზღვრების დაცვას. ამ მიზნით, ხელისუფლება უზრუნველყოფდა სტრატეგიული მნიშვნელობის ციხე-სიმაგრეების აღმშენებლობას. სამხედრო დანიშნულების ამ ნაგებობებს, როგორც წესი, ქვეყნის დომინანტი ეთნოსის წარმომადგენლები ემსახურებოდნენ. ამ ასპექტით, ყურადღებას, ძველახლოაღმოსავლური ქვეყნების არქეოლოგიური კვლევა-ძიებების შესწავლის შედეგები იმსახურებს. ასე, მაგალითად, დღეს უკვე კარგადაა ცნობილი, რომ ქალაქ სუზას მასიური გალავანი ჰქონდა გარშემორტყმული და იქვე მდინარის პირას აგებული ციტადელიც გ. წ. „ხალცუც“ თავდამსხმელებისაგან საგანგებოდ იცავდა. ციკლოპური ტიპის ნაგებობებით იყო დაცული ძველახლოაღმოსავლური მეორე მნიშვნელოვანი ცენტრი – ნუზი [1, 52].

ხეთური ციხე-სიმაგრეებიც, დიდ კლდოვან ბორცვებზე იყო განლაგებული. დღესაც სანიმუშოდ ითვლება ბუიუქ-კალეს ციხე-სიმაგრე ტამრებით, მეფისა და დედოფლის რეზიდენციებით, ფართო გალავნითა და მძლავრი ალაყაფის კარებით, რომელიც ერთ მთლიან არქიტექტურულ ანსამბლს ქმნიდა[4, 156].

ურარტუს ციხე-სიმაგრეები სხვადასხვა დანიშნულებისა იყო: ხშირ შემთხვევაში ეს იყო თავდაცვითი, ადმინისტრაციული ცენტრი, ზოგიც დიდი ლაშქრობის მოსამზადებელ ბაზას წარმოადგენდა.

თავდაცვითი ნაგებობანი ძნელად მისადგომ ადგილებში, მაღალ ბორცვებზე ან ციცაბო კლდეებზე იყო აგებული. არგიშთიუნა სარგონ II-ის „ძლიერ” ციხე-სიმაგრედ მოიხსენიება, რომელიც „ვარსკვლავის მსგავსად ელგარებდა” და მისი სიმაღლე 120 მეტრს აღწევდა.

არქეოლოგიური მონაცემების თანახმად, ციხე-სიმაგრის კედლის სისქე 3 მეტრს შეადგენდა. თეოშებაინის ციხე-სიმაგრე 120-დან 150-მდე ნაგებობას მოიცავდა. სიმაგრეს ორი შესასვლელი პქონდა სამხრეთიდან და ჩრდილო-დასავლეთიდან. ჩვენი აზრით, ამ მხარეებს უპირატესობა მოსალოდნელი პოლიტიკური საშიშროების გამო ენიჭებოდათ. ჭიშკრები როგორც ფეხით მოსიარულეთათვის, ასევე ოთხთვალა ეტლისათვის იყო გათვლილი. კედლები ალიზით, ყოველგვარი დუღაბის გარეშე იყო ნაშენი. ციხე-სიმაგრის განუეკოფელ ნაწილს კონტრფორსები და მასიური კოშკები შეადგენდნენ. კედლების სიმაღლე სხვადასხვა ადგილას 6-დან 12 მეტრამდე მერყეობდა[2, 34].

არანაკლები მნიშვნელობა ენიჭებოდა სადაზვერვო სამსახურს, რომელთა წარმომადგენლები სასაზღვრო ზოლში აქტიურ მოღვაწეობას ეწეოდნენ: მეზობელი ქვეყნების ტერიტორიაზე აგროვებდნენ ინფორმაციას და სპეციალური არხებით ოპერატორებიდან გადასცემდნენ ცენტრს. ამ მხრივ, ძალზედ საყურადღებო მონაცემებს გვაწვდიან ძვ. წ. VIII-VI სხით დათარიღებული ასურული ტექსტები, სადაც სკრუპულოზურადაა აღწერილი ურარტუ-ასურეთის საზღვარზე განლაგებული ასურეთის სადაზვერვო აპარატის მიერ მოძიებული მონაცემები. არანაკლებ მნიშვნელოვანი ალბათ ისიცაა, რომ ამ სადაზვერვო სამსახურის სათავეში სხვადასხვა დროს ასურეთის მეფეების უშუალო მემკვიდრეები (სინაქერიბი, ასარქადონი, აშურბანიფალი...) იდგნენ. „მე მოვათავსე შენი მაჟორდორმი [ჩემს] სახლში. ასეთია აშურიცუას შეტყობინება. შულმუბელი, დამსმარე სახელმწიფო უწყებაში ჩემთან მოვიდა და მითხრა: ურზანამ მომწერა: როდესაც ურარტუს მეფე მოვიდა გამირში, მისი ჯარი მოწყდა. ოლქის მმართველი უასი მოკლეს. ჩვენ ჯერ კიდევ არ გვაქვს ინფორმაცია, როგორც კი მივიღებთ, მაშინვე გამოვგზავნი შეტყობინებას”; „დაე მეფეს პქონდეს კეთილდღეობა, კეთილდღეობა ასურეთს, კეთილდღეობა ტაძრებს, კეთილდღეობა მეფის ყველა ციხე-სიმაგრეს. უკიეცმა მომწერა: როცა ურარტუს მეფე გამირში გაემართა, მისი ჯარი მთლიანად მოწყდა. მისი 11 ოლქის მმართველი თავიანთი ჯარით უკუგდებულია. მისი [ტურტანი] და ორი ოლქის მართველი ტყვედ ჩავარდა...ასეთია უკიეცის შეტყობინება. აშურიცუამ

მომწერა: ურარტუს შესახებ რომ მოგწერე...ახლა მათი ქვეყანა წყნარადაა, მისი ყველა დიდებული წავიდა თავის ოლქში. კაპადანუ, მისი ტურტანი ტყველ ჩავარდა...ნაბულეიმ, ბირატეს ოლქის მმართველმა მომწერა: ციხე-სიმაგრეების გარნიზონთა უფროსებს, რომლებიც საზღვარზეა ურარტუს მეფის თაობაზე შეტყობინება დავწერე. როცა ის გაემართა გამირში, მისი ჯარი დამარცხდა, მისი 3 დიდებული თავიანთი ჯარით დამარცხდა. თვითონ ის გაიქცა და მივიდა თავის ქვეყანაში. მისი ლაშქარი ჯერ კიდევ არ მისულა. ასეთია ნაბულეის შეტყობინება”; [16, 167,171]. სინაქერიბის გარდა, სარგონ II-ს სადაზვერვო ხასიათის ინფორმაციას სხვა პირებიც აწვდიდნენ. ასე, მაგალითად, აშურიცუას, რომელიც კუმმეს ოლქის მმართველი იყო, სარგონ II-ს შემდეგს ამცნობს: „...დაუ კეთილდღეობა ჰქონდეს ჩემს მეფეს, ბატონს. გურიანა ურარტუსა და გამირს შორის მდებარე ოლქი. იგი ურარტუს ხარკს უხდის. როცა ურარტუ გამირის წინააღმდეგ გაემართა, ამან ურარტუს მარცხი მოუტანა. ყველა ბრძოლა, რომელიც აქედან [გაიქცნენ] გურიანში... როცა [ურარტუს მეფემ] თავისი მცრისგან [გაიქცა?...] 8 ათასი [მეომარი] თოვლი? [ოლქის მმართველები?] ურარტელები, რომლებიც [ ] ასე თუ ისე (ან წინააღმდეგ) ურარტუს მეფის [ ] ეს ოლქის მმართველები [ ] მეფის თვალებში [ ] ციხე-სიმაგრეები [..] მეფემ, ჩემმა ბატონმა [თქვა?...] მოვიდა [ ] შიკრიკები მოვლენ მათ წინააღმდეგ [ზურგამდე?] ცნობა მეფეზე: იგი ტუშფაშია” [16, 177-178]. ასეთივე ხასიათისაა ასურეთის მეფე ასარქადონისადმი მოწოდებული სადაზვერვო წერილობითი ინფორმაცია, რომელიც ასახულია ასარქადონის სახელით შედგენილ „პრიზმებზე”, „ცილინდრებზე”, თილ-ბარსიფის სტელაზე, ბაბილონურ „ქრონიკაში”, აშურის ორაკულისადმი დასმულ შეკითხვებში და ა. შ. ანალოგიურ ვითარებას ვადასტურებო ასარქადონის მეფობის დროსაც.

სემოაღნიშნულთან ერთად, ქვეყნის უსაფრთხოების დაცვის მიზნით, სხვა, კარგად მოვიქრებული და გათვლილი სტრატეგიაც ხორციელდებოდა. მხედველობაში გვაქვს სამხედრო ოპერაციების დროს ტყველჩავარდნილთა (ქალები, მამაკაცები, ყრმები) ქვეყნის ცენტრალურ რაიონებში გადმოსახლების ტრადიციადქცეული პრაქტიკა. როგორც ხეთურ, ასევე ასურულ და ურარტულ წყაროებში, ძირითადად, „ანალების” ტიპის წერილობით ძეგლებში ამა თუ იმ სამხედრო ოპერაციის აღწერისადმი მიძღვნილ კონტექსტების დასკვნით ნაწილებში ტყველ ჩავარდნილთა რაოდენობასთან ერთად ხშირადაა ხაზგასმული საკუთარი ქვეყნიდან მათი აყრისა და გამარჯვებული ქვეყნის დედაქალაქში, ცენტრალურ

შიდა რაიონებში მათი გადასახლების შესახებ [11, 86]. ასე, მაგალითად, დეპორტირებული მოსახლეობის ქვეყნის ცენტრში გადასახლების შესახებ ცნობებს პირველად ადრეული ხანით დათარიღებულ ხეთურ ლურსმულ ტექსტებში ვხვდებით. „ანითას ტექსტის” მიხედვით, „ფიუსთი, მეზე] ქ. ხათისა შემდეგ მეორედ მოვიდა... (თვითონ ფიუსთი)] და დამხმარენი მისი, რომლებიც მან მოიყვანა, ისინი [ სალამფაში] დავამარცხე. ქ. სალათივარასკენ სახე მივაძრუნე] ... და ქ. სალათივარას წინააღმდეგ სა[ომარი ეტლები?] და რაზმები შეიკრიბა და ისინი ქ. ნეხე[ას ამოვიყვანე] [9, 105-106]. საკვლევ საკითხთან დაკავშირებით უმნიშვნელოვანებია ხეთების ძველი სამეფოს ისტორიის ამსახველი თელიფინუს ტექსტიც: „იგი (მურსილი) ხალფას გაემართა და ხალფა დაანგრია, ხოლო ხალფას ნამრა (=დეპორტირებულები) და მისი ავლა-დიდება ხათუსაში ჩამოიტანა. შემდგომად ამისა კი იგი ბაბილონს გაემართა და ბაბილონი დაანგრია. ბაბილონის ნამრა და ავლა-დიდება ხათუსაში ჩამოიტანა” [5, 179]. ანალოგიური ვითარება დასტურდება თუთხალია I/II-ის „ანალებში”: „ჩამოთვლილი ქვეყნები, რომლებიც [მტრუ]ლად იყვნენ განწყობილი, დვთაებებმა მე გადმომცეს. ყველა ეს ქვეყანა ხელთ ვიგდე და გამოძევებული მოსახლეობა, მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი, ქვეყნების ქონება ხათუსაში წავასხი”. ასეთივე მონაცემები რამდენიმეგზის მოწმდება „სუფილულიუმას საქმენი”-ს ფრაგმენტებში: „ქვემო ქალაქიდან მან წამოიყვანა მოსახლე[ობა], ვერცხლი, ოქრო და ბრინჯაოს ნივთები და წაასხა ქალაქ ხათუსაში. წარტყმევნილების რიცხვი, რომელიც მან სასახლეში მოიყვანა, სამი ათას სამასოცდაათი იყო. [მაშინ როცა] ისინი, რომლებიც ხე[თებმა] მოიყვანეს (სახლში), [ურიცხვი იყო]”. ამგვარი ქმედება ინტენსიურ ხასიათს ხეთების ახალი სამეფოს დროსაც იძენს. მურსილი II-ის ათწლიან „ანალებში” შემდეგს ვადასტურებთ: „ქასქების ქვეყნის ქალაქმა თურმითამ ომი გამომიცხადა და ... მე შემდეგ ქასქების ქალაქი კვლავ მოვიდა და დაუსრულებელი თავდასხმებით მაწუხებდა მაშინ, ჩემმა მზემ, გავილაშქრე მის წინააღმდეგ. ქასქების მთავარ ქალაქებს, ხალილასა და დუდუსქას თავს დავესხი. ხელთ ვიგდე წარტყმევნილი მოსახლეობა, მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი და ისინი ქალაქ ხათუსასკენ წამოვასხი”; „მთელი არცავას მოსახლეობა გაიქცა. ...ყველა დვთაება გვერდში მედგა და მე ...დავამარცხე. იმ წარტყმევნილი მოსახლეობის რიცხვი, რომელიც მე წამოვასხი 15 500 იყო, ხოლო ფეხოსანი და ცხენოსანი ლაშქარი იყო უთვლელი. მაშინ გავგზავნე წარტყმევნილი მოსახლეობა ქალაქ ხათუსაში და ისინი ადგილზე

მიიყვანებ”; „წარტყმევნილი მოსახლეობა, რომლებიც მდინარე სეხას ქვეყანაში იყვნენ 4000. ისინი ქალაქ ხათუსაში გავგზავნე.” „...ფიგაინარესას ქვეყანა [გადა]ვაწვევინე. წარტყმევნილი მოსახლეობა, მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი კი ხელთ ვიგდე და ქ. ხათუსაში წამოვასხი”; „...ხელთ ვიგდე ქალაქი არიფსა და დუქამა ბრძოლით. იმ წარტყმევნილი მოსახლეობის რიცხვი, რომელიც სამეფო სასახლეში წამოვასხი, 3000 იყო”. [10, 20, 44, 73, 88, 90, 92, 95, 96]. ასეთივე ვითარება მოწმდება ძვ. წ. II-I ათასწლეულის ასურელ მეფეთა ცხოვრებისა და მოდგაწეობისადმი მიძღვნილ ლურსმულ ტექსტებში. ასე, მაგალითად, სარგონ II ე.წ. „სადღესასწაულო წარწერაში” გვამცნობს: „შინუხოუელმა კიაკიმ, რომელმაც გადაიგდო უღელი დვთაება აშურისა და შეაჩერა თავისი შესაწირი, [სარგონმა] ტყვედ იგდო მისი 30 ეტლოსანი 7350 მეომარი ... მე წავიყვანე ასურეთში”. სარგონ II „ანალებში” ხაზგასმით მიუთითებს: „...ამბარისი, ბით-ბურუტაშის მეფე თავის ნათესავებსა და ამალასთან ერთად 100 ორთვალით წამოვიყვანე აშურში”; „...თარხუნაზი და მათი მეფე თავის მებრძოლებითან ერთად რკინის ჯაჭვებით დავაბი, ხოლო მისი ცოლი, ვაჟიშვილები და ქალიშვილები 5000 ტყვე მეომართან ერთად ჩემს ქალაქ აშურში მოვიყვანე” [11, 43, 45]; იგივეს ვადასტურებოთ ურარტუს მეფეთა წარწერებშიც. მენუას წარწერა პირდაპირ მიუთითებს დაპყრობილი ქვეყნებიდან მოსახლეობის დედაქალაქში გადასახლებაზე: „...მე გავილაშქრე ქვეყანა ლუხიუნის – ქვეყანა (ტომი) ერეკუახის, ... (რომელიც ჯერ არავის დაუპყრია) მომცა დვთაება ხალდიმ ... ზოგი ცოცხალი წავიყვანე 1700 ... ტუშვა ქალაქში”; „...გავემართე ქვეყანა ერეკუახის წინააღმდეგ, ზოგი დავხოცე, ზოგიც ცოცხალი წამოვიყვანე...”[15. 76, 77]. არგიშთი I-ის მატიანე უმნიშვნელოვანეს სტატისტიკურ მონაცემებს გვაწვდის: „...სამი ქვეყანა (კადა, შაშილუ და აშკალაში – ნ. ხ., ნ. ბ.) მე მოვგლიჯე, (მათი) მოსახლეობა ჩემს ქვეყანას მივუმატე: 15 ათას 181 ყრმა, 2734 მამაკაცი, 10 ათას 604 დედაკაცი”; „...გავემართე მე სალაშქროდ ართამურის ქვეყანაზე ... 11 ათას ქალი, სულ 20279 კაცი ზოგი გავქლიტე, ზოგი წავიყვანე”; „...მე გავემართე მანას წინააღმდეგ, ბრძოლით დავიპყარი, მივედი ... 18243 ადამიანი ზოგი გავქლიტე, ზოგიც ცოცხალი წავიყვანე”. სარდურ II ასევე აგრძელებს სამახსოვრო წარწერებში „საგმირო საქმენის” აღნიშნვას: „...ქვეყანა ... მე იქიდან წამოვიყვანე კაცები და ქალები, დავდგი იქ წარწერა. 12610 ყრმა მე წავიყვანე, 1829 ცოცხალი მამაკაცი, 7751 დედაკაცი”; „...გავემართე მე სალაშქროდ არკუკინის ქვეყნის წინააღმდეგ...ცალკე კაცები და ქალები მეომრებს მივეცი. აი,

როგორი ვაჟაცობა ჩავიდინე მე იქ: 10000 ყრმა წამოვიყვანე, 4600 მამაკაცი ცოცხლად წამოვიყვანე ”[8. 275, 276, 277, 278, 280, 282, 287-8, 290, 294]. არგიშთი II ტანაატის წარწერაში სიამაყით აღნიშნავს: „გამოცხადდა ჩემს წინაშე... ეთიუნის ქვეყნის მეფე, მომცა ხარკი, თავისი ქვეყნის. ... აქედან მამაკაცები, ქალები მე წავიყვანე, ქალაქი გადავწვი”. რუსა II-ის სახელით შედგენილ წარწერაშიც იგივეს ვადასტურებთ: „...განვდევნე ქალები მტრული ქვეყნებიდან... “ [15. 325, 336].

ჩვენი აზრით, დეპორტირებულთა განსახლების აღნიშნული პრაქტიკა რამდენიმე მიზანს ემსახურებოდა: უპირველეს ყოვლისა, იგი სახელმწიფოს საშუალებას აძლევდა დაპყრობილი მოსახლეობა მუდმივი კონტროლის ქვეშ ჰყოლოდა. ამასთანავე, გამოყენებინა იგი მუშახელის და მომსახურე პერსონალის სახით. და რაც მთავარია, დაეჩქარებინა მათი დეეთნიზაციის პროცესი.

ყურადღებას სახელმწიფოს უსაფრთხოების დაცვის კიდევ ერთ მექანიზმზე გავამახვილებთ. ესაა ნაკლებად დაცული ერთი სასაზღვრო ზოლიდან უკვე ათვისებულ მეორე სასაზღვრო რეგიონში ადგილობრივი მოსახლეობის დეპორტაცია ან ქვეყნიდან საერთოდ გაძევება. საინტერესოა, ვანის კლდეზე არგიშთი I-ის სახელით შესრულებული წარწერა, სადაც იგი აღნიშნავს: „მიწა უკაცრიელი იყო (?) (და) არაფერი არ იყო წინათ იქ აგებული. ძლევამოსილი საქმენი მოვიმოქმედე მე იქ ხათესა (და) ცუფანის 6 (?) ათას 600 მეომარი მე იქ დავასახლე”. მსგავს სიტუაციასთან გვაქვს საქმე, როდესაც ურარტუს მეფე რუსა II ურარტუს სამხრეთ-დასავლეთით მდებარე მუშქების, ხათეს და ხალიტუს ქვეყნებიდან იძულებით აყრილ მოსახლეობას „დვთაება ზიუგუნის ქვეყანაში” ასახლებს: „რუსა არგიშთის მე ამბობს: (მე) განვდევნე ქალები მტრული ქვეყნებიდან... (ქვეყანა) მუშქების, ხათის (ქვეყნიდან), ხალიტუს (ქვეყნიდან)...” და სავარაუდოდ, ისინი აქვე დაასაქმა [3, 45]. ანალოგიურ ვითარებას ვადასტურებთ აზითავათას ორენოვან (იეროგლიფურ-ლუვიური, ფინიკიური) ცნობილ წარწერაში ყარათეფედან, სადაც ვკითხულობთ: „ვძლიე ციხე-სიმაგრეები დასავლეთში...მე, აზითავათამ, დავანგრიე ისინი და აღვგავე პირისაგან მიწისა. იქ მცხოვრები (ჩემი ქვეყნის) აღმოსავლეთ საზღვართან დავასახლე” [12, 110].

მსგავს სიტუაციას ვადასტურებთ ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორის (ძვ. წ. 604-562 წწ.) მეფობის წლებში, როდესაც მან ჯერ ძვ. წ. 597 წელს იუდეის მეფე იოაკიმი ოჯახით და წარჩინებულებითურთ დაატყვევა და ბაბილონში წაიყვანა,

ხოლო ძვ. წ. 587 წელს იერუსალიმი, ფაქტობრივად, უდაბნოდ აქცია და იუდეის მოსახლეობის 20% (ძირითადად ხელოსნები) ბაბილონში გადაასახლა.

ქვეყნის უსაფრთხოების დაცვას ემსახურებოდა, ასევე, მეზობელ ქვეყნებთან დადებული ხელშეკრულებების ცალკეული მუხლებიც. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ხეთებსა და ქასქებს/ქაშქებს შორის ოფიციალურად გაფორმებული ხელშეკრულებები, სადაც პუნქტობრივადაა ასახული ხეთების იმპერიის მოთხოვნები და მათი შეუსრულებლობის შემთხვევაში მოსალოდნელი მკაცრი სანქციები. ხელშეკრულება ქასქებს ავალდებულებდა შემდეგი პირობები შეესრულებინათ: თუკი რომელიმე „მტერი“ (იგულისხმებოდნენ ხეთებისადმი მტრულად განწყობილი ქასქები) მიუახლოვდებოდნენ ხეთების ტერიტორიას, ქასქებს მათთვის წინააღმდეგობა უნდა გაეწიათ და ამავე დროს, ყოველივე „მზისთვის“ (მეფე – ნ. ხ., ნ. ბ.) შეეტყობინებინათ; მოკავშირე ქასქას ტერიტორიაზე ხეთების ლაშქრის გავლისას ქასქებს მისთვის წინააღმდეგობა არ უნდა გაეწიათ; მას ხეთების მტრისთვის ნება არ უნდა დაერთო ქასქების დასახლებაში შემოსულიყო და მისთვის პური და წყალი მიეწოდებინათ; ხეთების რომელიმე დასახლების წინააღმდეგ წამოსული მტრისთვის ქასქებს ბრძოლა უნდა გაემართათ, თუ ისინი მტერს ვერ მოერეოდნენ, ხეთებისათვის მაცნე უნდა გაეგზავნათ; მოკავშირე ქასქებთან დადებულ ზოგიერთ ხელშეკრულებაში გარკვეული ადგილი ეკავა საკითხს ლტოლვილთა (გაქცეულთა) შესახებ. თუკი ვინმე ხეთების მეფეს შეურაცხყოფდა, ხოლო შემდეგ მოკავშირე ქასქას ქვეყანაში როგორც ლტოლვილი გაიქცეოდა, ქასქებს იგი უნდა შეეპყროთ და უკან დაებრუნებინათ. საინტერესო ცნობებს შეიცავს არნუვანდა III-ის მიერ ქასქებთან დადებული ხელშეკრულებაც, სადაც საუბარია ქასქების მიერ დამხმარე რაზმების რაოდენობის შესახებ: „ქანუ[...] და მასთან ერთად 190 მეომარი, კაცები [რომელიდაც დასახლებისა] საუსქა [ ]და მასთან ერთად 216 მეომარი, კაცები; ნანაცითი, (რომელიც არის) ფიქურიალი(?), კაცი ისხუფითადან და მასთან ერთად 5 კაცი“. რაც შეეხება მკაცრ სანქციებს, ეს ნათლად ჩანს ხათუსილი III-ის ხელშეკრულებიდან: შეიარაღებული ქვეითი ან ეტლოსანი ქასქელი ქ. თილიურაში არ უნდა შესულიყო, თუ ქასქელი თილიურაში ქალს ითხოვდა, მათ ქალაქი უნდა დაეტოვებინათ, თუკი ამ ქალაქში ქასქელი დამეს გაათევდა და ეს ცნობილი გახდებოდა, იგი დილეგში უნდა ჩაეგდოთ, შემდეგ კი დაეჯარიმებინათ ხარებითა და ცხვრებით, თუ იგი რაიმე დანაშაულს ჩაიდენდა ან ბოროტ სიტყვას

წარმოთქვამდა, ასეთი ქასქელი უნდა მოესპოოთ. თილიურას მეზობელ ქასქებში, საგარაუდოდ, გავრცელებული უნდა ყოფილიყო რაღაც ავადმყოფობა, რისგანაც თავი უნდა დაეცვათ თილიურელებს [7, 73-88]. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტია მურსილი II-ის მიერ ამურუს მმართველ დუფი-თეშუბთან დადებული ხელშეკრულება, რომელიც მიზნად ჩრდილოეთ სირიაში ხეთების პოზიციების განმტკიცებას ისახავდა. იგი ე. წ. „ვასალურ” ხელშეკრულებათა კატეგორიას განეკუთვნება და პირდაპირ მიუთითებს დეპორტირებულებთან დაკავაშირებული პრობლემური საკითხების მოგვარების იქ არსებულ სისტემაზე: „თუკი რომელიმე ქვეყნის მცხოვრები ანდა ლტოლვილი ადგება და ხათის ქვეყნისაკენ გამოიწევს და შენს ქვეყანაზე გამოივლის, იგი შენ უვნებლად სწორ გზაზე დააყენე, ხათის ქვეყნისკენ გზა უჩვენე და მას კარგი სიტყვები უთხარი. სხვაგან კი არსად არ გაგზავნო. მაგრამ თუკი შენ მათ (სწორ) გზაზე არ დააყენებ და მათ ხათის ქვეყნის გზას არ მიუთითებ, შენ (ამით) ფიცს დაარღვევ... შემდგომში თუკი ლტოლვილი [შენს ქვეყანაში] მოვა, თუკი შენ მოისურვებ, რაიმე მას წაართვა, (ამის შესახებ) ხათის მეფეს დაეკითხე... შემდგომში თუკი ლტოლვილი [შენს ქვეყანაში] მოვა, შეიძყრე იგი...” მომდევნო ტექსტი დაზიანებულია და ხელშეკრულება მთავრდება „ათასი ღვთაების” მოხმობით და კრულვის ტრადიციული ფორმულით: „ღვთაება ქულითა, ხათის ზაბაბა, მთანი, მდინარენი, დიდი ზღვა, ცა, და დედამიწა, ქარი ღრუბლები... იყვნენ ამ ფიცის მოწმენი. დაე დუფი-თეშუბი თავისი თავითურთ, მეუღლითურთ, შვილითურთ... ამ ფიცმა გაანადგუროს!” [6, 201]

სახელმწიფოს უსაფრთხოების დაცვის ერთ-ერთ მეთოდს, ქვეყნიდან არასანდო ელემენტების გაძევებაც წარმოადგენდა. ზემოთ მოხსენიებული აზითავათას წარწერაში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ მან დაამხო „თვითდაჯერებულნი და ბოროტნი, ქვეყანაში რომ იყვნენ. გავაძევე ისინი ქვეყნიდან...” [12, 110].

ქველი ახლოაღმოსავლეთის ქვეყნების მეფებს სრულად პქონდათ გაცნობიერებული, თუ რა საფრთხის შემცველი იყო ქვეყანაში გავრცელებული სხვადასხვა სახის ეპიდემია. აღნიშნულის კონტექსტში განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ხეთების მეფე მურსილი II-ის (ძვ. წ. 1318-1290 წწ.) საკმაოდ კარგად ცნობილი პიმნი და ლოცვა არინას მზის ღვთაებისადმი, რომელიც, როგორც ვარაუდობენ, ხეთების სამეფოზე თავსდატეხილი უბედურების – შავი ჭირისაგან „დაცვის” მიზნითაა შედგენილი. საკმაოდ შთამბეჭდავია ამ

ტექსტის ცალკეული პასაჟები. მურსილი II მუქ ფერებში გვიხატავს ქვეყანაში შავი ჭირის შედეგად შექმნილ სიტუაციას: „დვთაებებო, ეს რა ჩაიდინეთ? შავი ჭირი გაავრცელეთ და მთელი ხათის ქვეყანა ამოწყდა! ამის შედეგად აღარავის შეუძლია თქვენთვის შესაწირი პურისა და ღვინის მორთმევა. გლეხები, რომლებიც დვთაებათა მინდვრებსა და ყანებს ამუშავებდნენ, ამოწყდნენ. ვედარავინ იღებს მოსავალს. მეწისქვილე ქალები, რომლებიც დვთაებებისათვის „სქალ“ პურებს აცხობდნენ ხოლმე, ისინიც ამოწყდნენ. ... ხარების და ცხვრების მწყემსებიც ამოწყდნენ, მათ მიატოვეს ბოსლები (და) გომურები” [9, 86]. ლოცვისა და ჰიმნის დასკვნით ნაწილში მეფე არინას მზის დვთაებას ვედრების სიტყვებით მიმართავს: „არინას მზის ქალღმერთო, შენ ამისთვის მოგიხმობთ!... გაჭირვებულმა [და] კვლავ იცოცხლოს!“ [მურსილი – მეფეს და] ხათის ქვეყანას [სიკეთე] მოუკლინე!... სიცოცხლე, ჯანმრთელობა, ძალა], მომავალში [სიხარული] და [დღეგრძელობა უბოძე!“] [9, 88]. განსაკუთრებით საინტერესო ისაა, რომ ამავე ლოცვაში მურსილი II არინას მზის დვთაებას არა მხოლოდ თავისი ქვეყნის გადარჩენას შესთხოვს შავი ჭირისაგან, არამედ მის სამეფოსთან დაპირისპირებულ ქვეყნებში ანალოგიური უბედურების დატრიალებას: „ოქენე, დვთაებებო, კვლავ შეიწყალეთ ხათის ქვეყანა, რომელსაც, ერთის მხრივ, შავი ჭირი დაეუფლა და, მეორეს მხრივ, მტერმა შეავიწროვა. გარშემო თანასწორი ქვეყნები – მათ შორის მითანი და არცავა... ისინი დვთაებებს აღარ ემსახურებიან და ფიცს არღვევენ. ისინი ტაძრების გაძარცვას ცდილობენ. უკვე ეს უნდა გახდეს დვთაებათათვის შურისგების (მიზეზი). შავი ჭირი, შუღლი, შიმშილი და დამღუპველი გვალვა გაავრცელეთ მითანის და არცავას ქვეყნებში, დოვლათიან და შფოთისთავ ქვეყნებში! ხათის ქვეყანა კი ჯანგაცლილია. იხსენით ეს ჯანგაცლილი (ქვეყანა), აყვავებულ (ქვეყანას) კი ქედი მოახრევინეთ! ხათის ქვეყნის კუთვნილმა ქვეყნებმა – ქასქამ, ლორების მწყემსები და მთელავები რომ იყვნენ, არავანამ, ქალასმამ, ლუკამ (და) ფითასამ, ხარგის გადახდაზე უარი თქვეს და ხათის ქვეყანაზე თავდასხმა კვლავ დააპირეს. ... და, ეს არინას მზის ქალღმერთის შურისძიების (მიზეზი) გახდეს! [9, 87].

კვლევა-ძიების პროცესში ისიც გაირკვა, რომ ძველი ახლოაღმოსავლეთის ქვეყნების უსაფრთხოების დაცვის მიზნით პროვინციებადქცეულ დაპყრობილ ქვეყნებში პირველ პირებად არა დომინანტი ეთნოსის წარმომადგენელს, არამედ ირანის მეფესთან ახლო ნათესაურ ურთიერთობაში მყოფ პირებს ნიშნავდნენ. ამ

ასპექტით საყურადღებო ცნობები პეროდოტეს (ძვ. წ. V ს.) და ძველბერძენ სხვა აგტორთა თხზულებებმაც შემოგვინახა.

ირანში აქემენიდური დინასტიის დამფუძნებლის დარიოს I-ის ბეჭისტუნის ცნობილი წარწერისგან განსხვავებით, სადაც მის მიერ დაპყრობილი 23 ქვების ჩამონათვალს ვხვდებით, მაგრამ ამ ქვების პირველ პირთა შესახებ ინფორმაცია არ სახელდება [13,358-363], პეროდოტეს „ისტორიის” მოწმობით, ყველა დაპყრობილ ქვეანაში პირველ პირებად ქვების ცენტრიდან გამოგზავნილი, მეფესთან დაახლოებული, წარმოშობით საარსელი მოხელეები იდგნენ. ასე მაგალითად, „საარსელები... მოყვანა მათმა გამგებელმა ოტანესმა, რომელიც ქსერქსესის მეუღლის, ამესტრისის მამა იყო... მიდიელებს გამგებლად ჰყავდათ ტიგრანესი, აქადემიდი... კისიელებს განაგებდა ანაფესი, ოტანესის ძე, ხოლო წინამდღოლად ჰყავდათ მეგაპანოსი, შემდეგ ბაბილონის მეურვე... ქალდეები, განაგებდა მათ ოტასპესი არტაქადესის ძე... ბაქტრიებსა და საკებს განაგებდა პისტასპესი, შვილი დარიოსისა და კიროსის ასულის ატოსასი... ინდოელებს უფროსად ფარნაძათრეს არტაბატესის ძე იყო დაყენებული... პართებსა და ხორასმიებს არტაბაძოსი, ფარნაკესის ძე, ხოგდებს – ამანესი, არტამოსის ძე, განდარიებსა და დადიკებს – არტიფიოსი, არტაბანესის ძე განაგებდნენ... კასპიებს წინამდღოლად ჰყავდათ არიომარდოსი, არტიფიოსის ძმა. სარანგებს განაგებდა ფერენდატეს მეგაბაძოსის ძე. აქტიებს გამგებლად ჰყავდათ არტაინტეს ითამიტრესის ძე. უტიებსა და მიკებს – არსამენესი, დარიოსის ძე, ხოლო პარიკანიებს – სირომიტრეს ომობაძოსის ძე. არაბებსა და ეთიოპებს განაგებდა არსამესი, დარიოსისა და არტისტონეს (კიროსის ასულის) შვილი... ლიბიელებს გამგებლად ჰყავდათ მასაგეს ოარიოსის ძე... პაფლაგონელებსა და მატიენებს დოტოსი განაგებდა, მეგასიდროსის ძე, ხოლო მარიანდინებს, ლიგიებსა და სირიელებს – გობრიესი, დარიოსისა და არტისტონეს შვილი... ფრიგიელებს მართავდა არტოქმესი, რომელსაც დარიოსის ასული ჰყავდა ცოლად... ლიდიელებსა და მისიელებს განაგებდა არტაფრენესი, შვილი იმ არტაფრენესისა, რომელიც მარათონში შეიჭრა დატისთან ერთად. აზიელ თრაკიელებს განაგებდა ბასაკესი, არტაბანოსის ძე... ხალიბებს... კაბელ-მეონებს, მილიებს... ყველა ამათ განაგებდა ბადრესი, პისტანესის ძე... მოსხებსა და ტიბარენებს – არიომარდოსი, რომელიც დარიოსის და პარმისის შვილი იყო, მაკრონებსა და მოსინოვკებს განაგებდა არტაიკტესი, მარებსა და კოლხებს

განაგებდა ფარანდატეს ტეასპისის ძე... ალაროდიელებსა და სასპერებს განაგებდა მასისტოსი სირომიტრესის ძე” (Herodotus, VII,61-80) [14,431-435].

ჩვენს მიერ მოძიებული ძველახლოაღმოსავლური, სხვადასხვაენოვან წერილობით ძეგლებში დამოწმებული მონაცემები, რომელთაც სისრულის პრეტენზია არ გააჩნია, საშუალებას გვაძლევს ქართულ ისტორიოგრაფიაში, ფაქტობრივად, პირველად დასმული პრობლემის ძველახლოაღმოსავლური სახელმწიფოების უსაფრთხოების დაცვის მოდელის რეკონსტრუქციაში გარკვეული წვლილი შეიტანოს.

მიგვაჩნია, რომ საკვლევი პრობლემა აქტუალური და მნიშვნელოვანი არა მხოლოდ ძველახლოაღმოსავლური სახელმწიფოების ისტორიის, არამედ მსოფლიოში დღეს მიმდინარე პოლიტიკური პროცესების თვალსაზრისითაცად.

2012.

### წყაროები და ლიტერატურა

1. ასტახიშვილი ე., საქალაქო დასახლებათა ტიპები ძველ წინა აზიაში, ბიბლიური და არქეოლოგიური კვლევის ამერიკულ-ქართული ინსტიტუტის ბიულეტენი, №4-5, კორნუელის უნივერსიტეტი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის საეხელმწიფო უნივერსიტეტი, 2006-7.
2. ბახსოლიანი ნ., ურარტუს ქალაქები, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის საკითხები IV, ბათუმი, 2009.
3. ბახსოლიანი ნ., დიდი კაპადოკია ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში, თბილისი, 2008.
4. გიორგაძე გრ., ათასი დვოაების ქავენა, თბილისი, 1988.
5. გიორგაძე გრ., თელიფინუს ტექსტი, წიგნში: ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის ქრესტომათია, თბილისი, 1990.
6. გიორგაძე გრ., მურსილი II-ის ხელშეკრულება ამურუს მმართველ დუფი-თეშუფთან, წიგნში: ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის ქრესტომათია, თბილისი, 1990.
7. გიორგაძე გრ., ხეთური და ასურული ლურსმული ტექსტების ქასქების (ქაშქების) და აბეშლაელების ეთნიკური წარმომავლობისათვის, ახალციხე, 2000.

8. მელიქიშვილი გ. ურარტული წყაროები, წიგნში: ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის ქრესტომათია, თბილისი, 1990.
9. ტატიშვილი ი., ხეთური რელიგია, თბილისი, 2001.
10. დამბაშიძე გ., ხეთური ანალისტიკა (სამეფო დღიურები), ნაწილი I, თბილისი, 2006.
11. ხაზარაძე ნ., აღმოსავლეთ მცირე აზიის ეთნიკური და პოლიტიკური გაერთიანებები ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში, თბილისი, 1978.
12. ხაზარაძე ნ., ლუვიური იეროგლიფების სამყაროში, თბილისი, 2006.
13. ხაზარაძე ნ., ბახსოლიანი ნ., ძველი სპარსული ლურსმული წარწერების Katpatuka, კრებულში: დავით კაციტაძე 80, კავკასიისა და აღმოსავლეთის კვლევის ცენტრი, თბილისი, 2009, გვ. 358-370, 424-425; აგრეთვე, Kent R. G., Old Persian, Grammar, Texts, Lexikon, New Haven, Connecticut, 1953.
14. ჰეროდოტე, ისტორია, II, თბილისი, 1976. ბერძნულიდან თარგმნა, წინასიტუაცია და საძიებელი დაურთოთ ო. ყაუხჩიშვილმა.
15. Арутюняն Н. В. Корпус Урартских Клинообразных Надписей, Ереван, 2001.
16. Иванчик А. И. Киммерийцы, Москва, 1996.

**Nana Khazaradze Nana Bakhsoliani**

### **ON THE RECONSTRUCTION OF THE MODEL OF PROTECTION OF STATE SECURITY OF THE ANCIENT NEAR EAST**

The care for the protection of state security by authorities is universal in time and space. Comparison and analysis of written monuments of the Ancient Near East of the 2<sup>nd</sup>-1<sup>st</sup> millennia BC (Hittite, Hurrian, Assyrian-Babylonian, Hieroglyphic-Luwian, Urartian, Greek) show that the measures taken in this regard are stereotyped. First of all, attention was paid to the protection of the borders of states, capitals, major settlements and religious centres. For this purpose, the authorities constructed fortresses of strategic importance. As a rule, representatives of the dominant ethnic group of the country served these constructions of military purpose.

The authors attach no less importance to the reconnaissance service, the representatives of which worked actively on the border line: on the territory of neighboring countries they collected information and promptly passed it to the centre through special channels.

In order to protect the country security, traditional practice of resettling persons (women, men, children) taken prisoner during military operations to central regions of the country took place. This allowed the state to keep the conquered population under constant control, in addition, to use it as workforce and servants as well, and, what is the most important, to accelerate the process of its de-ethnization.

The authors paid attention to one more aspect of protection of the state security, in particular, deportation of the local population from one less protected border zone to another already developed border region, or its expulsion from the country altogether.

In the context of the materials obtained by the authors it has become clear that diplomatic treaties concluded with neighbouring countries also facilitated protection of the security of the country. These treaties regulated rules of movement of refugees from a foreign country.

The results of the conducted research lead the authors to the conclusion that the problem under study is relevant and important not only from the viewpoint of the history of states of the Ancient Near East, but the political processes going on in the world at present as well.

### მზის დვთაება და მეფე

ხეთურ ლურსმულ ტექსტებში მრავალგზის მოხსენიებული მზის დვთაება (<sup>D</sup>UTU), რომელიც მზის აღმნიშვნელი ხათური Eštan-იდან მომდინარე Ištanu-დ იწოდება [1, 684; 2, 116], სხვადასხვა ეპითეტებითაა შემცული: ცისა (nepišaš/AN-SAME), მიწისა (taknaš/KI-/ER-SETIM), წყლისა (ME/wetene)... ხეთებისათვის ლოკალური საკულტო ცენტრების მზის დვთაების ისეთი ზედწოდებებიცაა ცნობილი, როგორიცაა: ქალაქ არინას მზის დვთაება (<sup>D</sup>UTU <sup>URU</sup>Arina), ქათაფას მზის დვთაება (<sup>D</sup>UTU <sup>URU</sup>Katapa), შამუხას მზის დვთაება (<sup>D</sup>UTU <sup>URU</sup>Šamuha), ციფალანთას მზის დვთაება (<sup>D</sup>UTU <sup>URU</sup>Zipalanta) და ა. შ. ხეთურ ლურსმულ ტექსტებში მზე უმთავრესად ხეთების პანთეონის უზენაეს ქალდვთაებადაა წარმოდგენილი. მისი ეპითეტებია: დედა (AMA, anna-), ქალბატონი (GAŠAN), დედოფალი (MUNUS.LUGAL), ღმერთების მზე (DINGIRmeš-nan <sup>D</sup>UTU). მზე არაერთგზის მამრი დვთაების ოანგშიც გვევლინება. ამ შემთხვევაში მას მამის (atta-), ბატონის (EN/BEL/išha-), მეფის (LUGAL/haššu-), მწყემსის (LUSIPA(UDU)/weštara-), ძის (DUMU) ტერმინებით მოიხსენიებენ. ხეთურ ტექსტებში მზის მამრი დვთაება ცასთანაა დაკავშირებული, ხოლო მიწა მდედრ დვთაებასთან. საზოგადოების სოციალ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების გარკვეულ ეტაპზე, ისევე როგორც სხვა არაერთ რელიგიაში, ხეთურშიც, მიწის ქალდვთაების – ღმერთების დედის, დედამიწის, დიდი დედის – ასტრალიზაციის შედეგად იგი მზესთან ასოცირებული აღმოჩნდა და „პერსონიფიცირებულ იქნა ამომავალ და მიწაში ჩამავალ მზესთან“. მიწისა და ცის დვთაებათა იპოსტასების გაერთიანებამ მზის ქალდვთაებას სამყაროს კოსმოსის უზენაესი მანათობლის სახელი დაუმკვიდრა [3, 123-9; 4, 109-120; 5, 160 და შმდ].

ზემოაღნიშნულის საილუსტრაციოდ ხეთური ლურსმული ტექსტებიდან რამდენიმე ამონარიდის მოხმობით შემოვიყარგლებით\*.

ხეთების პანთეონში მზის, როგორც მამრი, ასევე მდედრი დვთაების განსაკუთრებით გამორჩეულ სტატუსზე მითითებებს, არაერთ ხეთურ ლურსმულ ტექსტში ვადასტურებოთ.

\* საკვლევი საკითხისათვის საყურადღებო ტექსტების ციტირებისას გ. გიორგაძის, ნ. ბენდუქიძის, ი. გატიშვილის და მ. დამბაშიძის მიერ შესრულებული ხეთური ლურსმული წერილობითი ძეგლების ქართული თარგმანები გამოვიყენეთ.

მზის ერთ-ერთ საგალობელში, რომელიც ქანთუცილის (ძვ. წ. XIVს.) სახელითაა შედგენილი, ვკითხულობთ: „დვთაებათა შორის მხოლოდ შენ ხარ გახტის ღირსი გმირი, მზე სახიერო! შენ აწესებ დმერთთათვის წესებს. გადასულ დმერთთაც მხოლოდ შენ ერთი განუსაზღვრავ წილს... თუ სიტყვას ეტყვი, პო, მზეო, დმერთნი მუხლმოდრეგით ლოცულობენ შენზე". კიდევ უფრო შთამბეჭდავია ქ. არინას მზის ქალღვთაებისადმი აღვლენილი მურსილი II-ის (ძვ. წ. XIVს.) ლოცვა და პიმნი. მეფე ბრძანებს: „შენ, არინას მზის ქალღმერთო, დაფასებული დვთაება ხარ. // მხოლოდ ხათის ქვეყანაში გაქვს ტაძრები, (ქვისაგან) მკვიდრად ნაგები... მხოლოდ ხათის ქვეყანაში გაქვს წმინდა ტაძრები, ვერცხლითა და ოქროთი // შემცული. არც ერთ სხვა ქვეყნანაში // (ასეთი ტაძრები) არ გაგაჩნია. ვერცხლის, ოქროსა (და) ძვირფასი ქვებისაგან (დამზადებული) თასები, რიტონები მხოლოდ ხათის ქვეყანაში (გაქვს). // დღესასწაულებს – ყოველთვიურს, ყოველწლიურს, // ზამთრის, შემოდგომის, გაზაფხულის დღესასწაულებს, // სისხლიან მოხმობის რიტუალებს მხოლოდ ხათის ქვეყანაში გისრულებენ. // შენი – მზის ქალღმერთის, დვთაებრიობა მხოლოდ ხათის ქვეყანაში(ა) დაფასებული... დვთაებებს შორის // მხოლოდ შენ (ხარ), არინას მზის ქალღმერთო დაფასებული (და) დიდი. // არინას მზის ქალღმერთო, სხვა დვთაება შენზე // უფრო დაფასებული და დიდი არ არსებობს..." ერთ-ერთი ხათურ-ხეთური ბილინგვა (CTH 733,Nr. 112 II 10-13; 113 II 20-23) გვამცნობს: „...ქურუმი ასე ამბობს: „შეგვიწყალე, მზის დვთაებავ! მოკვდავთ შორის შენ მზის დვთაება ხარ, ღმერთებს შორის კი – ბრწყინვალე / სინათლე (ხარ), დვთაება (და) დედოფალი (ხარ) შენ". დაახლოებით იგივე შინაარსისაა ხეთური სხვა ტექსტის (CTH 733,Nr.III 21-24) შემდეგი პასაჟიც: „როდესაც ადამიანი ქაშქათში ხუვასი-სტელასთან მზის დვთაებას თაყვანს სცემს, ქურუმი ამბობს: „შეგვიწყალე ქაშქათის მზის დვთაებავ, მოკვდავთა შორის შენ ქაშქათის მზის დვთაება ხარ, ღმერთებს შორის შენ ქაშქათის მზის დვთაება ხარ, ღმერთებს შორის კი – leliyah – (ხარ), დვთაება და დედოფალი (ხარ) შენ" და ა. შ.

როგორც აღინიშნა, ხეთურ ლურსმულ ტექსტებში მზის დვთაება ხშირად ცასთან, მიწასთან, ზღვასთან, მდინარესთან, მთასთან ორგანულ კავშირშია წარმოჩენილი. ქანთუცილის, ზემოთ უკვე მოხსენიებულ საგალობელში უზენაესი მნათობის ადგილსამყოფელი ცაზეა ლოკალიზებული. საგალობლის ავტორის თვალსაზრისით, ციური კოშკის კარი მხოლოდ მზის დვთაებისთვისაა ღია. ცაზე

და ქვეყნის (სამყაროს) ოთხ მხარეში ოთხცხენშებმული ეტლით იგი, სოლარული სხვა ღვთაებების (მაგალითად, ქველბერძნული პელიოსის, ან ინდოარიული ღვთაებების – ვარუნას, ინდრას, ვატას...) მსგავსად, გადაადგილდება. იქვე ნათქვამია: „...იქ, სადაც მიწა და ცაა, სხივნიელო, მზეო, შენ ხარ მხოლოდ გამოდიხარ ცის სიმრავლიდან, ბრწყინვალევ, მარტოოდენ შენ! ცათა მეუფენი შენს წინაშე თავებს იდრეკენ და მიწის ღმერთნიც შენ გმონებენ...” ამავე ტექსტში ისცაა ხაზგასმული, რომ მზის ღვთაება „ბნელი ქვეყნის” (ქვესკნელის) მამამთავარიცაა. გამოქნიას იგი ცად ამაღლდება და ზემო და ქვემო ქვეყნებს სრულად გააცისკროვნებს”. ქალაქ არინას მზის ქალდმერთისადმი მიძღვნილ მურსილი II-ის ჰიმნშიც ასეთ სიტყვებს ვხვდებით: „...ცის ჭიშკარს მხოლოდ შენთვის ხსნიან ხოლმე // და ჭიშკრებში მხოლოდ შენ, (ღვთაებათა შორის) დამკვიდრებულო // [ქალაქ არინას მზის ქალდმერთო] გაიფლი”. ამინდის ღვთაება ფიხასასისადმი ლოცვისას, მუვათალი (ძვ. წ. XIIIს.) მზეს შემდეგი სიტყვებით მიმართავს: „...შენ, ცის მზის ღვთაებავ, ზღვიდან ამოდიხარ, და ცად // ამაღლდები. ცის მზის ღვთაებავ, ჩემო უფალო, დღეს // ღვთაებები გააჩერე. ღვთაებებს, რომლებსაც ჩემი ენით მოვუხმობ // დღეს, და თავის გასამართლებლად მივმართავ, (მიმართე შენც) და მოუხმე მათ, ცის მზის ღვთაებავ, ციდან (და) მიწიდან, // მთებიდან (და) მდინარეებიდან, მათი ტაძრებიდან და მათი ტახტრევნებიდან...” და იქვე: „ცის მზის ღვთაებავ, არინას მზის ღვთაება, არინას ამინდის ღვთაება, მეცულა, // ხულა, ცინდუხია, მამრი ღვთაებები, ქალდმერთები, მთები // (და) მდინარეები არინასი, ამინდის ღვთაება ხსნისა, ამინდის ღვთაება სიცოცხლისა”. CTH 376 E. 14-7-ში მზის ღვთაებაზე ნათქვამია: „სადაც არ უნდა (იმყოფებოდეს) სათაყვანები არინას მზის ქალდმერთი – ცაში, (სხვა) ღვთაებებს შორის, ზღვაში, მთებში ან [ქვესკნელში?], საიდანაც ის ბრუნდება ხოლმე”. ხეთურ ლურსმულ ტექსტებში შემდეგი სტრიქონებიც მოწმდება: „...არინას მზის ქალდმერთო ... ცისა და მიწის სამეფოს მხოლოდ შენ სწყალობ...” „ცისა და მიწის გარემომცველი // სინათლე მხოლოდ შენ (ხარ), არინას მზის ქალდმერთო”, „მიწა-ქალიშვილი მზისა” ან „დედამიწის ქალიშვილი –მზე” (<sup>MUNUS</sup>Daganzipaš DUMU. <sup>MUNUS</sup>DUTU).

ხეთურ ლურსმულ, ხეთურ და გვიანხეთურ იეროგლიფურ-ლუვიური წერილობითი წყაროების მონაცემთა კონტექსტში მზის ღვთაება არა მხოლოდ ცასა და მიწას (ზესკნელსა და ქვესკნელს) განაგებს და აწესრიგებს, არამედ იმ

სივრცესაც (შუასკნელს), რომელიც „ადამიანთა მოდგმისა და მცენარე-ცხოველთა მიერაა ათვისებული".

ხეთურ ლურსმულ წერილობით ძეგლებში აღნიშნულია, რომ მზის დვთაება ადამიანზე ზრუნავს (პოროგის მქნელსა და დვარძლიანს დირს სასჯელს მიუზღვი, მზეო! მზეო, პურსა და ლუდს შენს სამსხვერპლოზე მარად შემოგწირავს ის, მზეო, შენი მორჩილი მონა-ადამიანი დაიცავ შენ!", ან „ლოცვას მხოლოდ შენ შეისმენ. // მხოლოდ შენ (ხარ), არინას მზის ქალღმერთო, კეთილმოსურნე დვთაება // მხოლოდ შენ (ხარ) მოწყალე. მართალი ადამიანი მხოლოდ შენოვის, არინას მზის ქალღმერთისათვის (არის) საყვარელი. // მას მხოლოდ შენ, არინას მზის ქალღმერთო, განადიდებ), ობლებს მფარველობს („მფარველობ ტბლებს, როგორც დვიძლი და მისაგებელს შენ ერთი მიაგებ ობოლთ, ტვირთმძიმეთ!"), ქვეყნის ფაუნას უფრთხილდება („შენ ჩვენს ზემოთ ხარ, მზეო, სამართალს ქმნი ძაღლსა და დორზე, ტყის ნადირზე"). ნიშანდობლივია, რომ ხეთების სამეფოში შავი ჭირის მძვინვარების დროს განადგურებული და გავერანებული მინდვრების, ბაღების, მდელოების აღორძინებას მურსილი II მაინცადამაინც არინას მზის დვთაებას შესთხოვს. ხეთების სამეფოსათვის მოვლენილი ამ დიდი უბედურების ინიციატორების დასჯასაც მეფე არინას მზის ქალღვთაებისაგან ელის.

ადამიანთა სამყაროსთან (შუა სკნელთან) მზის დვთაების მიმართების საკითხის თვალსაზრისით, განსაკუთრებით საყურადღებო მაინც ისაა, რომ ჯერ კიდევ ხეთების სამეფომდელ ხანაში მზის დვთაება მეფესთან, მეფის ინსტიტუტთან, ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებასთან საკმაოდ მჭიდროდ დაკავშირებული აღმოჩნდა [10, 32-33]. ამ მხრივ, საგულისხმოა, რომ ძვ. წ. XVIII საუკუნის შუა წლების ანატოლიის ისტორიის ამსახველი ე. წ. „ანითას ტექსტის" ავტორი, ქალაქ ნესასთან დაპირისპირებული ქუსარას მეფე ანითა, ქალაქ ნესაზე და ამბოხებულ სხვა ქვეყნებზე გამარჯვებას ცის დვთაება ტაროსთან ერთად მზის ქალღვთაებასაც უმადლის („[ხოლო ფიო]ხანას, მამაჩემის შემდეგ, იმავე წელს ამბოხება დავამსე: მზის ქალღმერთის (შემწეობით), ქვემოთ ჩამოთვლილი ქვეყნები, რომლებიც აღდგნენ, სწორედ ისინი [ყველა დავამსე]".

ხეთების სამეფოს არსებობის მთელ მანძილზე, წერილობით წყაროებში არაერთგზისაა მითითებული, რომ სამეფო უზენაესი დვთაების მიერაა ბოძებული. სშირადაა ხაზგასმული ის გარემოება, რომ მეფეს წინ მზის დვთაება მიუძღვის, მეფე მზის კარნახით მოქმედებს: მართავს ქვეყანას და ხალხს, იბრძვის სამეფოს

საზღვრების გასავრცობად ან დასაცავად, ურჩი მეზობლების დასასჯელად, იღწვის სხვა ქვეყნებთან დიპლომატიური ურთიერთობების დასამყარებლად, ეწევა ფართო აღმშენებლობით და საქველმოქმედო მოღვაწეობას და ა. შ.

ხეთების ძველი სამეფოს პირველი მეფე სათუსილი I (ძვ. წ. 1650-1620 წწ.) თავის „ანალებში“ სიამაყით აღნიშნავს, რომ ქალაქ არინას ქალდვთაება მისი ქალბატონია, ხოლო თავად მეფე მზის ქალდვთაების რჩეული. მეფის მონათხობით, მზის ქალდვთაება ბრძოლებში მას წინ მიუძღვდა. ამ დვთაების „ხელის აწევის“ წყალობით მეფეს ქ. ალხა გაუნადგურებია. სხვადასხვა ქვეყანაზე გამარჯვებისათვის მადლობის ნიშნად, ხეთების მეფეს ქ. არინას მზის ქალდვთაებისათვის ომის დროს ნადავლის სახით მოპოვებული მდიდარი შესაწირავები მიურთმევია (მაგალითად, „...ოქროს ერთი ტაბლა, ვერცხლის სამი ტაბლა [...] ვერცხლისა, ოქროს ერთი სავარძელი, კარგი ოქროსი, ოქროს ერთი მადნანუ-ეტლი, ორი [...] მოოქროვილი, (ეს ყველაფერი) ქ. ხასუდან ქ. არინას მზის დვთაებას მივუტანე“, ან „ქ. ციფასნა გავანადგურე, მისი დვთაებანი ხელთ ვიგდე და ქ. არინას მზის დვთაებას მივუტანე“, ან „ერთი მადნანუ-ეტლი, ერთი ვერცხლის ირემი, ერთი ოქროს ტაბლა, ერთი ვერცხლის ტაბლა, ხახას დვთაებანი, ერთი ვერცხლის ხარი, ერთი მოოქროვილი გემი. მე, დიდმა მეფემ, თაბარნამ, ხელთ ვიგდე. მათ მონა-ქალებს ხელები დოლაბის ქვიდან ავაღებინე და ისინი სახანისა და ლუცისაგან გავათავისუფლე. გავუხსენი ჯაჭვები და ისინი ქ. არინას ქალდვთაებას, ჩემს ქალბატონს დავუბრუნე...“). ქ. არინას მზის დვთაებასთან განსაკუთრებული სიახლოვის საიდუსტრაციოდ მეფეს საკუთარი ქანდაკება ქ. არინას მზის ქალდვთაების მახლობლად განუთავსებია: „მაშინ ოქროსგან ჩემი ქანდაკება ჩამოვასხმევინე და ჩემი ქალბატონის ქ. არინას დვთაების ახლოს დავადგმევინე, ხოლო გალავანი მთლიანად ვერცხლით მოვარაყებინე“ – აცხადებს მეფე [11, 187].

თუთხალია I/II (ძვ. წ. 1460-1420 წწ.) მისი სამეფოს მტრებზე (მცირე აზის ქალაქების ანტიხეთურ კოალიციაზე, ქასქებზე) გამარჯვებებს სხვადასხვა დვთაებებს და, პირველ რიგში, ქ. არინას მზის ქალდვთაებას მიაწერს. მეფე გვამცნობს: „(მტრებმა – 6. ხ.) ... თავ[იან]თი ლაშქარი გააერთიანეს და მათმა [...] ჩემი ლაშქრის წინააღმდეგ დაიძრნენ. მაგრამ [მე], თუთხალიამ დამით წავიყვანე ჩემი ლაშქარი და მტრის ბანაკს გარს შემოვერტყი და დვთაებებმა გადმომცეს მე ისინი (ქალაქები): ქ. არინას მზის ქალდვთაებამ, ამინდის დვთაებამ, ლელვანიმ და

მე დავამარცხე მტრის ლაშქარი". და იქვე: „ქასქების მთელი ქვეყანა აღ[მიღგა] და ქ. თივარაში ბანაკი დასცა (და) ბანაკის უპან ტყე დაიკავა, მას წინ მდინარეც ჩამოუდის]. ხოლო მე, თუთხალია, დიდი მეფე, [წავედი] შევებრძოლე მათ და დვთაებებმა მომცეს იგი, ქ. არი[ნას] მზის ქალდვთაებამ, ხათის მფარველმა დვთაებამ, ზაბაბამ, იშთარმა, მთვარის დვთაებამ, ლელვანიმ, და დავამარცხე ქასქას ლაშქარი".

მურსილი II-ის მიერ შედგენილი სუფილულიუმა I-ის (ძვ. წ. 1365-1340წწ.) „საქმენის" ფრაგმენტების თანახმად, ამ მეფის მრავალრიცხოვანი ლაშქრობის დროს მას თან „დვთაებები ახლდნენ", რომლებიც ქვეყნებისა და ქალაქების დამორჩილებაში „დიდ დახმარებას უწევდნენ". დვთაებათა ჩამონათვალში, პირველ ადგილზე კვლავ ქ. არინას ქალდვთაებაა მოხსენიებული.

მურსილი II-ის (ძვ. წ. XIVს.) „ათწლიან ანალექში" აშკარადაა ხაზგასმული ქ. არინას მზის ქალდვთაებასთან და სხვა დვთაებებთან მეფის მჭიდრო კავშირი, მეფის ნამოღვაწარში დვთაებათა მიერ შეტანილი წვლილი. ამ წერილობით წყაროში სხვადასხვა სამხედრო ოპერაციის აღწერისას სულ ცოტა 14-ჯერ ვხვდებით გამოთქმას: „ქ. არინას მზის ქალდვთაება, ჩემი ქალბატონი, ამინდის დვთაება, ჩემი ბატონი, მეცულა და ყველა დვთაება მხარში (ან გვერდში – ნ. ხ.) მედგნენ". მაგრამ ამჯერად, ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო მაინც უშუალოდ ქ. არინას მზის ქალდვთაებისადმი მურსილი II-ის მიმართვის ის სტრიქონებია, სადაც მეფისა და ქ. არინას მზის ქალდვთაების ურთიერთმიმართება საკმაოდ დამაჯერებლად და შთამბეჭდავადაა წარმოჩენილი. მეფე აცხადებს: „ხოლო, როდესაც მე, მზე, მამაჩემის ტახტზე დავჯექი, სანამ იმ გარშემო მყოფი ქვეყნების წინააღმდეგ, რომლებმაც ომი გამომიცხადეს, საბრძოლველად გავწევდი, ჩემი ქალბატონის, ქალაქ არინას მზის ქალდვთაების დადგენილ დღესასწაულებზე ვიზრუნე და ვიზეიმე ისინი. ჩემს ქალბატონს, ქალაქ არინას მზის ქალდვთაებას ხელი აღვუპყარი და შემდეგნაირად მივმართე: „ქალაქ არინას მზის ქალდვთაებავ, ჩემო ქალბატონო! ის გარშემომყოფი ქვეყნები, რომლებმაც შეურაცხყოფა მომაყენეს და პატივი არ მცეს, შენი, ჩემი ქალბატონის, ქალაქ არინას მზის ქალდვთაების მიწებს იტაცებდნენ და კვლავ იგივეს აპირებდნენ. მაშ მოდი, ჩემო ქალბატონო, ქალაქ არინას მზის ქალდვთაებავ ჩემთან და ეს გარშემომყოფი მტრული ქვეყნები ჩემს წინ დაამარცხე!" ხოლო ქალაქ არინას მზის ქალდვთაებამ შეისმინა ჩემი და მოვიდა ჩემთან. მაშინ დავამარცხე, როგორც კი მამაჩემის

ტახტზე ავედი, გარშემო მყოფი მტრული ქვეყნები 10 წელიწადში გავანადგურე ისინი". ქ. არინას მზის ქალღვთაებას მურსილი II თავის მომავალ მოღვაწეობასაც ორგანულად უკავშირებს, როდესაც „ათწლიანი ანალების" დასკვნით ნაწილში აცხადებს: „რასაც მე ქალაქ არინას ქალღვთაება, ჩემი ქალბატონი შემდგომში დამიწესებს, იმას დაგიწესებ და შევასრულებ".

ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში მზის ქალღვთაების აქტიური მონაწილეობის მაგალითს ხაიასას მომავალ მმართველთან, ხუკანასთან და „ხაიასას კაცებთან" სუფილულიუმა I-ის მიერ დადებულ ხელშეკრულების ტექსტშიც ვხვდებით (KBo 19, 44). საყურადღებოა, რომ ამ ოფიციალური დოკუმენტის უფლებამოსილების მოწმეებად მაინცადამაინც ღვთაებები სახელდებიან. „მოწმე" ღვთაებათა საკმაოდ ვრცელ ნუსხაში კი, პირველობა „მზის ღვთაება ცისა, ქ. არინას ქალღვთაება მზისა"-ს ეკუთვნის.

მზის ღვთაებასთან მეფის ინსტიტუტის დამოკიდებულების ხეთური თვალსაზრისის რეკონსტრუქციისათვის საინტერესო მონაცემებს მეფის ხელისუფლების განახლების რიტუალისადმი მიძღვნილ ხეთურ ტექსტებშიც გაოულობთ (რომელსაც მკვლევართა აზრით, „სასახლის სამშენებლო რიტუალი" მხოლოდ პირობითად შეიძლება ვუწოდოთ) [12, 40-49]. ამ წერილობით ძეგლში პირდაპირაა გაცხადებული, რომ ქვეყანა სამართავად მეფეს ღვთაებებმა ჩააბარეს: „მე კი, მეფეს ღმერთებმა – მზის და ამინდის ღვთაებებმა ქვეყანა ჩამაბარეს და მე, მეფე, ჩემს ქვეყანას და ჩემს სახლს ვიცაგ"). იგივე ღვთაებებია მოხსენიებული შემდეგ პასაჟებშიც: „მზისა და ამინდის ღვთაებებმა კვლავ იზრუნეს მეფეზე, განუახლეს ძალა, მისი (სიცოცხლის) წლები უსაზღვრო გახადეს". იმავე ტექსტში მეფის წინააღმდეგ ბოროტების პოტენციურ ჩამდენობით იმავე ღვთაებების სახელით ემუქრებიან. ხორბალსა და ქერს ფქვავენ და თან ამბობენ: „(ის), ვინც მეფის წინააღმდეგ ბოროტებას განიზრახავს, დაე, ღვთაებებმა (მზის და ამინდის ღვთაებებმა – ნ. ხ.) მასაც ბოროტება მოუვლინონ და ისიც (ასევე) დაფქან".

ქ. არინას მზის ქალღვთაებას გამორჩეული ადგილი ამინდის ღვთაება ფიხასასისადმი აღვლენილ ზემოთ უკვე მოხსენიებულ მუგათალის ლოცვაშიც უკავია, მიუხედავად იმისა, რომ მეფისავე მოწმობით, იგი ქ. არინას მზის

ღვთაებისა და ხათის ყველა ღვთაების ქურუმად ფიხასასიმ დასვა\* [3, 76] და უფრო მეტიც, ხათის ქვეყანაში მეფობისთვისაც განამწესა. სხვა ღვთაებებთან შედარებით ქ. არინას მზის ღვთაების უპირატესობა ლოცვის შესავალ ნაწილშივეა აქცენტირებული. მეფე, რომელსაც ღვთაებათა წინაშე თავის მართლება (ცოდვების მონანიება) განუზრახავს, შესაბამისს რიტუალს აღასრულებს. სახურავზე, მზის პირისპირ ლერწმისაგან მოწნულ ორ მაგიდას დგამს, რომელზედაც რიტუალისათვის გამიზნულ „35 სქელ პურს (გამომცხვარს ერთი) თარნა ახალი ფქვილისაგან, // თხელკედლიან (გამჭვირვალე) თასს თაფლით, რომელშიც წმინდა ზეთია (შერეული), ქოთანს, სავსეს ცხიმიანი პურით, ბურდულით // თხელკედლიან (გამჭვირვალე) თასს და 30 დოქ ღვინოს" ათავსებენ. საყურადღებო ისაა, რომ ამ ორი მაგიდიდან, ერთი საკუთრივ არინას მზის ქალღვთაებას ეკუთვნის, ხოლო მეორე არა რომელიმე ერთ მამრ ღვთაებას, არამედ, ზოგადად – მამრ ღვთაებებს. ნიშანდობლივი ისიცაა, რომ სახურავზე ასული მეფე არა ყველა ღვთაების, არამედ მაინცადამაინც ცის მზის ღვთაების წინაშე იჩოქებს (CTH 381,§1, 1-9).

და ბოლოს, ხეთური საზოგადოების იერარქიული კიბის უმაღლეს საფეხურზე მზის ღვთაების განსაკუთრებულ სტატუსზე, ზემოაღნიშნულთან ერთად, ისიც მეტყველებს, რომ ძვ. წ. XIV საუკუნიდან ხეთი მეფეების ტიტულატურაში ტერმინებმა: „მზე”, „ჩემი მზე”, „მე, მზემ” ცენტრალური ადგილი დაიმკვიდრა. ხეთების ახალი სამეფოს დროინდელ ხეთურ ლურსმულ ტექსტებში ხშირად ვხვდებით ფრაზებს: „ასე (ამბობს) მზე სუფილულიუმა, ხათის ქვეყნის მეფე”; „მე, მზემ, შენ, ხუკანა [წარჩინებული] გაგხადე”; „და შენ, ხუკანა, მხოლოდ მზე დაიცავი საიმედოდ და მხოლოდ მზეს მხარში ამოუდექი”; „ასე (ამბობს) ჩემი მზე მურსილი, დიდი მეფე, მეფე ხათის ქვეყნისა...”; „ხოლო, როდესაც მე, მზე, მამაჩემის ტახტზე დავჯექი”; ....მე კი, მზე დაგიცავ შენ, დუფი-თუშუფ”; „მე, მზემ მის წინააღმდეგ გავილაშქრე” და ა. შ.

რაც შეეხება მზის ღვთაების დასახელების შემცველ ხეთური და გვიანხეთური ხანის იეროგლიფურ-ლუვიურ წერილობით ძეგლებს, ისინი რაოდენობრივადაც და ინფორმაციულობის თვალსაზრისითაც ხეთურ ლურსმულ ტექსტებს ტოლს ვერ უდებს, მითუმეტეს, რომ გვიანხეთური ხანის სამეფო-სამთავროების (მუშქების ქვეყნა, თაბალი, თუნა, თუხანი, ხილაქე, ქუე, ქამანუ-

\* უფრო დაწვრილებით იხ. ტატიშვილი ი., ზოგიერთი მოსაზრება მეფე მუგათალი II-ის საბეჭდავების შესახებ, კაგაასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული XI, თბილისი, 2004, გვ. 40-49.

მელიდუ, გურგუმი, ქუმუხი, ქარგამიში...) პანთეონში უზენაესი დვთაების ადგილი არა მზის მამრ ან მდედრ დვთაებებს უკავიათ, არამედ ამინდის დვთაება თარხუნთასს (DEUS TONITRUS), რომელიც შუმერული იშქურის, სემიტური ადადის, ხურიული თეშუბის მსგავსად, ცასთან, სიუხვის მომტან წყლებთან და ნაყოფიერებასთანაა დაკავშირებული [13, 197-209].

მზის დვთაება ხეთური და გვიანხეთური ხანით დათარიდებულ იეროგლიფურ-ლუვიურ წარწერებში, ისევე როგორც ხეთურ ლურსმულ ტექსტებშიც, ცასთანაა ასოცირებული. ადრეული (ხეთური) ხანის იეროგლიფურ-ლუვიურ წერილობით ძეგლებში, მზის დვთაებას, როგორც წესი, „მზის დვთაება ცისა" (DEUS SOL CAELUM) [14,52] ეწოდება, ხოლო გვიანდელში (გვიანხეთურ ხანაში) - „ცის დვთაება მზე" (CAELUM DEUS SOL) [15,24]. იეროგლიფურ-ლუვიური დამწერლობით შესრულებულ სამეფო წარწერებში, ისევე როგორც ხეთურ ლურსმულ ტექსტებშიც, ხაზი მზის დვთაების სხივების ნათებასა და ბრწყინვალებას ესმება.

მზის ფრთოსან დისკოს (ორნამენტურ მოტივს, სამეფო კარტუშს) იეროგლიფურ-ლუვიური დამწერლობით შესრულებულ როგორც ხეთურ, ასევე გვიანხეთური ხანის წერილობით ძეგლებზე (საბჭდავები, ქვაზე ამოკვეთილი რელიეფები, სამეფო წარწერები) ვხვდებით. მაგრამ ძალზე ნიშანდობლივი ისაა, რომ ყარადღისა და ყიზილდაღის მთიანეთში აღმოჩენილი, ჩვენს მიერ ძვ. წ. X-IX საუკუნეების მიჯნით დათარიდებული იეროგლიფურ-ლუვიური 5 წარწერიდან, რომელიც მუსქას (მუსქების, მუშქების) ქვეყნის მეფე ხართაფუს ეკუთვნის, ოთხს ფრთოსანი დისკო (სამეფო კარტუში) ამშვენებს, მაგრამ, აქედან ორ იეროგლიფურ-ლუვიურ წარწერაზე, მზის ფრთოსანი დისკო ზემოთ, გვიანხეთური სამეფო-სამთვაროთა პანთეონის უზენაესი დვთაების – თარხუნთასის აღმნიშვნელი ლუვიური იეროგლიფია განთავსებული [16, 33-37].

სამეფო ტიტულატურაში მზის დვთაების მოხსენიებას გვიანხეთური ხანის მხოლოდ მსხვილი პოლიტიკური გაერთიანებების პირველი პირების (მეფეების, თარგანასების) სახელით შედგენილ იეროგლიფურ-ლუვიურ წარწერებში ვხვდებით. რამდენიმეგზის მზის დვთაება სხვა დვთაებების გვერდით ე. წ. კრულგის შემცველ კონტექსტებშიც ჩნდება. მიუხედავად ამისა, გვიანხეთური ხანის სამეფო-სამთავროთა პირველი პირების (მეფეების, თარგანასების, მბრძანებლების) იეროგლიფურ-ლუვიური წარწერების მთავარი მოქმედი პირები მეფე და დვთაება

თარხუნთასია. ასე, მაგალითად, ყარა-თეფეზე აღმოჩენილი, ძვ. წ. IX საუკუნის ბოლო მეოთხედით დათარიღებულ, აზითავათას ცნობილ ბილინგვაში ვკითხულობთ: „მე აზითავათა ვარ, მზით ქურთხეული კაცი, თარხუნთასის მსახური, (ის), რომელიც ავარქუმ, დანუნელთა მეფემ, დააწინაურა. თარხუნთასმა დანუნელთა დედამ და მამამ მომავლინა. და მე განვავრცე ადანას ველის მიწები აღმოსავლეთსა და დასავლეთის (მიმართულებით). და ჩემი ყოფნის ჟამს დანუნელთა ქვეყანაში სუფევდა ყოველგვარი კეთილდღეობა, ბარაქა და დოვლათი. და გავავსე დანუნელთა ბედლები და მივუმატე ცხენს ცხენი. და მივუმატე ლაშქარს ლაშქარი. და მივუმატე ფარს ფარი. ყოველივე ეს თარხუნთასისა და სხვა დვთაებათა წყალობით გავაკეთე" [17, 110]. დაახლოებით ასეთივე სტატუსი აქვს მინიჭებული მზის ქალდვთაებას ქარგამიშის მეფე იარირისის (ძვ. წ. VIII საუკუნის 60-იანი წლები) წარწერებშიც: „მე ვარ იარირისი, მხრძანებელი, მზე კაცი... დასავლეთსა და აღმოსავლეთში განდიდებული, კაცი დვთაებათა მიერ შეყვარებული. ჩემი სამართლიანობის (ამბავი) თარხუნთასმა და მზის დვთაებამ ცას ამცნეს..." [17, 109], ან „მე ვარ იარირისი, მმართველი, უფლისწული, საყვარელი თარხუნთასისა, ქუბაბასი, ქარხუხასი და მზის დვთაებისა. ჩემი გამოსახულება გავაკეთე და ქუბაბას ფეხებთან დავდგი", ან „[მე (ვარ), გმირი, ქვეყნის ბატონი ქალაქ ქარგამიშისა... ქუბაბას საყვარელი. მე განმადიდა მამაჩემმა სასტურასმა, მზისგან დალოცვილმა. ქუბაბამ მამისეულ ტახტზე დამსვა..." [18, 150-163] და ა. შ.

მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ უკვე მოხსენიებული აზითავათას წარწერის დასკვნით ნაწილში მზის დვთაება კვლავაა მოხსენიებული, იქაც პირველობა დვთაება თარხუნთასს ეკუთვნის. იგივე ვითარებაა ასახული შემდეგ კონტექსტებშიც: „დაე, დამნაშავეს, დვთაებები თარხუნთასი, ქარხუხა (და) ქუბაბა, მთვარისა და მზის დვთაებები... განურისხდნენ (და) დაე, მას თავი დააგდებინონ", ან „დაე, მის წინააღმდეგ გამოვიდნენ დვთებები: თარხუნთასი, ქარხუხა და ქუბაბა, ეა, მთვარე (და) მზე WALA და მან (დამნაშავე - ნ. ხ.) ვერც ცის ბარაქა დაინახოს, ვერც მიწისა და ვერც ქუბაბასი [18, 150-163] და ა. შ.

ამგვარად, ზემომოყვანილ მონაცემთა კონტექსტში კარგად ჩანს, რომ ისევე როგორც სხვა ძველაღმოსავლურ საზოგადოებებში, ხეთურშიც, ადრევე (ძვ. წ. XVII ს.) ჩამოყალიბდა თვალსაზრისი სამეფო ხელისუფლების დვთაებრივი წარმომავლობის შესახებ. ხეთების პანთეონის უზენაესი დვთაება – მზე ორგანულად დაუკავშირდა მეფეს და მეფის ინსტიტუტს. როგორც დავინახეთ,

წერილობით წყაროებში ხშირადაა ხაზგასმული, რომ მეფეს წინ მზის დვთაება მიუძღვის, მეფე მზის დვთაების კარნახით და მითითებით მოქმედებს: მართავს ქვეყანას და ხალხს, იბრძვის სამეფო საზღვრების გასავრცობად, ან დასაცავად, ურჩი მეზობლების დასასჯელად, იღწვის სხვა ქვეყნებთან დიპლომატიური ურთიერთობების დასამყარებლად, ეწევა ფართო აღმშენებლობით და საქველ-მოქმედო მოღვაწეობას. ხეთების ახალი სამეფოს დროიდან (ძვ. წ. XIV ს.) ხეთების მეფე „მზის“ ეპითეტით მოიხსენიება. ხეთი მეფეების ტიტულატურაში ტერმინები: „მზე“, „ჩემი მზე“, „მე მზემ“ ცენტრალურ ადგილს იმკვიდრებს. გვიანხეთურ ხანაში სამეფო ხელისუფლების დვთაებრივი წარმომავლობის კონცეფცია კვლავ ფუნქციონირებს, იმ განსხვავებით, რომ ამჯერად, მზის დვთაების ადგილს გვიანხეთური ხანის პანთეონის უზენაესი დვთაება – ამინდის დვთაება თარხუნთასი იკავებს.

2009.

### დამოწმებული პირველწყაროები და ლიტერატურა

1. Гамкрелидзе Т. В., Иванов В. В., Индоевропейский язык и индоевропейцы. Реконструкция и историко-типологический анализ праязыка и протокультуры, II, Тбилиси, 1984, с. 684.
2. ტატიშვილი ი., ხეთურ-ქართული ლექსიკონი, ნაკვ. II, თბილისი, 2007, გვ. 116.
3. ტატიშვილი ი., ხეთური რელიგია, თბილისი, 2001, გვ. 123-129.
4. ტატიშვილი ი., რამდენი მზე ჰყავდათ ხეთებს? კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული X, თბილისი, 2001, გვ. 109-120.
5. კიკვიძე ი., მიწათმოქმედება და სამიწათმოქმედო კულტი ძველ საქართველოში. თბილისი, 1976, გვ. 160 და შმდ.
6. გიორგაძე გ., სუფილულიუმას ხელშეკრულება ხუკანასთან და „ხაიასას კაცებთან“, წიგნში: ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის ქრესტომათია, თბილისი, 1990, გვ. 193 და შმდ.;
7. გიორგაძე გ., მურსილი II-ის ხელშეკრულება ამურუს მმართველ დუფი-თემუბთან, წიგნში: ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის ქრესტომათია, გვ. 199 და შმდ.

8. ბენდუქიძე ნ., მზის საგალობელი, წიგნში: ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის ქრესტომათია, გვ. 232-233.
9. ლამბაშიძე გ., ხეთური ანალისტიკა (სამეფო დღიურები), ნაწილი I, თბილისი, 2006, გვ. 19, 28, 30-31, 62, 65, 76, 79, 87, 90, 96.
10. ჰაიზინგა ი., *Homo Ludens*, კაცი მოთამაშე, თბილისი, 2004, გვ. 32-33.
11. გიორგაძე გ., ხათუსილი I-ის ანალები, წიგნში: ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის ქრესტომათია, გვ. 187.
12. ტატიშვილი ი., ზოგიერთი მოსაზრება მეფე მუგათალი II-ის საბეჭდავების შესახებ, კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული XI, თბილისი, 2004.
13. ხაზარაძე ნ., <sup>D</sup>TRH-(თარხუნი) – გვიანხეთური პანთეონის უზენაესი ღვთაება, წიგნში: ხაზარაძე ნ., ძველაღმოსავლური და ქართველოლოგიური ძიებანი, თბილისი, 2001, გვ. 197-209.
14. Meriggi P., Manuale Di Eteo Geroglifico, Parte II: Tavole 2a E3a Serie, Roma, 1975, Yazilikya, #52, naxati #34.
15. Meriggi P., Manuale Di Eteo Geroglifico, Parte II: Testi-1a Serie, Roma, 1967, Karatepe, #24, LXIX.
16. Khazaradze N., ``Great King Hartapus, Great King'', Bulletin of the AGIBAS, American-Georgian Institute of Biblical and Archaeological Studies, #2-3, Tbilisi, 2004-5, p. 33-37.
17. ხაზარაძე ნ., ლუვიური იეროგლიფების სამყაროში, თბილისი, 2006, გვ. 110.
18. Hawkins J. D., Kubaba at Karkamış and Elsewhere, AnSt, XXXI, 1981, p. 150-163.

**Nana Khazaradze**

### **THE SUN DEITY AND THE KING**

In the context of the evidence of the Hittite period cuneiform and Late Hittite Hieroglyphic Luwian written sources offered in the present paper, the author arrives at the conclusion that in the Hittite society, as in other ancient oriental ones, the opinion on the divine origin of the royal power took shape at an early time (17<sup>th</sup> c. BC). The supreme deity of the Hittite pantheon – the Sun – became organically linked with the king and the institution of the king. It is often stressed in written sources that the Sun deity leads the king, he acts at the dictation and instruction of the Sun deity: rules the country and the people, fights to extend or defend the borders of the kingdom or to punish unruly neighbours, strives for the establishment of diplomatic contacts with other countries, is

engaged in extensive construction and charitable activity. From the period of the New Hittite Kingdom (14<sup>th</sup> c. BC) the King of the Hittites is referred to by the epithet of the “Sun”. The terms “Sun”, “My Sun”, “I the Sun” occupy the central place in the titles of the Hittite kings. It is also demonstrated in the paper that the conception of the divine origin of the royal power is still viable in the Late Hittite period, with the difference that this time the Sun deity is replaced by the supreme deity of the Late Hittite pantheon – Weather-god Tarhunt.

მზის ღვთაების აღმნიშვნელი უძველესი ლუგიური ორი იეროგლიფის (Yazilikaya 34,

### Kültepe 86) ინტერპრეტაციისათვის

მზის ღვთაების მოხსენიების შემცველი ხეთური ლურსმული, ხეთური და გვიანხეთური ხანით დათარიღებული იეროგლიფურ-ლუგიური დამწერლობით შესრულებული წერილობითი ძეგლების და მზის ღვთაების (DEUS SOL) აღმნიშვნელი, სხვადასხვა დაწერილობით შესრულებული ლუგიური

იეროგლიფების:  [Laroche E., 1960, 190, 191; Meriggi P., 1962, 155, 156, 268, 268a] შესწავლის საფუძველზე, 2008 წელს გამოქვეყნებულ ერთ-ერთ ჩემს ნაშრომში (ხაზარაძე ნ., 2008, 44-65) იმ დასკვნამდე მივედი, რომ მზის აღმნიშვნელ ლუგიურ ზემომთითებულ იეროგლიფებში ხათურ-ხეთურ-ლუგიურ კულტურულ ტრადიციებში არსებული მზის ღვთაებასთან დაკავშირებული კონცეფციები სრულყოფილადაა ასახული. იქვე შევნიშნავდი, რომ მზის ღვთაების აღმნიშვნელი ლუგიური იეროგლიფები, ვერტიკალურ ხაზზე, როგორც ჩანს, კოსმიურ დერძზე, ან ასევე ვერტიკალურ, სიგრძეზე შუაზე გაყოფილ, გეომეტრიული ფიგურის მსგავს კონსტრუქციაზე აგებულ ორი ან სამი სივრცის (სკნელის) გამოსახულებებითაა წარმოდგენილი, რაც სავსებით ადგვატურად ასახავს წერილობითი წყაროების იმ ჩვენებებს, რომელთა თანახმადაც, მზის ღვთაება არა მხოლოდ კოსმიური დერძის თავსა და ბოლოში ფუნქციონირებს („მზის ღვთაება ცისა“ nepišaš/AN-/SAME, „მზის ღვთაება მიწისა taknaš/KI-/ER-SETIM“, არამედ შუაშიც („მზის ღვთაება ქვეყნისა, ადამიანებისა, სოციუმისა, მეფისა, ცხოველთა, მცენარეებისა...“). ზემომოყვანილი სამი ლუგიური იეროგლიფის გამოსახულებაში ჩემი ყურადღება იმანაც დაიმსახურა, რომ მათ კომპოზიციურ სქემაში ვერტიკალური ხაზის (კოსმიური დერძის) ჰორიზონტალურად გადამკვეთი ხაზის საშუალებით ჯვრის გამოსახულებაა შექმნილი. ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, რომ ჯვარი ლუგიური იეროგლიფების კონსტრუქციულ საფუძვლადაა გააზრებული. იგი კოსმოსის სიმბოლოა და მზის ღვთაებისაც, მითუმეტეს, რომ ხეთურ წერილობით წყაროებში მზის ღვთაება სამყაროს ოთხი მხარის უზენაეს მანათობლადაა წარმოდგენილი.

მზის ღვთაების აღმნიშვნელი ზემომოყვანილი ლუგიური იეროგლიფების შესწავლისას იმასაც მიგაქციე ყურადღება, რომ ლუგიური იეროგლიფების ერთი

ჯგუფისათვის მზის დვთაების მოქმედების არეალის – ორი ან სამი სივრცის (ზესკნელი-ქვესკნელი, ზესკნელი-შუასკნელი-ქვესკნელი) გამოსახატავად მაინცადა-მაინც დვთაების აღმნიშვნელი გაორმაგებული და გასამმაგებული ლუგიური იეროგლიფებია გამოყენებული, რაც სხვა არაფერია, თუ არა დვთიური თვალი (DEUS ☰). განსხვავებული იკონოგრაფიის მატარებლად მივიჩნიე ზემომოყვანილი მესამე ლუგიური იეროგლიფი, სადაც მზის დვთაების აღსანიშნავად არა დვთაების აღმნიშვნელ ლუგიურ იეროგლიფს ვხვდებით, არამედ ჯვარში ჩასმულ ისეთივე მზის დისკოებს, რომლებიც ჩვეულებრივ ფრთოსანი მზის დისკოს შემცველ ორნამენტებსა და სამეფო კარტუშებშია დამოწმებული, იმ განსხვავებით, რომ ამ შემთხვევაში ჯვარი მზის დისკოებს ორ სფეროდ ჰყოფს.

რაც შეეხება მზის დვთაების აღმნიშვნელი ზემოგანხილული, პირველი ოთხი ლუგიური იეროგლიფისაგან სრულიად განსხვავებულ, (მაგრამ სხვა ეპიგრაფიკულ ძეგლებზე მრავალგზის გამეორებულ) მეხუთე იეროგლიფის სემანტიკურ კოდს, შემდეგი შეიძლება აღინიშნოს: 2008 წელს გამოქვეყნებულ, უკვე მოხსენიებულ ჩემს ნაშრომში, მზის დვთაების აღმნიშვნელ ამ ლუგიურ იეროგლიფში დამოწმებული გეომეტრიული ფიგურის მსგავსი გამოსახულება, ისევე როგორც დერძი (ხაზი), ჯვარი მზის დვთაების აღმნიშვნელ ლუგიურ სხვა ზემომოყვანილ იეროგლიფებში, ლუგიური იეროგლიფის ამ ვერსიის კონსტრუქციის საფუძვლად გავიაზრე და ვარაუდის სახით დავუშვი, რომ იგი, ისევე როგორც ჯვარი, დერძი (ხაზი) ძველი ანატოლიელების კოსმოგონიური წარმოდგენებით იყო ნასაზრდოები. კოსმოსური დერძისა და ჯვრის მსგავსად, იგი ქვეყნიერების, კოსმოსისა და აქედან გამომდინარე, მზის დვთაების სამყაროს გამოხატავს.

ამჯერად, მსოფლიო ხალხთა უძველესი, სადღეისოდ ცნობილი, კოსმოგონიური კონცეფციების გათვალისწინებით, ვერ გამოვრიცხავ ვარაუდს, რომ აღნიშნული გეომეტრიული ფიგურის მსგავსი გამოსახულება მაინცადამაინც „კოსმიურ (მსოფლიო) კვერცხს“ განასახიერებდეს, რომელიც არა მხოლოდ სამყაროს (კოსმოსის), ოთხი სტიქიის, სიცოცხლის, ნაყოფიერების, არამედ მზისა და სხვა პირველ დმერთთა შესაქმესთანაცაა ორგანულად დაკავშირებული [Erman, 1905, 62; Sethe, 1976, \$157,160; Байер, Дюмотц, Головин, 2000, 22-23; Шейнин, 2003, 40. ენციკლოპედია: Символы, знаки, Эмблемы, 2004, 551-552; Рошаль, 2006, 918-919...].

მზის ღვთაების აღმნიშვნელი ლუგიური იეროგლიფების, პირობითად, მეხუთე ვერსიას, სხვა განმასხვავებელი ნიშანიც ახასიათებს. ამ კონსტრუქციით შესრულებულ მზის ღვთაების აღმნიშვნელ ლუგიურ იეროგლიფებში სამი სივრცის (სამი სკნელის) შესაბამისს გასამმაგებულ ღვთაების აღმნიშვნელ ლუგიურ იეროგლიფებს ცის (CAELUM  ) აღმნიშვნელი, ასევე სამგზის გამეორებული ლუგიური იეროგლიფები ენაცვლება, რომლებიც კვერცხის გამოსახულების მსგავსი ფიგურის (კოსმოსის, ქვეყნიერების) თავში, შუაში და ბოლოშია განლაგებული, იმ განსხვავებით, რომ ცის აღმნიშვნელი პირველი ორი ლუგიური იეროგლიფი ზემოთ – ცისკენაა ორიენტირებული, ხოლო მესამე – ქვემოთ, მიწისკენ, ქვესკნელისკენ და, როგორც ჩანს, „დამხობილ ცას“ წარმოგვიდგენს. ხეთური ლურსმული, ხეთური და გვიანხეთური იეროგლიფურ-ლუგიური წერილობითი წყაროების მონაცემთა კონტექსტში მზის ღვთაების აღმნიშვნელ ლუგიურ იეროგლიფში ცის აღმნიშვნელი იეროგლიფის გამოჩენა საგსებით ბუნებრივია. ჩემი აზრით, წერილობით წყაროებთან ერთად, ამ შემთხვევაში, ისიცაა ანგარიშგასაწევი, რომ ლუგიურ და ფალაურ ენებში მზის ღვთაება Tiuat-Tijat ტერმინებით აღინიშნება, რომელთაც თ. გამყრელიძე და ვ. ივანოვი საერთოინდოევროპულ t'ieš-დან („ცის ღვთაება“) მომდინარედ მიიჩნევენ [Гамкрелиძე, Иванов, 1984, 684; იხ. აგრეთვე, სურგულაძე, 2003, 73].

ახლა მზის ღვთაების აღმნიშვნელ კიდევ ორ ლუგიურ იეროგლიფზე 

 გავამახვილებ უურადღებას. ორივე ხეთური ხანით (ძვ. წ. II ათასწლეული) თარიღდება. ერთი იაზილიქაიაშია დამოწმებული, მეორე – ქიულთეფეში [Meriggi, 1975, Tavole IX; Börker-Kläbn, 1983, 95]. იაზილიქაიას და ქიულთეფეს ძეგლებზე დამოწმებული მზის ღვთაების აღმნიშვნელი ლუგიური იეროგლიფები იმ მხრივაა საინტერესო, რომ ორივე შემთხვევაში ცასთან მზის ღვთაების ორგანული კავშირი ხაზგასმითაა ნაჩვენები. მზის ღვთაების ეპითეტი „მზე ცისა“ (nepišaš/AN-/ŠAME) სრულადაა რეალიზირებული. ადგევატურადაა ასახული ხათურ-ხეთურ-ლუგიურ სამყაროში არსებული თვალსაზრისი მზეზე, როგორც ცის ღვთაებაზე, რაც მზის ღვთაებისადმი მიღვნილ ტექსტებში თვალნათლივაა წარმოჩენილი. მაგალითად, ქანთუცილის (ძვ. წ. XIVს.) მზის საგალობელში უზენაესი მნათობის (მზის)

ადგილსამყოფელი ცაზეა ლოკალიზებული. საგალობლის ავტორის თვალსაზრისით, ციური კოშკის კარი მხოლოდ მზის ღვთაებისთვისაა დია. იგი ცასა და ქვეყნის (სამყაროს) ოთხ მხარეში, სოლარული სხვა ღვთაებების მსგავსად, ოთხცხენშებმული ეტლით, გადაადგილდება. იქვე ნათქვამია: „...იქ, სადაც მიწა და ცაა, სხივნიელო, მზეო, შენ ხარ მხოლოდ. გამოდიხარ ცის სიმრავლიდან, ბრწყინვალევ, მარტოდენ შენ! ცათა მეუფენი შენს წინაშე თავებს იდრეპენ და მიწის ღმერთნიც შენ გმონებენ...” [ბენდუქიძე, 1990, 232-233]. ქალაქ არინას მზის ქალღვთაებისადმი მიძღვნილ მურსილი II-ის ჰიმნშიც ასეთ სიტყვებს ვხვდებით: „...ცის ჭიშკარს მხოლოდ შენთვის ხსნიან ხოლმე // და ჭიშკრებში მხოლოდ შენ, (ღვთაებათა შორის) დამკვიდრებულო // [ქალაქ არინას მზის ქალღმერთო,] გაივლი”. ამინდის ღვთაება ფიხასასისადმი ლოცვისას, მუვათალი (ძვ. წ. XIIIს.) მზეს შემდეგი სიტყვებით მიმართავს: „...შენ, ცის მზის ღვთაებავ, ზღვიდან ამოდიხარ, და ცად // ამაღლდები. ცის მზის ღვთაებავ, ჩემო უფალო, დღეს // ღვთაებები გააჩერე. ღვთაებებს, რომლებსაც ჩემი ენით მოვუხმობ // დღეს, და თავის გასამართლებლად მივმართავ, (მიმართე შენც) და მოუხმე მათ, ცის მზის ღვთაებავ, ციდან (და) მიწიდან, // მთებიდან (და) მდინარეებიდან, მათი ტაძრებიდან და მათი ტახტრევნებიდან...” და იქვე: „ცის მზის ღვთაებავ, არინას მზის ღვთაება, არინას ამინდის ღვთაება, მეცულა, // ხულა, ცინდუხია, მამრი ღვთაებები, ქალღმერთები, მთები // (და) მდინარეები არინასი, ამინდის ღვთაება ხსნისა, ამინდის ღვთაება სიცოცხლისა”. CTH 376 E. 14-7-ში მზის ღვთაებაზე ნათქვამია: „სადაც არ უნდა (იმყოფებოდეს) სათაყვანები არინას მზის ქალღმერთი – ცაში, (სხვა) ღვთაებებს შორის, ზღვაში, მთებში ან [ქვესკნელში?], საიდანაც ის ბრუნდება ხოლმე” [ტატიშვილი, 2001, 88-101].

ცასთან მზის ღვთაების ორგანული კავშირი ხეთური და გვიანხეთური ხანის იეროგლიფურ-ლუვიურ წარწერებშიც მოწმდება. ხეთური ადრეული ხანის იეროგლიფურ-ლუვიურ წერილობით ძეგლებში, მზის ღვთაებას, როგორც წესი, „მზის ღვთაება ცისა” (DEUS SOL CAELUM) ეწოდება, ხოლო გვიანდელში (გვიანხეთურ ხანაში) - „ცის ღვთაება მზე” (CAELUM DEUS SOL).

ხათების, ხეთების, ლუვიელების კოსმოგონიური რწმენა-წარმოდგენების ისტორიის თვალსაზრისით, არანაკლებ საინტერესოა განსახილველ ლუვიურ იეროგლიფებში ცის აღმნიშვნელი ლუვიური იეროგლიფის შუაგულთან

ვერტიკალურად აღმართული სხვადასხვა ზომის პორიზონტალური სამი შვერილით წარმოდგენილი ნიშანიც, რომელსაც იეროგლიფურ-ლუგიურ დამწერლობაში ანალოგი ჯერჯერობით არ მოეპოვება. სავარაუდოა, რომ ჩვენთვის საინტერესო ამ ორ შემთხვევაში მზის დვთაების აღმნიშვნელ სხვა ლუგიურ იეროგლიფებში კოსმიურ დერძზე, კოსმიურ კვერცხზე განლაგებულ დვთაების სამი წყვილი თვალის, სამი ცის აღმნიშვნელ ლუგიურ იეროგლიფებს ვერტიკალურად აღმართულ ფიგურაზე განლაგებული, სხვადასხვა ზომის პორიზონტალური შვერილები შეესატყვისება, ხოლო კოსმოსის (სამყაროს) განმასახიერებელ ჯვარს, დერძს, კვერცხს – კოსმიური ხის სქემატური გამოსახულება, რომელიც ამასთანავე, კოსმოსის სამი სივრცით, სამი სკნელითაა გადმოცემული.

მზის დვთაების აღმნიშვნელი ლუგიური იეროგლიფების ზემოგანხილული ყველა ვარიანტი არა მხოლოდ ხათების, ხეთების და ლუგიულების კოსმოგონიური წარმოდგენების ისტორიის თვალსაზრისითაა საინტერესო, არამედ ქართველთა ანალოგიური წარმოდგენების რეკონსტრუქციისათვისაც, მითუმეტეს, რომ ტიპოლოგიურად ისინი დიდ ურთიერთმსგავსებას ავლენს.

2010.

### გამოყენებული პირველწყაროები და ლიტერატურა

1. Laroche E., Les hiéroglyphes hittites, I, Paris, 1960, #190, 191.
2. Meriggi P., Hieroglyphisch-Hethitisches Glossar, Wiesbaden, 1962, #155, 156, 268, 268a.
3. ხაზარაძე ნ., მზის დვთაების აღმნიშვნელი ლუგიური იეროგლიფები, ანალები, №3, თბილისი, 2008, გვ. 44-65, რეზიუმე ინგლისურ ენაზე.
4. Erman A., Die ägyptische Religion, Berlin, S. 1905, 62.
5. Sethe K., Amun und die acht Urgötter von Hermopolis, in: Opuscula, Leipzig, 1976, §157, 160.
6. Бауер В., Дюмотц И., Головин С., Древнейшие символы, Энциклопедия символов, Москва, 2000, с. 22-23.
7. Шейнин Е.Я., Яйцо, Энциклопедия символов, Москва, 2003, с.40.
8. Энциклопедия: Символы, знаки, эмблемы, Москва, 2004, с. 551-552.
9. Рошаль В. М., Энциклопедия символов, Москва-Санкт-Петербург, 2006, с.917-919.

10. Гамкрелидзе Т. В., Иванов В. В., Индоевропейский язык и индоевропейцы. Реконструкция и историко-типологический анализ праязыка и протокультуры, II, Тбилиси, 1984, с. 684.  
იხ. აგრეთვე, სურგულაძე ი., მოთხის, რიტუალი საქართველოში, თბილისი, 2003,  
გვ. 73 და შედ.
11. Meriggi P., Manuale Di Eteo Geroglifico, Parte II: Tavole 2aE3a Serie, Roma 1975, Tavole IX.
12. Börker-Kläbn J., Hattušas Stadttore und ihre Benennung, Beiträge zur Altertumskunde  
Kleinasiens, Band 1: Text, Mainz-Rhein, 1983, S. 95.
13. ბენდუქიძე ნ., მზის საგალობელი, წიგნში: ძველი აღმოსავლეთის ხალხთა  
ისტორიის ქრესტომათია, თბილისი, 1990, გვ. 232-233.
14. ტატიშვილი ი., ხეთური რელიგია, თბილისი, 2001, გვ. 88-101.

**Nana Khazaradze**

**FOR INTERPRETATION OF TWO ANCIENT LUWIAN HIEROGLYPHS  
(YAZILIKAYA 34, KÜLTEPE 86) DENOTING DEITY OF THE SUN**

The analysis of the Hittite cuneiform, Hittite and Late Hittite hieroglyphic Luwian written monuments and of the iconography Luwian hieroglyphs denoting the solar deity (DEUS SOL) has led the author to the conclusion that in Luwian hieroglyphs denoting the solar deity, executed in different variants, the Hittite-Luwian conception is reflected fully. In Luwian hieroglyphs denoting the solar deity in one case Luwian hieroglyphs are placed at the beginning and the end of the cosmic axis and in this way the solar deity is represented as the deity illuminating the opposite domains – the heavens and the earth, and in another – at the beginning, the middle and the end of the same cosmic axis. In this case, the solar deity is interpreted not only as illuminating the heavens and the earth, but also the domain of human beings, plants and animals. In order to express the hypostases and functions of the solar deity, the Luwian hieroglyph denoting “deity” (DEUS) is used in the first case, whereas the hieroglyph denoting “the heavens” (CAELUM) is found in the other.

Epigraphic monuments of Yazikaya, 34, Kültepe, 86 are dated back to 2000B.C. once more confirm my opinion that for creators of Luwian hieroglyphs Deity of the Sun was associated with sky and luminary of upper space, lower space and intermediate space.

**ძველანატოლიურ-კავკასიური კოსმოლოგიის  
ისტორიის ერთი ასპექტისათვის**

დვთაებათა სამყოფელის რანგში ცის წარმოჩენის კონცეფცია დროსა და სივრცეში უნივერსალურია. იგი სხვადასხვა ვარიანტით არაერთი ხალხის ჯულტურულ ტრადიციაში მოწმდება. როგორც წესი, ცას და ცაზე მყოფ დვთაებებს ბუნების მოვლენების გენეზისაც უკავშირებენ.

ლუვიური იეროგლიფების ემ. ლაროშისეული სიის №182-ს და ანალოგიური სიის პ. მერიჯისეული №340-ს  ორი მნიშვნელობა აქვს. ისინი ცასაც აღნიშნავს (ფონეტიკური წაკითხვა: tapas-, tepas-, tipas-) და თასსაც (ფონეტიკური წაკითხვა: tepas-?). შუმერულ ენაში ცის აღმნიშნველ იეროგლიფურ-ლუვიურ ლოგოგრამას *an* (კ. შარაშენიძე), ხოლო ხეთურში *nepiš-*, იშვიათად *nepiša-* შეესატყვისება (ირ. ტატიშვილი). ძვ. წ. II-I ათასწლეულებით დათარიღებულ იეროგლიფურ-ლუვიურ წერილობით ძეგლებში (ემირგაზი, იაზილიქაია, ალაჯა-ჰუიუქი, ყარა-ჰუიუქი, ელბისტანი, ჩაღდინი, ივრიზი, ბორი, ჩიფლიქი, ჩალაფვერდი...) ლოგოგრამა „ცა”, როგორც წესი, დვთაება თარხუნთის სახელწოდების კომპლექსურად გვევლინება. თარხუნი შუმერული იშქურის, სემიტური ადადის, ხურიული თეშუბის, კილიკიური თროკოს, ლიკიური trqq-ს, ეტრუსკული თარხონის, ძველსომხური ტორქის, ქართული ტაროსის მსგავსად, ამინდის დვთაებას წარმოადგენდა, დაკავშირებული იყო რა სიუხვის მომტან წყლებთან და ნაყოფიერებასთან. ძვ. წ. II ათასწლეულის იეროგლიფურ-ლუვიურ წერილობით ძეგლებში ამ დვთაებას „ცის დვთაება თარხუნთი” ეწოდება, ხოლო გვიანხეთური ხანის (ძვ. წ. IX-VIII სს.) წერილობით წყაროებში - „დვთაება თარხუნთი ცისა”. ხეთურ წერილობით ძეგლებში „ცა” ხშირად მზის დვთაების სახელწოდების ეპითეტის სახითაც დასტურდება. ხეთური ტექსტების თანახმად, მზის დვთაების სამყოფელი ცაზეა, ცის კოშკი, ცის ჭიშკარი მხოლოდ მისთვისაა დია, ცის ოთხ მხარეში ოთხცხენშებმული ეტლით მხოლოდ მზის დვთაება გადაადგილდება და ა. შ. ჩატარებულ კვლევა-ძიებას იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ იეროგლიფურ-ლუვიურ დამწერლობაში მზის დვთაების აღმნიშვნელი ლუვიური იეროგლიფების ერთ-ერთ მთავარ კომპონენტს, სამყაროს ღერძთან, სამყაროს კვერცხთან ერთად, როგორც ადრინდელ (ძვ. წ. II ათასწლეული) (იაზილიქაია, ქიულთევე), ასევე

გვიანდელ (ძვ. წ. IX-VIII სს.) წერილობით ძეგლებზე სწორედ ცის (თასის)

იეროგლიფი წარმოადგენდა  . მზის ღვთაების აღმნიშვნელ ლუგიურ იეროგლიფებში ცის იეროგლიფი ხშირად დმერთის აღმნიშვნელ ლუგიურ იეროგლიფს (  ) ენაცვლება(  ). ძველანატოლიური ეთნოსების კოსმოლოგიური შეხედულებების რეკონსტრუქციისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ხეთების მზის ღვთაების (სავარაუდოდ, არინას) მცირე ზომის, ძვ. წ. XV-XIII სს-ით დათარიღებული, მეტროპოლიტენ მუზეუმში განთავსებული, ოქროს ქანდაკება იძენს (შარავანდედით, საყურეებით, ყელსაბამით შემკული მზის ღვთაება სავარძელშია ჩაბრძანებული. კალთაში მას ამინდის ყრმა ღვთაება უზის, ხოლო ხელთ, მკერდზე მიკრული, საკმაოდ დიდი ზომის ორი ჭურჭელი უპყრია).

სხვადასხვა კულტურული ტრადიციების მონაცემთა კონტექსტში იეროგლიფურ-ლუგიურ დამწერლობაში თასის სახით წარმოდგენილი ცის აღმნიშვნელი იეროგლიფის შესწავლას იმ დასკვნამდე მივყვართ, რომ ამ იეროგლიფის სემანტიკური კოდის გასაღები ამინდის ღვთაებასთან დაკავშირებულ რწმენა-წარმოდგენებში, კერძოდ კი, წვიმის გამოსათხოვნელ ლოცვებსა და რიტუალებშია საძიებელი.

ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებულ ინტერესს საქართველოში მოძიებული ეთნოგრაფიული არტეფაქტები და ქართული ენის ლექსიკა იმსახურებს. ირკვევა, რომ: ქართველთა უძველესი წარმოდგენებით, რომელიც გადმონაშობის სახით ბოლო დრომდეა შემორჩენილი, ცა წვიმის ჭურჭელია. იგი დედამიწაზე დარსა და ავდარს განაგებს (თ. სახოკია). ქართულ ენაში წვიმასთან ორგანულადაა დაკავშირებული ჭურჭლის ისეთი სახეობანი, როგორიცაა: „კოკა“ და „საცერი“ („კოკისპირული წვიმა“, „ცრის“). წვიმის გამოთხოვნის ქართულ ერთ-ერთ რიტუალში (ლაზარობა) მონაწილე თეთრ სამოსში გამოწყობილი გასათხოვარი გოგონები, შესაწირის შეგროვების მიზნით კარდაკარ შემოვლას რიტუალის შესაბამისი სიმღერით, თავზე თასდადგმული ასრულებდნენ, ხოლო მათი მასპინძლები შესაწირავის გაღებასთან ერთად, გოგონებს წყლის შესხურებით უგებებოდნენ. წყალი თავზე შედგმულ თასშიც უნდა მოხვედრილიყო (თ. იველაშვილი). დიდების რიტუალის აღსრულებისას გოგონებს წინ ჩიხტითმოსილი

„გვალვის პატარძალი” მიუძღვებოდა. ჩიხტაში მას საგანგებოდ დამაგრებული სპილენძის ჯამი (ფახირი თასი) ჰქონდა ჩადგმული (გ. ჯალაბაძე, ირ. სურგულაძე).

2011.

**Nana Khazaradze**

### **ONE ASPECT OF ANCIENT ANATOLIAN-CAUCASIAN COSMOLOGY**

№182 of E. Laroche's list of Luwian hieroglyphs and №340 of P. Meriggi's  similar list have two meanings. They denote the sky (tapas-, tepas-, tipas-) as well as a cup (tepas-?). The analysis and comparison of artifacts of the cosmological beliefs of the ancient Anatolians and the ancient Caucasians (resp., the Georgians) leads the author to the conclusion that the origins of the interpretation of the concept of the sky in the hieroglyphic-Luwian script in the form of a cup in old Anatolian as well as old Georgian cultural world must be linked with the weather deity, or more exactly, with the ancient rituals of asking for rain.

**ბორბლის სემანტიკური კოდისათვის  
იეროგლიფურ ლუგიურ დამწერლობაში**

ძვ. წ. XVI ს-ში შექმნილ იეროგლიფურ-ლუგიურ დამწერლობაში „წრის”, „ბორბლის” და „ეტლის” აღმნიშვნელი იეროგლიფები არაერთგზის მოწმდება. კვლევის შედეგად ირკვევა, რომ გვიანხეთური ხანის სამეფო-სამთავროებში არსებული რწმენა-წარმოდგენებისა და მრავალპლანიანი ინფორმაციის გადმოცემა სწორედ ამ დამწერლობის საშუალებით ხდებოდა. ამდენად, იეროგლიფურ-ლუგიური დამწერლობა ძველი ანატოლიის ისტორიის შესწავლის უმნიშვნელოვანეს პირველწყაროს წარმოადგენს. იეროგლიფურ-ლუგიური დამწერლობით შედგენილ პოლიტიკური, ეკონომიკური, რელიგიური შინაარსის ტექსტებში ამასთანავე, შეიძლება დავინახოთ ძველი ანატოლიის სხვადასხვა ხალხთა ხანგრძლივი კულტურული ურთიერთობის საფუძველზე შემუშავებული კოსმოგონიისა და რელიგიური რწმენა-წარმოდგენების ანარეკლი, რომელიც გადმოცემულია სპეციფიკური სიმბოლიკის საშუალებით.

ჩემი კვლევის საგანს №267 ლუგიური იეროგლიფი და ქვის სტელაზე დაცული სიმბოლური ნიშნის შინაარსის დადგენა წარმოადგენს.

წერილობითი პირველწყაროების მონაცემთა კონტექსტში ირკვევა, რომ ქარხემიშის სტელაზე გამოსახული №267 იეროგლიფი  ტექსტში ეტლის, გადაადგილების შინაარსის მატარებელია [9,115-117]. იეროგლიფი ფონეტიკურად შემდეგნაირად იკითხება: warīna და (მეორე ვარიანტი ჯ. ჰოვკინსისეული წაკითხვა) wa/i+ra/i-za-ni-na ნიშნავს ოთხთვალას, ეტლს [8,103]. მალატია II რელიეფზე [9,52-53] გამოსახულ ნადიმისა და ნადირობის სცენაში ერთ-ერთ ცენტრალურ ფიგურას ბორბალი და დახრილი ჯვარი წარმოადგენს, რომელიც, ვფიქრობ, სიმბოლურ სემანტიკურ კოდს შეიცავს.



მალატია II რელიეფის დეტალი

უმველესი რწმენა-წარმოდგენებით წრე-გავრცობილი წერტილი ძალდაუტანებელ მოძრაობას უკავშირდება. იგი კონტინუალურობისა (მდორი, რიტმული მოძრაობა) და ერთიანობის აღმნიშვნელია და დროის მარადიულად განმეორებადი ციკლის აღსანიშნავად გამოიყენებოდა. წრებრუნვა, ტრიალი, რაც წრის დინამიკურ განსაზღვრებას წარმოადგენს რიტუალსა და ხელოვნებაში, წარმოშობს მაგიურ ძალას, რადგანაც ქმნის ხელშეუხებელ ტერიტორიას – წრეს. წრე ერთიანობის, უსასრულობის, სრულყოფილების იდეას გამოხატავდა. წრე როგორც ფიგურა, რომელიც იქმნება სწორი მრუდით დასაწყისის და დასასრულის გარეშე, თავის ნებისმიერ წერტილში ორიენტირებულია უხილავ ცენტრზე. წრე შემოსაზღვრავს შიდა, საზღვრულ სივრცეს, მაგრამ წრიული მოძრაობა, რომელიც ამ სივრცეს ქმნის, პოტენციურად უსასრულოა. არაერთ ტრადიციაში კოსმოსი წარმოდგენილია სფეროს, გრაფიკულად წრის სახით, რომელსაც გარს აკრავს არაორგანიზებული ქაოსი. წრე არის კოსმიური ზეცის სიმბოლო მიწასთან მიმართებაში. ბორბალი ციკლების – დასაწყისისა და განახლების სიმბოლო. ნიკოლოზ კუზანელის თანახმად, სამყარო არის ბორბალი ბორბალში. ბორბალი გადაადგილების სიმბოლოცაა და სოლარულიც. შეიძლება იყოს ზაფხულის ბუნიობის გამომხატველი [1,191].

კველა ძველ რელიგიაში წრე, ბორბალი მზესთან იყო დაკავშირებული. ე. პაინის თეორიის თანახმად, ბორბალი კვირისტავიდან უნდა წარმოშობილიყო. კვირისტავების დერძით შეერთების წყალობით უნდა აღმოეჩინათ ეკიპაჟის აგების პრინციპი. ფ. ფორერიც თვლიდა, რომ ბორბალი მიღებულ იქნა მზის ემბლემის, დისკოს გახვრეტისა და დერძზე წამოგების გზით [3,77].

ინდოევროპული ძირის სემანტიკურ ჯგუფში წრე, ოთხთვალა, ბორბალი Huer-t<sup>[h]</sup>-Huer-ğ<sup>[h]</sup> ძირიდანაა ნაწარმოები: ძველ ინდური vartali –ბრუნვა, ვედური vartani – გაგორება, მითანური uartanna –წრე (მასზე ცხენებს ავარჯიშებდნენ), სოლდიური wrtn – ოთხთვალა, ოსური wærdan –ურემი, ლატვური uertō – მობრუნება, გოთური wairpan დადგომა, ძველსლავური – vr̥tēti se – ტრიალი, ძველ ისლანდიური varger – დამნაშავე, მგელი, vargtre – დამნაშავის ხე, მგლის ხე, ხეთური hurki –ბორბალი [7,719], შდრ. ქართული ურიკა [6, 269].

ძველ ინდოევროპულ ტრადიციაში ბორბალს რიტუალური და მითოლოგიური მნიშვნელობა აქვს, მას აღმერთებენ როგორც მზის სიმბოლოს და თაყვანსცემენ.

ასე მაგალითად, ძველი ინდური მითოლოგიაში ბორბალი ღვთაება ინდრას უკავშირდება. იგი მზის ღვთაება სურის ბორბალს მოუგებს. ოსურ ნართაულ ეპოში „ციური ბორბალი” მომაკვდინებელი იარაღია. „გაგორებული” ბორბალი ნართების მტრებს ფეხებს მუხლებამდე კვეთდა [7,720].

სხვადასხვა ხალხი სიმბოლოს სხვადასხვა შინაარსს აძლევდა. ასე მაგალითად, ხეთურ ტრადიციაში ბორბალი არა მარტო რიტუალური სიმბოლიკის მატარებელია, როგორც ეს კარგად ჩანს ერთ ხეთურ კანონში წარმოდგენილი შემდეგი ფორმულით: „და ბორბალს თაყვანსცემს”, არამედ მას, იმავე ხეთურ კანონებში შინაარსობრივად სხვა სახითაც ვადასტურებთ: ტერმინები hurkin haliya განსასჯელის ბორბალთან/ბორბლის წინაშე დაჩოქება ან შეწყალების თხოვნა სამეფო სასამართლოსათვის, ან განსასჯელის დაკითხვა წამებით; hurkin halai მსაჯულთა მიერ ბორბლის ამოძრავება (ანუ სამეფო სასამართლოს ჩართვა საქმეში) ითარგმნება [4,83-84]. საყურადღებო ინფორმაციის შემცველია ხათუსილი III-ის (ძვ.წ. 1400-1200წწ.) ავტობიოგრაფიაში დაცული ცნობა: „რადგანაც იშთარი, ჩემი ქალბატონი მწყალობდა და ჩემი ძმა მუგათალიც კეთილად მეპყრობოდა, ადამიანებს, როდესაც მათ იშთარის, ჩემი ქალბატონის, წყალობა და ჩემი ძმის კეთილგანწყობა დაინახეს, შეშურდათ ჩემი, არმა-დათას ციდას ძემ და შემდეგ სხვა ადამიანებმაც განსაცდელში ჩაგდება დამიპირეს, ისინი მე ბოროტად მომექცნენ და მე ძალიან გამიჭირდა. ჩემმა ძმამ მუგათალიმ ბორბალთან მიხმო”. ხათუსილი I (ძვ.წ. 1600წ) 3 საომარ ეტლს წირავს არინას მზის ქალღვთაებას [5,185].

პინდაროსი (ძვ.წ. 532/518-443წწ.) „პითიურ ოდებში” არგონავტების ლაშქრობის აღწერისას ჩვენთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით შემდეგს გვამცნობს: „...მივიდნენ ფასისში, სადაც ისინი შეებრძოლნენ მუქსახიან კოლხებს თავად აიგტის წინაშე. ყველაზე ბასრი ისრების მპყრობელმა, კვიპროსს შობილმა კი მიაბა ისინი უძლიერეს ბორბალს, რომელშიც ოთხი პალო იყო გაჩრილი” [2, 60].

საგულისხმოა, რომ სიმბოლურ ნიშანთა შინაარსი არამხოლოდ ძველ სამყაროში, არამედ შეა საუკუნეების საქართველოშიც კარგად ჰქონდათ გააზრებული, რომელსაც ერთდროულად კოსმოგონიური და კოსმოლოგიური ასპექტები გააჩნდა. საგვლევ საკითხთან დაკავშირებით საყურადღებო ინფორმაციის შემცველია ჰეროდოტეს (ძვ.წ. 485-424წწ.) ოხულება „ისტორია”, სადაც კროისოსი თავსგადახდენილი უბედურებების შემდეგ წრეს, ბორბალს ასეთ განსაზღვრებას

აძლევს: „კაცთა საქმიანობას წრე საზღვრავს, ეს წრე ბრუნავს და არ დაუშვებს, რომ ერთნი და იგივენი იყვნენ ბედნიერნი [2,87,I,207]. არანაკლებ მნიშვნელოვანია შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის” შემდეგი სტრიქონიც, რომელსაც ქაჯთა ტყვეობაში მყოფი ნებსტან-დარეჯანი წარმოთქვამს: „რისხვით მობრუნდა ბორბალი ჩვენზედა ცისა შვიდისა”

ზემომოყვანილი ცნობის საფუძველზე ვფიქრობ, რომ მალატია II რელიეფზე დვთაებასთან ბორბლის გამოჩენა შემთხვევითობით ვერ აიხსნება. საკვლევ რელიეფზე სწორედ დვთაება იყო ის მამოძრავებელი ბალა, რომელსაც ბედისა და ცხოვრების წადმა სვლას შესთხოვდნენ, ის აწესრიგებდა ადამიანისა და სამყაროს ჰარმონიულობას.

არსებული ინფორმაციის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ „ბორბლის” აღმნიშვნელი იეროგლიფით მარადიული წრებრუნვის იდეა უნდა ყოფილიყო გადმოცემული. გრაფიკული თვალსაზრისით მარტივად შესრულებული დახრილი ჯვარი ქვეყნიერების ოთხ მხარეს აღნიშნავდა და უსასრულობის, სრულყოფილების იდეას გამოხატავდა, ბორბალი კი ციკლებს - დასაწყისსა და განახლებას.

2011.

### წყაროები და ლიტერატურა

1. ალავერდაშვილი ქ., საკრალური გეომეტრია, თბილისი, 2008.
2. ანტიკური კავკასია, ენციკლოპედია I, თბილისი, 2010.
3. სურგულაძე ი., ქართული ხალხური თრნამენტის სიმბოლიკა, თბილისი, 1986.
4. ტატიშვილი ი., ხეთურ-ქართული ლექსიკონი, ნაკვეთი 2, თბილისი, 2007.
5. ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის ქრესტომათია, თბილისი, 1990.
6. ხაზარაძე ნ., კ. თოფურია, ძველაღმოსავლური წარმომავლობის ქართული ტექნიკური ტერმინოლოგიის ისტორიისათვის, სამხრეთ კავკასია და ახლო აღმოსავლეთი, თბილისი, 2005.
7. Гамкелидзе Т. В., Иванов В. В., Индоевропейский язык и индоевропейцы, II, Тбилиси, 1984.
8. Hawkins J. D., Corpus of Hieroglyphic Luwian Inscriptions, Vol. I, Berlin-New York, 2000.
9. Merrigi P., Manuale Di Eteo Geroglifico, Parte II: Testi – 2aE3a SERIE, Roma, 1975.

**ON THE SEMANTIC CODE OF THE WEEL IN THE  
HIEROGLYPHIC LUWIAN SCRIPT**

The article deals with the analysis of P. Meriggi's manuscript №267 of Luwian hieroglyphs, one of the elements of which is attested on the relief Malatya II. As a result of the study the author arrives at the conclusion that the existence of the hieroglyph linked with the deity cannot be accidental. It embodied the idea of eternal recurrence, whereas the wheel symbolized cycles – the beginning and renewal.

### იეროგლიფურ-ლუგიური asatara და ქართული „კელი“

1986 წელს პარიზში გამართულ ასირიოლოგთა XXXIII საერთაშორისო შეხვედრაზე ქალბატონმა ნ. ხაზარაძემ ხელის შემცველი იეროგლიფის ინტერპრეტაციას სპეციალური მოხსენება მიუძღვნა. იეროგლიფი ხელისა და მეფის აღმნიშვნელი გამოსახულების ლიგატურას წარმოადგენს და იკითხება *Filia namuwai* (შვილი, ვაჟი, ქალიშვილი). მკვლევრის აზრით, აღნიშნულ ლუგიურ იეროგლიფს სამართლებრივ-უფლებრივი დატვირთვა უნდა ჰქონდა. ნაშრომი გამოუქვეყნებელი დარჩა.

ამჯერად, ჩემი მიზანია განვაგრძო ხელის გამოსახულებიანი სხვა იეროგლიფების შესწავლა და ლუგიური იეროგლიფების მთლიან სისტემაში მათ სათანადო ადგილი მივუჩინო.

ცნობილია რომ ხელი მოქმედების იდეას და ამავე დროს, ძალაუფლებასა და მფლობელობასაც გამოხატავს. ისტორიის ფილოსოფიის ფუძემდებლის, ჯამბატისტა ვიკოს სავსებით მართებული დაკვირვებით, „კელი“ ყველა ხალხში „უფლებას“ აღნიშნავდა: „ამბობდნენ „კელი“ „ძალის“ მაგივრად, რადგან ძალა აბსტრაქტულია, ხელი კი უშუალოდ შეიგრძნობა“ [მამულია, 1979, 172].

თ. გამყრელიძისა და ვ. ივანოვის თანახმად, საერთოინდოევროპული უფლებრივი ტერმინოლოგია საწეს-ჩვეულებო ტერმინოლოგიას თან მოსდევს, რაც შესაძლებლობას იძლევა ძველი ინდოევროპელების უფლებრივი ნორმები დადგინდეს: ინდოევროპული  $mHr/n(t^{lh})$  - ხელი, ხელისუფლება, მართვა: ხეთურად maniiahh - ხელისუფლების გადაცემა, მართვა, maniiahhai - მმართველობა, ხელისუფლება, ლათინურად manus - ხელი, ხელისუფლება [გამკრელიძე, ივანოვ, 1984, 807].

ყველა ცივილიზაცია მეტ-ნაკლები სიხშირით იყენებს ხელის და უესტიკულაციის ენას. ზოგ აღმოსავლურ ენაში ისეთი გამოთქმები, როგორიცაა „ხელის დადება“ და „ხელის ახსნა“, რაიმე საქმის დაწყების და დამთავრების აზრს გადმოსცემს. ლვთის ხელის დაჭერა ადამიანში მისი სულის მიღებას აღნიშნავს. მაგალითად, როდესაც იაჰვემ ხელი შეახო იერემიას პირს, მას წინასწარმეტყველების უნარი მიანიჭა; ელია წინასწარმეტყველმა ზღვიდან ამოსული ღრუბელი დაინახა და იაჰვეს ხელი შეიგრძნო; როდესაც სოდომის მეფე აბრაამს უხვ წყალობას სთავაზობდა, მან ხელები ცისკენ აღმართა, რაც არა მხოლოდ დაცვას

ნიშნავდა, არამედ, იმასაც, რომ ლმერთი განაგებს ცას და ქვეყანას. მნიშვნელოვანია, რომ მარჯვენა და მარცხენა ერთმანეთისაგან განვასხვავოთ. დვთის მარჯვენა ხელი, რომელიც ხშირად დრუბლიდან გამოყოფილი სახითაა გამოსახული, წყალობას აღნიშნავს, ხოლო მარცხენა - სამართლის ქმედებასთანაა დაკავშირებული. ხელი სამეფო ემბლემაა, იგი მბრძანებლობის და დომინაციის სიმბოლოს გამოხატავს. მაგალითად, გამოთქმა „სამართლის ხელი“ შუა საუკუნეების ეპოქაში საფრანგეთის მონარქიის ინსიგნიას შეადგენდა [Chevalier, Gheerbrant, 1982, 599-603].

ქველინდურ ტრადიციაში „მარცხენა“ და „მარჯვენა“ ერთმანეთს მითოლოგიურ ფრატრიებს უპირისპირებდა. მაგალითად, კაურავების ფრატრია ითვლებოდა „მარცხენად“, „ქვედა“, „მოვარის“ გავლენის ქვეშ მყოფად, რაც უარყოფითი სიმბოლური დატვირთვის მატარებელია, პანდების ფრატრია - „მარჯვენად“, „ზედა“, „მზის“ გავლენის ქვეშ მყოფად და დადებითი დატვირთვა აქვს.

ქველბერძნულ ტრადიციაში „მარჯვენა“ და „მარცხენა“ „მამრობით“ და „მდედრობით“ საწყისებს უკავშირდება. მსგავსი სემანტიკური ასოციაცია აქვს ადამიანის „მარჯვენა“ და „მარცხენა“ ხელსაც, რომელიც სხვადასხვა ფიზიოლოგიური შესაძლებლობით ხასიათდება. მარჯვენა ხელი არის ძირითადი, აქტიური, დადებითი, სასიკეთო, განსხვავებით მარცხენა ხელისაგან, რომელიც პასიურია [Гамкрелиძე, Иванов, 785].

„მარჯვენა ხელი“ როგორც მთავარი, ძირითადი, ქველ ინდოევროპულ კულტურაში კონკრეტულ გამოხატულებას პოულობს. შეადარე ხეთური keşsar ხელი, თათი [ტატიშვილი, 2009, 45], ლუვიური iššari – ხელი, ლიკიური izre, თოხარული A tsar - ხელი, ბერძნული χείρ- ხელი, სომხური jern, ქველინდური hasta, ავესტური - zasta, ქველსპარსული - dasta... პომეროსის ეპოში „მარჯვენა ხელი“ აგრესიულია, მიმართულია შუბით, „მარცხენა“ კი აღწერილია როგორც დამცველი, ფარის მპყრობელი. ხეთებთანაც, მარჯვენა ხელი, ასევე, დადებითი სემანტიკური მნიშვნელობით ხასიათდება [Гамкрелиძე, Иванов, 1984, 785].

ქ. წ. XVI ს-ში შექმნილ იეროგლიფურ-ლუვიურ დამწერლობაში, ჩვენამდე მოღწეული „ხელის“ გამოსახულებიანი 25 იეროგლიფი დასტურდება [Дунаевская, 1969, 92]. ქ. ლაროშისეული კლასიფიკაციის თანახმად, №27 იეროგლიფი მთლიანი მკლავითაა გამოსახული და ნიშნავს „ზედაშეს შეწირვას“, ფონეტიკური წაკითხვა

– sarla; №28 „ძალაუფლებას”, „ძლიერს”. ფონეტიკური წაკითხვა – muwa, ფონეტიკური წაკითხვა muwatalla/i; №39 იეროგლიფიც, რომლის ფონეტიკური წაკითხვა უცნობია, ასევე აღნიშნავს „ძლიერს”. მათი მსგავსება იმით გამოიხატება, რომ ორივე იეროგლიფი გამოისახება მაგრად მოკუმულ ხელში რადაც საგნით (კვერთხი? – 6. ბ.); №41 „აღებას”, ფონეტიკური წაკითხვა – ta-; №45 –ლიგატურაა, ნიშნავს „ხელს” და რამდენიმე მნიშვნელობა აქეს: „შვილი” - ფონეტიკური წაკითხვა (-)nana, „ვაჟი” ფონეტიკური წაკითხვა (-)namuwai, „ძმა” - ფონეტიკური წაკითხვა atila-?; №46 ლიგატურაა და ნიშნავს „უფლისწულს” „მეფის ასულს”, ფონეტიკური წაკითხვა უცნობია; №49 „შიგ”, „შიგნით” – ლოგოგრამა; №59 - „ხელს”, ლოგოგრამაა, ფონეტიკური წაკითხვა asatara; №62 ნიშნავს „გრძელს”, „ხანგრძლივს”, ლოგოგრამაა და დეტერმინატივი, ფონეტიკური წაკითხვა ara-; №65 ლოგოგრამაა, ნიშნავს „დადებას”, „ხელის შეშლას”, ფონეტიკური წაკითხვა – tuwa-. დანარჩენი ლუგიური იეროგლიფების შინაარსი და ფონეტიკური წაკითხვა უცნობია.

ზემოჩემოთვლილი იეროგლიფებიდან ჩემი ინტერესი №59 ნიშანმა გამოიწვია. იეროგლიფურ-ლუგიური asatara, ჩემი დაკვირვებით, მარცხენა ხელი უნდა იყოს, რომლის ანალოგიურ გამოსახულებას უკვე არა როგორც დამწერლობის ნიშანს, არამედ როგორც დეკორატიულ მოტივს, ქარხემიშის სამშენებლო წარწერის გრძელ პედელზე ვხვდებით [Hawkins, 1972, 87-94]. ეჭვგარეშეა, რომ წარწერის ქვემოთ გამოსახული 16 ერთეული, დაბლა დაშვებული მარცხენა ხელი იმ მოვლენასთან იყო კავშირში, რომლის შესახებაც წარწერაშია საუბარი და სტელაზე გამოსახვაც სწორედ ამან განაპირობა. ამდენად, asatara-ს ქარხემიშის სამშენებლო წარწერაში შეიძლება სიმბოლური მნიშვნელობა მივანიჭოთ.

წარწერის ავტორია ქარხემიშის მეფე Suhis I, რომელსაც გაულაშქრავს „ამბოხებული ქალაქების” წინააღმდეგ, დვთაებათა ძალით დაუსჯია, დაუნგრევია, ამის შემდეგ თარხუნთასი აღუმართავს, ჭექა-ჭეხილის დვთაებისათვის შესაწირავები უხვად გაუდია, მის წინ ჩვენთვის გაუგებარი საგანი და, ასევე, თავისი გამოსახულებაც დაუდგამს. წარწერა წყევლის ტრადიციულ ფორმულასაც შეიცავს იმ შემთხვევისათვის, თუკი ვინმე დააზიანებდა, ხოლო დვთაებებისა და მისი გამოსახულების პატივისმცემელთათვის - ლოცვისაც. წარწერიდან ჩანს, რომ Suhis დვთაებების კეთილგანწყობა განსაკუთრებით იმ მოქმედებისათვის

დაუმსახურებია, რომ იგი ვინმე Hatamanas-ს, რომელსაც „ამ დვთაებების” წინააღმდეგ „მტრული ქმედება” ჩაუდენია, სასტიკად დაუმარცხებია.

რა კავშირშია ზემოხსენებული „ხელები” წარწერაში მონათხოობ ამბავთან? ხომ არ ნიშნავს რელიეფის ქვემოთ გამოსახული მარცხენა „ხელები” ამბოხებულების უფლების მოშლას ქალაქებზე? ან, თუ თითებით თვლის არქაულ ინდოევროპულ სისტემას გავიხსენებთ, ხომ არ ნიშნავს მტრის 16-ჯერად მოქმედებას? ან, ხომ არ შეიძლება იგი „დამცველის” სიმბოლურ დატვირთვას ატარებდეს, იმ შემთხვევაში, თუ პომეროსის ეპოსში ფარისმაყრობელი მარცხენა ხელის როგორც მფარველის როლს გავითვალისწინებთ?

„გელი” როგორც სამამულო უფლების მატერიალური ნიშანი საქართველოში უძველესი დროიდან მომდინარეობს. ქრისტიანობის ხანაში ასეთ ძეგლებზე ხელის გამოსახულებას თანდათან ცვლის ჯვარი. საქართველოს ტერიტორიაზე დაცულია არაერთი ქვა, რომელზეც ადამიანის ხელია გამოსახული. მაგალითად, ქვაჯვარა (მონოლითი) ფარავნის ტბის მიდამოებში, რომელზეც გამოსახულია დისკო, მის ქვეშ მეორე ემბლემაა, რომელიც თამარისა და დავით სოსლანის დროს მოჭრილ მონეტებზე დასტურდება, ჩხიკვთის სამების კალთაზე, გზის პირას მდებარე დვთისმშობლის მონასტრის ეზოში ქვა-ფიქალზე გამოხატულია ჯვარი, ხელი და ემბლემა [მელიქსეთ-ბეგი, 1938, 110-111].

„გელი” ან აღმართული იყო, ან დადებული [ბერძენიშვილი, 1966, 158]. „გელის დადებით” და „გელის აღმართვით” „უფლების” აქტის განცხადება სრულდებოდა, რაც გენეტიკურად დაპყრობიდან მომდინარეობს [მამულია, 172-173].

„გელის ამართვა” ხდებოდა მამულზე, ვენახზე, სახელოსა და ყმაზე, გლეხზე, საწისქვილოსა და წისქვილზე, სოფელზე.

„გელის ამართვა” სასამართლოს დადგენილებით და ხელისუფლის ბრძანების თანახმად ხდება და ნიშნავს ამა თუ იმ პირის უფლების უარყოფას ან ასეთი უფლების დამტკიცებას. ვისი უფლებაც მტკიცდებოდა (ვისაც ხელს აუმართავდნენ), ის მამულზე „გელს დაიდებდა”, ხოლო ვისი უფლებაც უარყოფილი იყო, ის მამულზე „გელს აიღებდა”. ნ. ბერძენიშვილის დაკვირვებით, „გელის ამართვის” წესი იმავე ხნისაა, რაც მიწის კერძო საკუთრების დამცველი პოლიტიკური ორგანიზაცია (სახელმწიფო). იგი მამულის სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადებას კი არ ნიშნავდა, არამედ კერძო პირის უფლების დადგენა-დაცვას ითვალისწინებდა [ბერძენიშვილი, 138-158].

თუ ზემოთქმულს გავიაზრებთ, შეიძლება შემდეგი პიპოთეზის წამოყენება: ქარხემიშის რელიეფზე გამოსახული 16 ერთეული მარცხენა ხელი შეიძლება ნიშნავდეს იმავე რაოდენობის ქალაქების ამბოხებულთა უფლების ამავე დასახლებებზე მოშლას. ასევე, ვერ გამოვრიცხავ, რომ აღნიშნული ხელები ამ სკულპტურული ძეგლის შექმნის მონაწილეებსაც ეკუთვნოდეთ.

2011.

### წყაროები და ლიტერატურა

1. ბერძენიშვილი ნ., მიწათმფლობელობის ფორმებისათვის ფეოდალურ საქართველოში, საქართველოს ისტორიის საკითხები, III, თბილისი, 1966.
2. მამულია გ., კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს ჩამოყალიბება ძველ ქართლში, თბილისი, 1979.
3. მელიქსეთ-ბეგი, მეგალიოთური ძულტურა საქართველოში, თბილისი, 1938.
4. ტატიშვილი ი., ხეთურ-ქართული ლექსიკონი, ნაკვეთი 3:K, თბილისი, 2009.
5. Дунаевская И. М. Язык Хеттских Иероглифов, Москва, 1969.
6. Гамкрелидзе Т. В., Иванов В. В., Индоевропейский язык и индоевропейцы, II, Тбилиси, 1984.
7. Hawkins J. D., Building Inscriptions of Carchemish, AS, vol. XXII, 1972.
8. Chevalier J. Gheerbrant A., Dictionnaire des Symboles Mythes, Rêves, Coutumes, Gestes, Formes, Figures, Couleurs, Nombres, Paris, 1982.

**Nana Bakhsoliani**

### HIEROGLYPHIC LUWIAN ASATARA AND GEORGIAN „გელი”

Taking into consideration the ancient cultural traditions linked with “hand”, in which diverse semantic codes are assigned to it, the author arrives at the conclusion that **asatara**, hieroglyph №59 from E.Laroche’s table, denoting “hand”, recorded in the Hieroglyphic-Luwian inscription of Suhis I, King of Carchemish, may be explained by the symbolism of victory of the king over the 16 defeated cities. This assumption is supported to a certain extent by the evidence of remains of Georgian legislation, in which “raising one’s hand” and “laying one’s hands on somebody/something” entailed performance of quite serious functions.

### გვიანხეთური ხანის კილიკიის ისტორიისათვის

კილიკია (ხეთური ხანის ქიცუვათნა, ასურული წარწერების ქუე) ცენტრალური ანატოლიის პლატოს სამხრეთით მდებარე სანაპირო მსხვილი რეგიონი იყო. ძვ. წ. II-I ათასწლეულებში მას საკმაოდ მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიაში. გვიანხეთურ ხანაში კილიკიის ტერიტორიაზე პოლიტიკური გაერთიანებები არსებობდა, რომელთა შესახებ ცნობები წერილობით ძეგლებში დასტურდება (იეროგლიფურ-ლუვიური დანუნა [1, №24] და სხვა, ჩვენთვის უცნობი სამთავროები, ასურული ლურსმული წარწერების ქუე, Kundu, Sissu, Pirindu) [2, 153-167].

სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებული აზრის თანახმად, იეროგლიფურ-ლუვიური დამწერლობა ლუვიური ტომებით დასახლებულ ტერიტორიაზე უნდა ჩამოყალიბებულიყო [3, 18]. არცავასთან ერთად ხეთური ხანის ქიცუვათნა სწორედ ამ დამწერლობის „სამშობლოდ“ მოიაზრება. კილიკიის ტერიტორიაზე აღმოჩენილი იეროგლიფურ-ლუვიური წარწერები მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის კილიკიის ისტორიის შესასწავლად.

ჯერჯერობით, ჩვენამდე რამდენიმე წარწერაა მოღწეული. ესენია: ლამასის ჭიშკრის წარწერა, რომელზეც მხოლოდ ქვეყნის აღმნიშვნელი დეტერმინატივი KUR იკითხება და მასთან ერთად ხუთი ნიშანი, რომელიც პალეოგრაფიული თვალსაზრისით, მათ სიძველეზე მიუთითებს; სირკელის მოკლე, ფრაგმენტული წარწერა კლდის რელიეფზე [4, 283, 324] და ყარათეფეს ბილინგვა. ორენოვანი წარწერა თურქეთის ექსპედიციამ 1946 წ. აღმოაჩინა, რომელსაც ჰ. ბოსერტი ხელმძღვანელობდა. წარწერები იეროგლიფურ-ლუვიურ და ფინიკიურ ენებზეა შედგენილი. ისინი ყარათეფეზე არსებული სასახლის ნანგრევებშია აღმოჩენილი. წარწერა გვამცნობს: „მე აზითავათა ვარ, მზით კურთხეული კაცი, თარხუნთის მხახური, (ის), რომელიც ავარქუმ, დანუნელთა მეფემ, დააწინურა. თარხუნთმა დანუნელთა დედად და მამად მომავლინა და მე განვაგრცე ადანას ველის მიწები აღმოსავლეთისა და დასავლეთის (მიმართულებით). და ჩემი აქ ყოფნის უამს დანუნელთა ქვეყანაში სუფევდა ყოველგვარი კეთილდღეობა, ბარაქა და დოკლათო. და გავავხე დანუნელთა ბედლები. და მივუმატე ცხენს ცხენი. და მივუმატე

ლაშქარს ლაშქარი. და მივუმატე ფარს ფარი. ყოველივე ეს თარხუნთისა და სხვა ღვთაებათა წყალობით გავაკეთე. და დაგამხე თვითდაჯერებულნი ბოროტნი, ქვეყანაში რომ იყვნენ. გავაძევე ისინი ქვეყნიდან და სახლი ჩემი მბრძანებლობისა სიკეთისათვის დავაარსე... ჩემი სამართლიანობის, სიბრძნისა და სიკეთის გამო ყოველმა მეფემ თავის მამად მაღიარა. და ავაშენე შეუვალი ციხე-სიმაგრეები (ქვეყნის) საზღვრებზე კაცნი ბოროტნი, ყაჩაღნი, რომლებც არ მხახურობდნენ მოვხოხის სახლებ, მე, აზითავათამ ჩემს ფერხთ ქვეშ მოვაქციე. და ავაშენე იმ მხარეებში ციხე-სიმაგრეები, რათა დანუნელებს მშვიდობიანად ეცხოვრათ და ვძლიე ციხე-სიმაგრეები დასავლეთში, რომლებიც არ ემორჩილებოდნენ ჩემს წინაპარ მეფეებს. და მე, აზითავათამ, დავანგრიე ისინი და აღვგავე პირისაგან მიწისა. იქ მცხოვრებნი (ჩემი ქვეყნის) აღმოხავლეთ საზღვრებთან დავახახლე, ხოლო მათი ადგილები დანუნელებს მივუჩინე საცხოვრებლად. და განვავრცე დანუნას ქვეყნის საზღვრები მზის ამოხვლის მხრიდან მზის ჩახვლის მხარემდე. და ის ადგილები, რომლებიც წინათ შიშე გვრიდნენ (ზგზავრებს), სადაც მამაკაციც კი ერიდებოდა სიარულს, ქალისთვისაც აღარ წარმოადგენდა რაიმე საფრთხეს. ჩემს დროს აქ კეთილდღეობა, სიუხვე და ვუფუნება სუფევდა. და მშვიდობიანად ცხოვრობდა დანუნელთა ქვეყანა და ადანის ველი. და ავაშენე მე ეს ქალაქი. და დავარქვი მას „აზითავათას ქალაქი”... და დაგუწენე მათ (ღვთაებათა) პატივხაცემად მხევერპლუწიორვა: ყოველწლიურად ხარის შეწირვა. და პურის მოხავლის აღების გამს – ცხვრისა. და ყურძნის მოხავლის აღების გამს – (კვლავ) ცხვრისა. ...და თუ კინმე მეფეთაგან, ან კაცთაგან... შემდეგს განაცხადებს: „მე ჭიშკრებს ჩემს საკუთრებად ვაცხადებ და ზედ ჩემს სახელს დავაწერ”, ან თუ ჭიშკრების თაღებიდან ლოდს ამოიღებს, ან მავნებლობას ჩაიდენს და ბოროტი განზრახვით დაანგრევს ამ ჭიშკრებს, თარხუნთი ციხა და მზე ციხა და უკელა ღვთაება დაამხობს მას, მეფე იქნება იგი, თუ კაცი. აზითავათას სახელი, მხგავსად მზისა და მთვარის სახელებისა, მარადიულია უკუნიოთ უკუნისამდე” [5, 109].

წერილობითი ძეგლი მდიდარ ინფორმაციას გვაწვდის კილიკის ტერიტორიაზე მდებარე ერთ-ერთი მსხვილი პოლიტიკური გაერთიანების ადანის ისტორიის შესახებ. იეროგლიფურ-ლუვიური წარწერა რამდენიმე ნაწილისაგან შედგება: შესავალში წარმოჩენილია წარწერის ავტორი, მომდევნო ნაწილი მისი მოღვაწეობისა და ავტორიტეტის შესახებ მოგვითხოვთ და ბოლო ნაწილი, რომელიც წყველით მთავრდება. ძეგლიდან ცნობილი ხდება, რომ მისი ავტორი

ვინმე აზითავათაა, რომელიც, როგორც წარწერიდან ჩანს, არაა სამეფო დინასტიის წარმომადგენელი, რადგან ტექსტი არაა აგებული არამარტო გვიანხეთურ ხანაში ტრადიციადქცეული ტრაფარეტის მიხედვით – მის გენეალოგიაზე არაფერია ნათქვამი. ბუნებრივია, ეს პასაჟი ბევრ კითხვას ბადებს: თუ გავიხსენებთ ქარხემიშის მეფის – იარირისის იეროგლიფურ-ლუვიურ წარწერას [6, 46], სადაც ის, სავარაუდოდ, უზურპატორად, ან რეგენტად ჩანს, ვინაიდან ტექსტში არც მისი მამის სახელია მოხსენიებული, ხომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამ შემთხვევაში აზითავათაც უზურპაციის გზითაა მოხული ხელისუფლებაში; ან თაბალის სამეფოს მაგალითი რომ გავიხსენოთ, სადაც თიგლათფილესერ III-მ ქვეყნის სათავეში თავისი ნდობით აღჭურვილი პირი – არასამეფო წარმოშობის მეფე დააყენა [7, 29]. წარწერაში ნათლად იკვეთება აზითავათას ტიტულატურა. ესაა რელიგიური შინაარსის მატარებელი „მზით განათებული კაცი”. ჯ. პოგვინსის დაკვირვებით, თავად სახელი აზითავათა ეტიმოლოგიურად შეიძლება ნიშნავდეს *aza+tiwat* „საყვარელი მზის”. თეოფორული სახელი მზის ღვთაების სახელს შეიცავს და არა თარხუნთისას, რაც ასევე დამაფიქრებელია და ძალზედ საინტერესო. აქედან გამომდინარე, ხომ არ შეიძლება ვიფიქროთ, დიდი ძნელბედობის უამს ავარიქუმს დაეშვა სამეფოს სათავეში სწორედ რელიგიის კონკრეტული მსახურის დაყენება? მართალია წარწერაში იგი ცხადად ამბობს, რომ თავად ადანას მეფის ავარიქუმის მიერ იყო დაწინაურებული, მაგრამ მომდევნო ნაწილში უკვე აღარ ფიგურირებს მისი სუვერენი ავარიქუმი. პირიქით, იგი კვეხნით ამბობს, რომ მას სხვა მეფეებიც კი „მამად” აღიარებენ, რაც მის ავტორიტარულობაზე მიუთითებს. ის, რომ აზითავათა არაა მეფური წარმომავლობის, თავად წარწერაც მეტყველებს: წარწერაში იგი არც სამეფო ტიტულატურით წარმოსდგება. თუმცა ხაზს უსვამს ადგილობრივი დინასტიის – მოფსოსის სახლის განსაკუთრებულ მნიშვნელობას. იგი თავისი წინა მეფეების სამყოფელი იყო. წარწერაში არაფერია ნათქვამი, თუ როგორ „შევიდა” ამ სახლში და გახდა მისი წევრი. ამ გზით, იგი თავის თავს უკვე უფლისწულად წარმოადგენს. მიზანი ამით მიღწეულია. იგი ლეგიტიმურია. აზითავათა ეწევა აღმშენებლობით საქმიანობას, აგებს ციხე-სიმაგრეებს, აშენებს ქალაქს, რომელსაც თავისი სახელი უწოდა. იგი იეროგლიფურ-ლუვიურ ტექსტში მადლობას სწირავს გვიანხეთური ხანის პანთეონის მთავარ ღვთაებებს – თარხუნთსა და რუვას. ფინიკიურ ვარიანტში ლუვიური ღვთაებები ფინიკიური ბაალით და რაშაფითაა ჩანაცვლებული.

ამ წარწერით შეიძლება ვიფიქროთ, რომ ქვეყნის მოსახლეობა, ყოველ შემთხვევაში უმრავლესობა მაინც, დუგიურია. საკითხავია, რა დამსახურებისათვის აქვს ძეგლს თან დართული ფინიკიური ვარიანტი? ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ ქვეყნის მოსახლეობაში დინამიური ცვლილებებია და დასავლეთ სემიტური ელემენტებით უხვადაა გაჯერებული ქვეყნის მოსახლეობა? ამასთან დაკავშირებით, შეიძლება დავუშვათ ის მოსაზრება, რომ ფინიკია კილიკიასთან ტერიტორიულად ახლომდებარე ქვეყნის ძეგლია იყო და მათ გაცხოველებული საზღვაო და სავაჭრო ურთიერთობა პქონდათ. ამასთან, თუ იმ ფაქტსაც მივიღებთ მხედველობაში, რომ გვიანეთურ ხანაში ასურეთის ძლიერი იმპერია მასშტაბურ დაპყრობით და სადამსჯელო ექსპედიციებს ატარებდა რეგიონში, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ კილიკიის ტერიტორიაზე არსებული სამეფო და ფინიკია ერთობლივად გამოდიოდნენ ასურეთის ექსპანსიის წინააღმდეგ. ამის სასარგებლოდ ის ფაქტი მეტყველებს, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში დანუნას მეფე ავარიქუმი ასურულ ლურსმულ წარწერებში მოხსენიებულ ქუქს მეფე ურიქთანაა იდენტიფიცირებული. ურიქი თიგლათფილესერ III-ის ძვ. წ. 738-32 და სარგონის მიერ ძვ. წ. 710-709 წლებში შედგენილ წარწერებში მოიხსენიება [2, 153-167]. მაგრამ თუ ავარიქუმი ურიქი არაა, ან მისი წინამორბედის სახელია, მას შეიძლება ემეფა ან სალმანასარ III-მდე, ან სალმანასარ III და თიგლათფილესერ III მეფობის შორის ხანაში. ამ პერიოდის ქუქზე ინფორმაცია ძალზედ მწირია.

ასურელთა ინტენსიური ურთიერთობა ქუქსთან ძვ. წ. 745 წლიდან დასტურდება [8, 311-312]. ურიქი ფიგურირებს როგორც ქუქს მეფე ძვ. წ. 738-732 და 710-709 წლებში აღწერილ ამბებში. ძვ. წ. 710 წ. ქუქში ასურელი მოხელე ჩანს. მაგრამ გახდა თუ არა ასურეთის პროვინცია, ბუნდოვანია. სარგონის დაღუპვის შემდეგ, ქუქ აჯანყებულ თაბაღთან, ხილაქუსთან და მელიდთან ერთადაა მოხსენიებული. სინაქერიბის ეპონიმში ქუქში ასურელი მოხელის დანიშვნაზე ცნობა მოწმდება ძვ. წ. 685 წელს [9, 213]. ასურეთმა ამ თარიღისათვის უკვე დაამყარა ქუქში კონტროლი. ასარქადონის ძვ. წ. 679 წელს თაბაღის წინააღმდეგ ლაშქრობაში ნაგულისხმევი ჩანს ქუქში გადასვლა. ამავე ასურული ლურსმული წარწერის ძვ. წ. 676 წლის მონაცემებით, კილიკიის დაბლობზე მდებარე კუნდუს (კლასიკური ხანის Cyinda) და Sissu (კლასიკური ხანის Sisium) სამეფოები ანტიასურულ ალიანსში სიდონთან ერთად გამოდიან [2, 165]. თუმცა, აჯანყებულები დამარცხდნენ. ქუქ კვლავ ასურეთის ხელშია იმპერიის აღსასრულამდე.

ზემომოყვანილიდან ნათლად გამოიკვეთა საგულისხმო ინფორმაცია კილიკია-ფინიკიის მჭიდრო ურთიერთობებზე და ვფიქრობ, ყარათუფეს ბილინგვა ერთ-ერთ ასეთ მნიშვნელოვან ურთიერთობას უნდა ეხმაურებოდეს.

ყარათუფეს ბილინგვის დათარიღებასთან დაკავშირებით სხვადასხვა მოსაზრება არსებობს. თავდაპირველად ძეგლი ძვ. წ. IX საუკუნის დასასრულით თარიღდებოდა [5, 110]. ჯ. ჰოვგინსის მოსაზრებით, ბილინგვა პალეოგრაფიულად უფრო გვიანდელია (სარგონ II-ის შემდგომი ხანის), რასაც იგი იეროგლიფების ოშვიათი სიუხვითა და ნიშანთა ჭირვეული ფორმებით და დირეგბულებით ხსნის [2, 153-167]. მისივე ვარაუდით, აზითავათა ხელისუფლებაში მოდის სარგონის სიკვდილამდე ან მას შემდეგ, მეფობს სინაქერიბის დროს და აქტიურად თანამშრომლობს ასურეთთან, მისი ავტორიტეტი ვრცელდება ადანა-ქუეში, აგებს ყარათუფეს და დგამს სამახსოვრო წარწერას. როგორც ჩანს, ასურეთის მმართველთა დასუსტებით აზითავათაც სარგებლობს და უერთდება სიდონის ანტიასურულ აღიანს.

თავისთავად ცხადია, წარწერა სუბიექტურად აშუქებს იმ მოვლენებს, რასაც სინამდვილეში პქონდა ადგილი. მიუხედავად ამისა, იეროგლიფურ-ლუვიური და ფინიკიური ორენოვანი წარწერა მრავალმნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის კილიკიის სოციალური, სამეურნეო და პოლიტიკური ისტორიის შესასწავლად.

2012.

#### წყაროები და ლიტერატურა

1. Meriggi P. Manuale Di Eteo Geroglifico, Parte II: Testi-1a Serie, Roma, 1967.
2. Hawkins J. D., Some Historical Problems of the Hieroglyphic Luwian Inscriptions, AnSt, 29, 1979, London-Ankara.
3. Дунаевская И. М. Язык Хеттских Иероглифов, Москва, 1969.
4. Merrigi P., Manuale Di Eteo Geroglifico, Parte II: Testi – 2aE3a SERIE, Roma, 1975.
5. ხაზარაძე ნ., ლუვიური იეროგლიფების სამყაროში, თბილისი, 2006.
6. ბახსოლიანი ნ., გვიანხეთური ხანის ქარხემიშის მონუმენტის ერთი სიუჟეტის ინტერპეტაციისათვის, ქავებისიურ-ახლოადმოსავლური კრებული XIII, თბილისი, 2009.

7. ბახსოლიანი ნ., დიდი კაპადოკია ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში, თბილისი, 2008.
8. Дьяконов И. М., Ассирио-аввилонские источники по истории Урарту (Далее АВИИУ), ВДИ, Москва, 1(35), 1951.
9. Дьяконов И. М., АВИИУ, ВДИ, 3(37), Москва, 1951.

**Nana Bakhsoliani**

### **ON THE HISTORY OF CILICIA OF THE LATE HITTITE PERIOD**

Information on Cilicia of the Late Hittite period is quite scarce in Georgian as well as foreign scholarly literature. In the article the history of Cilicia of the above-mentioned period is reconstructed mostly in the context of evidence of the hieroglyphic Luwian inscription discovered in Karatepe. The author shares the view of J.D.Hawkins that the hieroglyphic Luwian inscription from Karatepe, written on behalf of King Azitiwada of Adana, must reflect the processes occurring in Cilicia at the end of the 8<sup>th</sup> c. and the beginning of the 7<sup>th</sup> c. BC. The author does not rule out the assumption that at that period an ally of Cilicia against Assyrian aggression was Phoenicia (Sidon).

## შ 0 6 ა ა რ ს 0

შინაგამია.....	.....
ნანა ხაზარაძე ნანა ბახსოლიანი	
ქუბაბა ( <sup>D</sup> KUBABA) – გვიანხეთური ხანის აღმოსავლეთ მცირე აზიის სამეფო- სამთავროთა ქალღმერთი.....	.....
Nana Khazaradze Nana Bakhsolianani	
<b>D</b> KUBABA THE GODDESS OF THE LATE HITTITE PERIOD IN THE EASTERN ASIA MINOR KINGDOMS.....	.....
ნანა ხაზარაძე ნანა ბახსოლიანი	
ძველი სპარსული ლურსმული წარწერების Katpatuka.....	.....
Nana Khazaradze Nana Bakhsolianani	
KATPATUKA OF OLD PERSIAN CUNEIFORM INSCRIPTIONS.....	.....
ნანა ხაზარაძე ნანა ბახსოლიანი	
რიცხვითი სახელების აღმნიშვნელი ლუვიური იეროგლიფები.....	.....
Nana Khazaradze Nana Bakhsolianani	
LUWIAN HIEROGLYPHS DENOTING NUMERALS.....	.....
ნანა ხაზარაძე ნანა ბახსოლიანი	
ისტორიის გაკვეთილები (გვიანხეთური ხანის მცირე აზიის პოლიტიკური ისტორიისათვის).....	.....
Nana Khazaradze Nana Bakhsolianani	
HISTORY LESSONS (ON POLITICAL HISTORY OF ASIA MINOR IN THE LATE HITTITE PERIOD).....	.....
ნანა ხაზარაძე ნანა ბახსოლიანი	
სახელმწიფოს უსაფრთხოების დაცვის ძველახლოაღმოსავლური მოდელის რეკონსტრუქციისათვის.....	.....
Nana Khazaradze Nana Bakhsolianani	
ON THE RECONSTRUCTION OF THE MODEL OF PROTECTION OF STATE SECURITY OF THE ANCIENT NEAR EAST.....	.....
ნანა ხაზარაძე	
მზის ღვთაება და მეფე.....	.....
Nana Khazaradze	
THE SUN DEITY AND THE KING.....	.....

- ნანა ხაზარაძე  
მზის დოთაების აღმნიშვნელი უძველესი ლუგიური ორი იეროგლიფის  
(Yazilikaya 34, Kültepe 86) ინტერპრეტაციისათვის.....
- Nana Khazaradze  
**FOR INTERPRETATION OF TWO ANCIENT LUWIAN HIEROGLYPHS**  
(YAZILIKAYA 34, KÜLTEPE 86) DENOTING DEITY OF THE SUN. ....
- ნანა ხაზარაძე  
ძველანატოლიურ-კავკასიური კოსმოლოგიის ისტორიის ერთი ასპექტისათვის.....
- Nana Khazaradze  
**ONE ASPECT OF ANCIENT ANATOLIAN-CAUCASIAN COSMOLOGY**.....
- ნანა ბახსოლანი  
ბორბლის სემანტიკური კოდისათვის იეროგლიფურ ლუგიურ დამწერლობაში.....
- Nana Bakhsoliani  
**ON THE SEMANTIC CODE OF THE WEEL IN THE HIEROGLYPHIC LUWIAN SCRIPT**.....
- ნანა ბახსოლანი  
იეროგლიფურ-ლუგიური asatara და ქართული „ბელი“.....
- Nana Bakhsoliani  
**HIEROGLYPHIC LUWIAN ASATARA AND GEORGIAN „ბელი“**.....
- ნანა ბახსოლანი  
გვიანხეთური ხანის კილიკიის ისტორიისათვის.....
- Nana Bakhsoliani  
**ON THE HISTORY OF CILICIA OF THE LATE HITTITE PERIOD**.....